

5/2  
000000000000  
000000000000

ମୁଦ୍ରଣକାରୀ-ପାତା



1969 4

სოფიანაზოროვი

შოთა

1969

11. 2 / 2

03 02 1969 - 03 02 1969

ლიფერაციულ-მსაცვერული და  
სამართლებრივ-პოლიციური აუტონომი  
საქართველოს მთხოვანთა კავშირის  
აშპრის განცოცილების ორგანიზაცია



## ରେଧାଫ୍ରିଂରୀ

### a. ଶବ୍ଦିକା

- ସାର୍ଵରେଧାଫ୍ରିଂରୀ କରିଲେଗିବା:
- b. ଆବ୍ୟନ୍ତରୀନି
- c. ପାରିଷାନିଦୀ (୩/୮୯ ମଧ୍ୟିକାନି)
- d. ଲୋକିରୀ
- e. ହିତଲ୍ଲେବିଶ୍ଵିଲ୍ଲୀ
- f. କାନ୍ଦିଗାନ୍ଦି

მამის პარანიძე

### შემოყვაწე პჰერლის ერხში

შოგონებანი გულში გროვდება,  
დღეის იმედი მომყვება მწეთა...  
ჩემი ბავშვობის მწვანე კორდებო,  
ჩემი სისხლი ხომ თქვენც დაგეწვეთათ.  
თქვენ გახსოვთ ჩემი თოთო ტერთები  
და სუნთქვა ჩემი და გულის ფეთქვა.  
თქვენს სიყვარულში დავითერთდები,  
თქვენი ტრფიალი გალობად მეოქვას...  
რამდენი რამე თოვლივით გალტვა,  
რამდენი რამე გულს ჩამრჩენია!  
კედელზე სურათს რომ ვუმზერ ახლა,  
ქედმოუხრელი ბიძაჩემია.  
მისი კაცობის ავანჩავანი  
მე ხელის გულზე მაქვს დახატული.  
გლეხი, გლეხკაცის ჩამომავალი  
თავისუფლების იყო ნატრული.  
მე რა ვიცოდი „თეთრი“ და „შავი“,  
და მე როტმილდებს ხომ არ ვიცნობდი.  
რა ვიცოდი მეხი და შვავი,  
ვინ იყო მეფე, მე რა ვიცოდი.  
იყო ნატრული დღეთა მზიანის  
ჩემი ბათუმი და მთა მტირალა.  
ჩვენ ბედი შავი გვქონდა ზიარი  
და ბედი თეთრი გვქონდა ტრფიალად.  
ბიძაჩემს რაღაც ფიქრი წეწავდა,  
ან გული რად არ ეტკინებოდა,  
და ძმებთან ერთად გულით ეწადა  
ასიც მტარვალებს შერკინებოდა.

ერთ დღეს თქვა: — მოდის ლაშქარი ულობას,  
 ჩვენ უნდა შევხვდეთ ჩაქუჩით, ნამგლით!  
 მოუხმო სოფელს: — გამომყეთ ძებო,  
 ჩვენ აღაბეგებს სულ მალე ავღვით!  
 და გაჰყვნენ ჯარად... ნაღარას სცემდნენ,  
 გადადიოდა მთიდან მთას ექო...  
 ქალებმა ასჯერ ჩამოიცრემლეს...  
 დიდელაჩემი ბლოტავდა ბექობს,  
 მოთქვამდა ისე შესაბრალისად,  
 მეც ვტიროდი და ყელს ვუკოცნიდი.  
 სამ ღამეს ძილი თვალს არ აღირსა,  
 სამ დღეში დაღნა ის დალოცვილი.  
 ამოდიოდნენ სოფლად კენტ-კენტად  
 ქალაქში ერთად წასულნი ლაშქრად...  
 და ბიძაჩემს ჩვენ ვდარდობდით მეტად, —  
 იქნებ გაუპო მას მკერდი დაშნა.  
 ვიღაცამ კიდეც გულში იხარა,  
 ვიღაცამ სთქვა, რომ „ახია მისთვის!“  
 მზე რომ ქვესკნელში გადაიხარა  
 და ზღვის ტალღებზე დაღვარა სისხლი,  
 გამოჩნდა ისიც... ალამით ხელში...  
 ხვევნა და კოცნა... ცრემლი და კვნესა...  
 სთქვა ბიძაჩემმა: — დრო მოკვდა ხვნეშის,  
 დიდება ლენინს და სინათლესა!  
 და ის კედელზე დაჭკიდებს სურათს:  
 — ჩვენთან იქნება ლენინი მუდამ... —  
 არ ეჭაშნიკა დიდელას სულაც:  
 „ — აქ უცხო სურათს, შვილო, რა უნდა? !  
 მე ვარ მორწმუნე, მე ვარ მლოცავი,  
 უცხო კაცს თვალში როგორ ვუცეირო?!  
 დამალე, ვიდრე მე ვარ ცოცხალი,  
 თორემ დაგწყევლი, შვილო, უცილოდ! “  
 — დედი, დედილო, ყური დამიგდე,  
 ამ დიდ სიხარულს ნუღარ ჩამიკლავ.  
 მოვა დრო, ყოველს დედავ გამიგებ,  
 ლენინის სურათს გულში ჩაკრავ!...  
 ვიდექი ბავშვი გაოგნებული,  
 ხან დიდედას, ხან ბიძას ვუმზერდი.  
 სურათი იყო რა დიდებული,

ზვერავდნენ თვალი მოგუზგუზენი.  
მერე ღიღედას ვუთხარი ყურში:  
ვავიზჩრდები და გეტყვი ყველაფერს...  
და მან ალერსით ჩამიკრა გულში,  
ზეცას ახვდა ლურჯად შენაფერს.  
ზელნი ალაპყრო და სთქვა თრთოლვითა:  
— ლმერთო ბატონო, შენ შემიბრალე!

მზე ამოვიდა, აშრა თოვლი მთას...  
და იძახოდნენ: „გვეშველოს ბარემ!“  
მეც ჩავიხუტე ჩემი ანბანი  
მონატრებულმა, აღელვებულმა.  
მეც მივხვდი, რაა ჩემი მთა-ბარი  
და სოფელი რად ამღერებულა.  
და მაშინ ჩემი ვინატრე დედა,  
აღრე წასული წუთისოფლიდან.  
შავი თვალით რომ მომანათებდა,  
ჩემდა იძედად ესეც მყოფნიდა.  
და დედის სახელს მე წიგნზე ვწერდი,  
ვწერდი რვეულში მღელვარე გულით,  
და მასწავლებელს ვებრალებოდი,  
შიალერსებდა მე სიყვარულით.  
მერხზე ვიჯექი გაოგნებული  
და მასწავლებლის მე ჭმა ჩამესმა:  
— ჩემო ბიჭუნავ დამიგდე ყური! —  
და დედასავით მომეალერსა.  
თითქოს შეთრთოლდა მასწავლებელი,  
შერე ჩუმი ხმით ასე დაიწყო:  
— დღეს გლოვობს ჩვენი ქვეყანა მთელი,  
შინდა მიზეზი თქვენაც გაუწყოთ.  
დიდი ლენინი აღარ გვყავს უპვე  
(იტყოდა, მერე ჩაფიქრდებოდა).  
არ იქნებოდა უმისოდ შუქი  
და სკოლა თქვენთვის არ იქნებოდა.  
ჩვენს მამებს მიწა არ ექნებოდათ,  
არ ექნებოდათ, რაცა აქვთ ახლა,  
და ყველას მონა კვლავ ერქმეოდა,  
ვერ ასცდებოდნენ ბორკილს და ლახვარს.  
არ იქნებოდნენ მეუფე ქვეყნის,


არ ექნებოდათ წყალი და არც ცა,  
 მათორას დაჲკრავდა ბატონი კვეხნით,  
 არვინ ჩასთვლიდა ღირსეულ კაცად.  
 მთვარე იყო და მზე იყო, მაგრამ  
 ბურუსი იყო მუდამ გარშემო,  
 ლენინმა ჭირში ჩვენ გაგვამაგრა...  
 მერე რა მოხდა, იცით ბავშვებო?!

გაიყოლია ბრძოლაში ყველა,  
 ცეცხლით დაბუგეს მეფის სავანე.  
 ყველა ჭირვეულს, ღარიბს ეშველა  
 და გაეთხარა მტარგალთ სამარე.  
 ლენინი იყო, მზეს რომ უბრძანა  
 მხოლოდ ხალხისთვის იკაშკაშეო.  
 ლენინმა მოგვცა სკოლა და წიგნი,  
 ეჰ, დღეს ლენინი არ გვყავს, ბავშვებო!  
 გული იჯერა ტირილით როცა,  
 შემოიტანა მერე სურათი:

— აი, ლენინი! —

ჩვენ ცრემლი მოგვსკდა.  
 და გვიღიმოდა იგი სულმნათი.  
 იმ სურათს გაედა, ბიძაჩემმა რომ  
 ორი წლის წინათ სახლში დაჲკიდა.  
 „მე გეტჟვი ახლა, დიდედაჩემო,  
 ვიცი, ლენინი ჩვენთვის რას მკიდა!“

მაშინ ვიყავი ბავშვი პატარა,  
 მე „დედაენას“ გსწავლობდი მაშინ.  
 მაშინ ვიყავი ჩიტის საღარი,  
 დედის ტრფიალი, ლამაზი ბავშვი.  
 მოგონებანი გულში მოზღვავდა,—  
 ჩვითეუტე და ველარ გავშორდი.  
 ვარ დაჩოქილი თქვენს წინ ლოცვადა,  
 ტკბილო დღეებო ჩემი ბავშვობის!



## გისი ნაამბობი

როცა ეს სტრიქონები იწერება, იგი ცოცხალი არ არის. შარშან მო-  
ულოდნელად გარდაიცვალა ოთხმოც წილს მიღწეული, ჭერ კიდევ მხნე,  
შემძლე კაცი.

ამ ათი წლის წინათ გავიცანი. თუმცა მის შესახებ ადრეც მქონდა გა-  
გონილი. მაშინ იგი ქალაქის სათბობი სამმართველოს უფროსი იყო, მე-  
ტად დატვირთული, მოუცლელი და საქმეში ჩაფლული.

იმ დღესაც ხალხით იყო საესე მისი კაბინეტი. იყვნენ მუშები, მოსამ-  
სახურები, დიასახლისები, ხანდაზმულები და ახალგაზრდა მოქალაქენი.  
ეროვნებითაც ასე ჭრელი იყო აქ მყოფთა შემაღებელობა: ქართველები,  
რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები.

იგი იჯდა მაგიდასთან, წინ ფართო ქალალდი ედო და ფანქრით რა-  
ღაცას იწერდა.

— თქვენ რაზე შეწუხებულხართ? — ეკითხება ერთ მოხუც ქალს,  
რომელიც მოკრძალებით გაჩერებულა კარებთან.

ქალი პასუხობს რისთვისაც არის მისული.

— თქვენი გვარი?

— კეშელავა.

— ნავხავ (ზემო იმერული დიალექტით გამოთქვამდა), შემოიარეთ  
დილით. — და ქალალდზე მთხოვნელის გვარი წააწერა.

ახლა მეორეს მიმართავს. მასთან რუსულად საუბრობს. მესამე სომე-  
ხი აღმოჩნდა, იმას სომხურად ელაპარაკება. მეოთხე აზერბაიჯანელია და  
თავის ენაზე ეკითხება მისგლის მიზეზს.

და როცა ყველა გაისტუმრა, შემდეგ მე შემამჩნია.

— თქვენ?

— შეგიძლიათ ქართულად მესაუბროთ. — ღიმილით ვუთხარი მე.  
თვითონაც გაიღიმა.

— მრავალნაირი ეროვნების ხალხია ჩვენს ქვეყანაში.

— ყველას ხომ ვერ გაესაუბრები თავის ენაზე?

— ბევრი ენა არ ვიცი, მაგრამ... ქართული, რუსული, სომხური, თა-  
თრული უნდა ვიცოდეთ, რომ ერთმანეთის გვესმას და ერთიმეორებ-  
გავუგოთ.

— რასაკვირველია, სასურველია, მაგრამ... პატივცემულო ლევან! თქვენ რამდენ ენას ფლობთ კარგად?

— კარგად? — წუთით ჩაფიქრდა. — მშობლიურს, რუსულს, სომ-  
ხურს, ირანულს, თურქულს, არაბულს... ინგლისელს, ფრანგელსა და გერ-  
მანელსაც გავუგებ ნათქვამს და ჩემსასაც გავაგებინებ.

\* ახლა უფრო დავინტერესდი ამ კაცის ახლოს გაცნობით. ვთხოვე რა-  
მდენიმე თავისუფალი საათი დაეთმო ჩემთვის, რაზედაც სიამოვნებით  
დამთანხმდა.

პოდა, მას შემდეგ ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ვიგონებდით  
ძველსა და ახალ ამბებს.

ლევანი განათლებული კაცი იყო. შემოვლილი ჰქონდა მთელი ახლო  
აღმოსავლეთი, იცნობდა ირანს, არაბეთს, ერაყს, სირიას. ნამყოფი იყო  
რნცოეთში, პაკისტანში, თურქეთში, ორიგინალში ჰქონდა წაკითხული  
ფირდოუსისა და ომარ ჰაიამის ლექსები და პოემები, ზეპირად იცოდა ბე-  
ვრი გამოთქმა და აფორიზმი.

ერთხელ ვთხოვე, დაეწერა ყველაფერი რაც ამ ქვეყნებში მოგზა-  
ურობის დროს ენახა და გაეგონა, მაგრამ ლევანი არც თუ ისე აღტაცე-  
ბით შეხვდა ჩემს თხოვნას. უდროობა მოიმიზეზა.

— აი, შეგისრულდებათ სამოცი წელი, გახვალთ პენსიაში და მაშაბ  
რამდენიც გნებავთ იმდენი დრო გვექნება, — ვუთხარი მე.

— სამოცი? — ღიმილით შემომხედა მან. — სამოცდაათი წელი  
მისრულდება.

— პოდა, მით უმეტეს, გაღით პენსიაში, დაისვენეთ...

— არა, არა, — შემაწყვეტინა მან. — უსაქმოდ ვერ ვიცხოვრებ, ხე-  
ლფასიც რომ მომიხსნან, სამსახურს თავს ვერ მივანებებ.

და მართლაც ასე მოხდა. მას შემდეგ ლევანმა სამი თანამდებობა გა-  
მოიცავა, ყველგან თავდადებულად და ერთგულად მუშაობდა, მაგრამ  
ბოლოს...

სამი დღე იავადმყოფა და გარდაიცვალა.

ჩვენი სიახლოვის პერიოდში მე შევძელი ცოტა რამ ღამეწერინები-  
ნა მისთვის. მართალია, წერა ძალიან უჭირდა, მაგრამ ჩანაწერების მიხე-  
დვით ვესაუბრებოდი, ცალკეულ ფაქტებსა და დეტალებს ვამოწმებდი  
და ვიწერდი. განსაკუთრებით ირანში მცხოვრები ქართველების მდგო-  
მარეობამ დამაინტერესა და ჩვენი საუბარი მეტნაწილად ამ მხრივ წარი-  
მართა. ნაწილობრივ მეც ვიცნობდი მცს მიერ ნახსენებ ადგილებს და ეს  
მიაღვილებდა მუშაობას.

რა რასაც ამჟამად ვაქვეყნებთ, ჩაწერილია ლევან გამყრელიძის ნა-  
ამზობილან. ვისარგებლე აგრეთვე მისი ცალკეული ჩანაწერებით, რომ-  
ლებიც გადმომცა ლევანის უმცროსში ვაჟმა ომარმა.

1836 გვია-  
რა არა მარტივი

## არაბეთის უდაბნოში

1907 წლის ცხელი ზაფხული იდგა. იმ დღის ირანში მყოფმა რუსე-  
თის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელმა ანჯაფარი-  
ქებ მთხვე გავყოლოდი თურქეთის არაბეთში (ახლანდელი ერაყი) და  
სხვადასხვა სახის თესლეულის შეგროვებაში დავხმარებოდი. მას განსა-  
კუთრებით აინტერესებდა იქაური ფერადი ბამბის შეძენა. თავისუფალი  
დრო მქონდა და სიამოვნებით დავეთანხმე.

ვინაიდნ გზა მეტად გრძელი და ძნელად სავალია, მოგვიხდა სურსათ-  
სანოვაგისა და სხვა რამეების მომარავება.

და ერთ დიღას დაქირავებული ცხენებითა და საგზაო მოწყობილო-  
ბით ქალაქ ურმიიდან სოუე-ბულალის მიმართულებით წავედით. ჩვენთან  
ერთად მოგზაურობდა ზემოაღნიშნული საზოგადოების წარმომადგენელი  
რუსი ბიოლოგი მკვლევარი ლუკანი. თან გვახლდნენ ნაქირავები ცხენე-  
ბის პატრონი ირანელი გლეხები, რომლებიც კარგად გვშველოდნენ ყო-  
ველგვარი სიძნელეების გადალახვაში.

სამი-ოთხი დღის სიარულის შემდეგ გადავჭირით ირანის საზღვარი,  
შევედით ოსმალეთის სამფლობელოში და ქ. მოსულში შევისვენეთ. აქ  
დავნაყრდით, ტანსაცმელი გამოვიცვალეთ და, რაღაც აქედან გზის განგ-  
რძობა ცხენებით აღარ შეიძლებოდა, აქლემები დავიქირავეთ, ხანგრძ-  
ლივი და მომქანცველი მგზავრობისათვის მოვმარავდით. მეორე დღე  
აქლემებზე შევსხედით და ქარავანიც დაიძრა. წინ მეტად ძნელი და მოსა-  
წყენი გზაა, ირგვლივ გადახრუჟული შიშველი ველებია. იშვიათად თუ  
საღმე გამოჩნდება ხეები და ბუჩქები. აქლემების პატრონები — ჩვენი  
თანამეზავრი არაბები, მეტად თავაზიანი და საუბრის მოყვარული ადა-  
მიანები აღმოჩნდნენ. ისინი დაინტერესდნენ არა მარტო ჩვენი ვინაობის  
გაგებით, არამედ მოისურვეს ჩვენი მოგზაურობის მიზნის შეტყობაც.

— ვინ იცის, — თქვა ნაღვლიანად ერთმა არაბმა, — ჩვენს, ამ მზით  
გამომწვარ ქვეყანაში რა ჯურის ადამიანს არ შეხვდებით. მოღიან, თხრი-  
ან, იკვლევენ, რაღაცას ეძებენ, ერთმანეთს ეცილებიან. არ ვიცით რა  
უნდათ, რას ეძებენ. აქ რომ რამე სასიკეთო იყოს, ჩვენ ადრე ვიპოვნიდით.

ასე ამბობდა გულუბრყვილო არაბი, და რა იცოდა, რომ მისი მიწის  
წიალის სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად რა ხრიკებს არ მიმართავდნენ  
სხვადასხვა ქვეყნის კოლონიზატორები. განსაკუთრებით გერმანია-ინგლი-  
შის იმპერიალისტების ინტერესები ეჭახებოდა აქ ერთმანეთს. რაც შეე-

ხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, იგი თავისებური მოთმინებით ადევნებდა თვალყურს ამ მხარეში შექმნილ მდგრმარეობას და უფრო ხელსაყრელ დროს უცდიდა საკუთარი ზრახვების სისრულეში მოსაყვარებად. აქაური ნავთის სუნი არ ასვენებდათ დაგეშილ მტაცებლებს.

რაც უფრო დავშორდით მდინარე ტიგროსს, მით უფრო გავიძნელა გრა. განსაკუთრებით ძნელი ასატანი გახდა სიცხე, რომელიც ჩრდილში აც კი 55 გრადუსს აღემატებოდა. ყველაზე უფრო წყურვილი გვაწუხებიდა. წყლის მარაგი, რომელიც თან მიგვქონდა, სწრაფად ილეოდა. იძულებული ვიყავით ძალზე მომჭირნეობით გვეხარჯა.

ჩვენი ტრანსპორტი ვერ იყო კარგ დღეში. მეტისმეტად ამტანი და აქაურ ჰავას შეგუებული აქლემებიც კი ვერ უძლებდნენ მზის მხურვალებას და წამდაუწუმ ბრაზმორევით იფურთხებოდნენ.

მივღიოთ მეტწილად ლამით, როცა ვარსკვლავებით მოჰქედილი, ცა ქვაბივით გვეხურა თავზე. ამ მხარეში მგზავრობისათვის ყველაზე უფრო მოხერხებული დრო ლამეა და ჩვენც ამოთ გსარებლობდით. ღილით, როცა უზარმაზარი მზე ამოგორდებოდა აღმოსავლეთიდან და დაშთუთქავ სხივებს დაგვაყრიდა, საჩრდილებელ კარვებს გავშლიდით და მოვეფარებოდით. თუ მახლობლად დასახლებული ადგილი იყო და აღმიაჩინა ჭაჭანებდა, ჩვენს მეგზურ არაბებს გავგზავნიდით სურსათ-სანოვაგის შესაძენად. თუმცა ამ დავალების შესრულება იშვიათად უხდებოდათ.

გზას დასასრული არ უჩანდა. ზაფხულის მოკლე ღამე, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იყო, ვერ გვამოკლებინებდა გასავლელს. ამიტომ ხშირად გაგანია სიცხეშიაც გვიხდებოდა მგზავრობა. ერთი მეორეზე დღვრამები 20-25 კილომეტრს ძლივს გავდიოდით.

ნიადაგი ამ მხარეში თითქმის ყველგან ერთნაირია, ერთნაირად გადაღაბრუჯულ-გადარუჯული. მხოლოდ მდინარეების მახლობლად შეხვდებით ხეებსა და მწვანე მცენარეებს. აქ ზალებიც არის, ყანებიც, მოსახლეობაც. ასეთ ადგილებად შეიძლება ჩაითვალოს ტიგროსის და ევფრატის ნაპირები. ამ წყალუხვი მდინარეების მახლობლად არის გაშენებული ბევრი ლამაზი, მდიდარი ქალაქი და აღმინისტრაციული ცენტრი.

ჩვენი თანამგზავრი ლუკინი გზადაგზა მისთვის საჭირო მასალებს აგროვებდა. კრეთდა ცნობებს აქაური მცენარეების შესახებ, ნიადაგის ტენიანობასა და მოსავალუნარიანობაზე. მოჰქონდა ნაირნაირი მცენარეების თესლი და იწერდა მათ სახელებსა და თვისებებს.

მოსულიდან გასვლის მეათე დღეს წყლის მარაგი მთლიანად გაგვითავდა, სიცხისაგან ტუჩები დაგვისკდა, სახე გაგვერუჯა, მუხლებში ძალა გამოვეველია და, ალბათ უარეს დღეში ჩავცვივდებოდით, ჩვენი მეგზური არაბების რჩევა რომ არ მიგველო და აქლემების მეძუძურები არ გავმხდარიყავით. ვწოვდით ამ კეთილსა და უწყინარ ცხოველებს ძუძუს და ამით წყურვილთან ერთად შიმშილსაც ვიკლავდით.

ერთ დღეს, შებინდებისას, ერთ გრილსა და ნესტიან ადგილას მოვა-  
ვდით. აქ წყალს სიცოცხლე მოეტანა, ჭაობიან ადგილას ლაქაშები მოძ-  
ლიერებულიყო, მახლობლად პატარა წყარო ლივლივებდა. უკეთეს ად-  
გილს ვერ ვინატრებდით და ჩვენც აქ შევაჩერეთ ქარავანი და ჩამოვქვე-  
ითდით. ჯერ წყლით ვიჭერეთ გული, შემდეგ ცოტათი დავნაყრდით. ჩვენმა  
მხლებლებმა, არაბებმა ცეცხლიც კი გააჩალეს და მის ირგვლივ შევჭრ-  
დით (რამდენადაც მხურვალე და ცხელია დღე ამ კუთხეში, იმდენად ცი-  
ვი და გრილია ღამე).

მალე ჩვენს მახლობლად ასეთივე ცეცხლი გაჩალდა და მის ირგვლი-  
ვაც ხუთი-ექვსი კაცი შექუჩდა.

ეტყობოდათ, ისინიც ჩვენებრ შორეული მგზავრები იყვნენ, გაცილე-  
ბოთ ჩვენზე უკეთ ჩაცმულ-დახურულნი და მომარაგებულნიც. ერთი  
ჰაუზანი, რომელიც ამ ჯგუფის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო, ქერა.  
შეუახნის ახოვანი ვაჟკაცი, ბევრს ლაპარაკობდა და ხშირად ხარხარებდა.  
როცა შეგვნიშნა, რომ ჩვენი ყურადღება მიიპყრო, გამოეყო თავისია-  
ნებს, მოვიდა ჩვენთან და მოგვესალმა. ჩვენ სალამითვე ვუპასუხეთ და  
შემოერთება ვთხოვეთ.

— საიდანა ხართ, სადაურები? — დაინტერესდა იგი და იქვე ჩამოვდა.

ჩვენ ვუპასუხეთ.

— აჲ, ქართველები ხართ? — ახლა ქართულად შეგვეკითხა უცნობი.

— ღიახ. — მივუგე მე და ვფიქრობდი, ქართველს არა ჰგავს, ვინ  
უნდა იყოს-მეთქი.

— მიმოგზაურია საქართველოში, — განაგრძო უცნობმა, — ცოტა-  
ოდენი ენაც ვიცი. ნაცნობი ქართველი მეცნიერებიც მყავს საქართველო-  
ში... კარგად იცით საქართველოს ისტორია? — შემათვალიერა მე.

— არც თუ ისე კარგად. — უხერხულობა ვიგრძენი. — წამიკითხავს.

— სირცხვილია, სირცხვილი. შენი ერის ისტორია ყველაზე კარგად  
უნდა იცოდე... მერე, რა მდიდარი წარსული აქვს საქართველოს. ერთ  
დროს ისინი ამ კუთხის მკვიდრნი იყვნენ. აქედან წასულან კავკასიაში.  
ძალზე დიდი ხნის ამბავია. მეცნიერები და მკვლევარები ბევრ რამეში  
დაობენ. საფუძვლიანად არ არის შესწავლილი ამ ხალხის ისტორია. ბევ-  
რად უფრო აღრინდელ პერიოდს ასახელებენ მისი ჩამოყალიბების  
თარიღიად.

საქართველოს ისტორიიდან ცოტა რამ ვიცოდი, ისიც ზერელედ და  
ამიტომ შეკამათება ვერ გავტედე. ნათქვამი დავუდასტურე, რომ ქართვე-  
ლი ისტორიკოსები ახლა ამუშავებენ საქართველოს ისტორიას და ვნა-  
ხოთ როგორი გამოვა-მეთქი. შემდეგ მისი ვინაობითა და საქმიანობითა  
დავინტერესდი.

— გერმანელი მოგზაური და მკვლევარი კოხი. — ხელი ჩამომართვა-  
მან... შემოვლილი აქვს თითქმის ყველა აღმოსავლური ქვეყანა. იცნობა-

ამ ქვეყნებში დასახლებული ხალხების ისტორიასა და აღათ-წესებს.

და მართლაც გამიკვირდა, ამ უცხოელმა კაცმა ისე ამიწერა ჩემი სამშობლო, ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულება და ხასიათი, თითქოს ამ კუთხე-ში შობილი და აღზრდილი ყოფილიყოს. გამოთხოვებისას შემპირდა. ერთხელაც სამშობლოში გესტუმრები და მასპინძლობა უნდა გამიწიოო. მაგრამ მას შემდეგ არსად შემხვედრია და არც მის შესახებ მსმენია რამე.

ამ მგზავრობის დროს შევიტყვე, რომ ქ. მოსულის სამხრეთით, მდინარე ევფრატის მიმართულებით, ცხოვრობს ქართველი ტომის შთამომავალი ორასამდე კომლი, იაკობინელებად წოდებული. გადავწყვიტე მათი გაცნობა და როცა საამისო დრო ვიშოვე, გვევმგზავრე. სოფელი, სადაც ეს ტომი ცხოვრობს, მდებარეობს მოსულიდან სამხრეთით 250 კილომეტრზე. მცხოვრებლები ლაპარაკობენ თანამედროვე ქართველისათვის ძნელად გასაგები ენით. ამ ენას ისინი კუთფურს უწოდებენ. ლიარებენ ისკობის რჯულს. აქვთ დამწერლობა, რომელიც ჩამოგავს ქართულს, მაგრამ მე მცონია მასთან საერთო ნათესაობა არ უნდა ჰქონდეს, ყოველ შემთხვევაში მე ამ დარგში კომპეტენტური არა ვარ. თავიანთ თავს ქართველი ხალხის ერთ-ერთ შტოდ თვლიან და იძახიან, რომ საქართველოში მათი მოძმენი ცხოვრობენ. ჩვენი ხალხის შესახებ ბევრი არაფერი იციან, ხოლო რაც იციან, ლეგენდის სახით. ეწევიან მეურნეობას. მოჰყავთ აბრეშუმი.

არასოდეს დამავიწყდება აგრეთვე ქართველი ერის უძველესი ისტორიის მცოდნე კიდევ ერთ უცხო პირთან შეხვედრა. ეს უკი რამდენიმე წლის შემდეგ, სახელდობრ 1938 წელს, როცა ირანიდან წასული ქალაქ ბასრაში ვიმყოფებოდი. ეს ქალაქი ახლანდელი ერაყის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია სამხრეთში, ირანის სახელმწიფო საზღვრის მახლობლად. მაშინ იქ ინგლისელები ბატონობდნენ და აღგილობრივი მოსახლეობა შევიწროებული და დევნილი იყო.

ამ ქალაქში რამდენიმე დღე დაგრჩით და სანამ ჩვენს საქმეს მოვავარებდით, აქაურ მკვიდრთა ცხოვრებასა და საქმიანობას გავეცანით.

ჩვენ გაგვაკვირვა მათმა გამძლეობა-ამტანიანობამ. ეს დაბეჩავებული ხალხი სულიერად მხნედ გამოიყურებოდა, დიდ იმედებს ამჟარებდა მომავალზე.

ერთ დღეს საჩაიეში ვისხედით და ვსაუბრობდით (!) მე თარი ირანელი, ფერეიდნელი ქართველი მეგობარი მახლდა). საჩაიეში ხალხი ბლომაც ირეოდა. ლაპარაკობდნენ არაბულად, თურქულად, ფარსულად. აქ-აქ სრულიად უცხო ენა და დიალექტი გამოერეოდა, ალბათ რომელიმე პატარა ტომის წარმომადგენლებისა, მაგრამ ამ ენების ურთიერი ნათესაობა და კავშირი შესამჩნევი იყო. გამონაკლისს წარმოადგენდა ჩვენა ქართული, რომელიც არც ერთ მათგანს არ უახლოვდებოდა.

ხალხი გადიოდ-შემოდიოდა. სხვადასხვა სახისა და აგებულების აღა-  
მიანები სცვლიდნენ ერთიმეორებს.

ის იყო ძოვათავეთ ჩაის სმა და წამოსვლას ვაპირებდით, რომ მეზრ-  
ძელი მაგიდიდან ერთი მაღალი ტანის კაცი წამოდგა და მოგვიახლოვდა:  
— მაპატიეთ, — მეუბნება იგი ფარსულად. — რა ენაზე ლაპარაქო-  
ბდით ოქვენ ახლა?

— ჩვენს მშობლიურ ქართულ ენაზე. — მივუგე მე.

— ქართველები ხართ? — ნებართვა ითხოვა და ჩვენთან ჩამოჭდა.

— დიახ, ქართველები.

უცნობმა ბეჭითად შეგვათვალიერა. იგი შუა ხანს გადასული იქნე-  
ბოდა, ოდნავ შეჭარავებული, ეცვა ისე, როგორც ეს აღმოსავლეთელ-  
შეძლებულებსა და ინტელიგენტებს აცვიათ.

— ამათ კი ირანულ ყაიდაზე რომ აცვიათ?! — ჩემს თანამგზავრებს-  
ჰქილა თვალი.

— ესენი ირანელი ქართველებია. — ავუხსენი მე.

— ოქვენ?

— საქართველოდან. გაგიგონიათ საქართველო?

უცნობმა გაიღიმა.

— გაგიგონია? გამიგონია კი არა მისი ისტორია შემისწავლია. ჯერ-  
კიდევ ძველად, ასეთი მიმოსვლის საშუალებები რომ არ იყო, მაშინ მა-  
მოდიოდნენ ჩვენი წინაპრები ერთმანეთთან. ალებ-მიცემობა და ვაჭრობა  
ჰქონდათ გაჩალებული. ჩვენზე უკეთ იცნობდნენ ერთმანეთს. ახლა მი-  
მოსვლის საშუალებები განვითარდა და ჩვენ კი დავშორდით... მაში ესენი  
ირანელი ქართველებია? შეუნარჩუნებიათ ეროვნული ენა და ეშხი. ქარ-  
თველები უფრო ჩვენ — არაბებს გვგვანან. კანის ფერი, ყბა, თავის ქალა,  
იერი... ამ საქმეში ცოტა დამეჯერება. ქართველები გამჭრიახობითა და  
მახვილგონიერებით გვჭობნიან. მეტად გაბედული და თავგამეტებუ-  
ლი არიან.

და ახალგაცნობილმა ბევრი რამ საინტერესო გვიამბო, ბევრი, ის-  
ტორიაში ცნობილი და სახელგანთქმული ქართველი ვაჟკაცის გმირობა  
მოგვაგონა.

— ირანის სახელმწიფოსათვის დიდი სამსახური გაუწევია ქართვე-  
ლი ტომის შვილებს. ახლაც ბევრი ეროვნებაშეცვლილი ქართველი სარ-  
დლობს ირანის ლაშქარს. ოსმალეთში ხომ საუკეთესო თანამდებობება  
უჭირავთ ქართველთა შვილებს. ჩვენშიაც მოიძებნებიან ამ ერის ენაშე-  
ცვლილი და გადაგვარებული შთამომავალნი.

დიდი ხნის წინათ გერმანელ კოხთან შეხვედრა მომაგონა ახალგაც-  
ნობილმა არაბმა მეცნიერმა. ეს უფრო დალაგებულად და ისტორიული  
სიმართლით მესაუბრებოდა ჩვენი ერის წარსულზე, უფრო კარგად იშვე-  
ლიებდა ფაქტებს.

ძიუხედავად იმისა, რომ იმავე დღეს ვაპირებლით გამომგზავრებას: არაბი მეცნიერის თხოვნითა და ხათრით კიდევ რამდენიმე დღე დავრჩის და ბევრი რამ საინტერესო მოვისმინეთ. იგი აღმოჩნდა ადგილობრივი სასწავლებლის ხელმძღვანელი, პედაგოგი, ისტორიკოსი და საქმაოზ ჟურნალის პედაგოგი პიროვნება. სამწუხაროდ, ყველაფერი ვერ დავიმახსოვრე, ჩანაწერები კი საღლაც გამებნა.

## შერეიდნელი მეგობრები

ქ. ოეირანში ყოფნისას რამდენიმე ირანელ ქართველს გავეცანი. ყველაზე უწინ ფერეიდნელი იაღულა თავაძე დამიახლოვდა. იგი სოფელ მარტყოფილან იყო, ქართულს კარგად ლაპარაკობდა და საუბარიც უყვარდა. იმ დროს იგი რეინიგზაზე მუშაობდა, მუშათა წრეში ტრიალებდა და ბევრ საკითხში კარგად ერკვეოდა. იაღულა ახალგაზრდა, ოცდარვა-ოცდაათი წლის იქნებოდა, ახალდაცოლშვილებული. ოჯახი სოფელში ჰქონდა და ამიტომაც, იხელთებდა თუ არა თავისუფალ დროს, იქითკენ გარდოდა. მის ქონებას ერთი პატარა სახლი და ერთი ნაკვეთი მიწა შეაღენდა. ნაკვეთზე გაშენებული ჰქონდა საქიშმიშე ვაზი, ბაღჩა და ხეხილი, რომელსაც იაღულას ცოლი უკლიდა. ამას გარდა ჰყავდა რამდენიმე ცხვარი და ფრინველი. იაღულას ცოლი იმავე სოფლის მცხოვრებ ონიკა-შვილის ქალი იყო, ტანწერწეტა, შველივით სწრაფი და ჯანმაგარი. უცხო ქვეყნის ჰავას, სხვადასხვა ტომებთან ურთიერთობას, სარწმუნოების შეცვლასა და ყოფა-ცხოვრების გაუარესებას, მართალია, დიდი გავლენა მოეხდინა აქ გადმოსახლებულ ქართველებზე, მაგრამ, რაც მთავარია, ეროვნული იერი ვერ გამოეცვალა. სახე, თვალები, ტანადობა, დარღმიან-დობა ქართული შერჩენოდათ. მაგალითად, იაღულას ცოლი ნამდვილი კახელი ქალის ასლი იყო, იაღულა კი ქიზიყელ ვაჟკაცივით ჯმუხი, დინ-ჯი და ღარბაისელი.

→ ბარემ არ გვინდა გადავგვარდეთ, დავკარგოთ ჩვენი ქართველური კუში, მაგრამ ხომ იცი ღროთა ვითარებაში რამდენი რა იცვლება. წინათ თხოვა-გათხოვის დროს მტკიცედ გვქონდა დაცული ჩვენი ეროვნული ერთიანობა. სხვა ტომის კაცზე ქალს არ გავათხოვებდით, უცხო ცრის შეილს რძლად არ მოვიყვანდით, მაგრამ თანაბაზ შევუშვით ხელი ამ წესის დაცვას. უფრო და უფრო შემოიჭრა ჩვენში უცხოური სისტემი და გადაგდერების უამი მოგვიახლოვდა. — შემომჩივლა ერთხელ იაღულა თავაძემ. — სილარიბე და გაჭირვებაც ბევრად უწყობს ხელს ჩვენს დაძუღნებას. — და ერთი ამბავი მომიყვა.

რობიტაშვილი ერთი საწყალი კაცი იყო, ღარიბ-ღატაკი. იგი ღმერთმა არ გასწირა და ისეთი ქალი მისცა, რომ ახლო-მახლო უკეთესი არ

დაღიოდა. უერეიდნელი ქართველები შესაფერ საქმროს ეძებლნენ ამ ჭი-  
ლრსათვის, მაგრამ დაასწრო თურქმა ჰაჯი მაჰმუდმა, ქალის მშობლებს  
დაიდალი ძლვენი და საჩუქრები გაუგზავნა და მოციქულის პირით ქალი—  
შეილი სოხოვა. რობიტაშვილს თავბრუ დაესხა იმდენი საჩუქრებისაგან,  
ლერთს მაღლობა შესწირა და ქალი თურქს მიათხოვა. ამის შემდეგ წა-  
ლმა შემობრუნდა რობიტაშვილის ბედი. სიძემ მას ცხვრის ფარა მისცა,  
სახნავ-სათესი მიუზომა და ეს დაცემული ოჯახი ფეხზე წამოაყენა. სიძემ  
სხვაც ბევრი სიკეთე გაუკეთა, სიმამრი წაიყვანა, შორეული ქვეყნები შე-  
მოატარა, ყველა სალოცავზე ალოცვინა და საიქიოში აქედანვე მოუპო-  
ვა ადგილი და სამკვიდრებელი. ახლა ჰაჯი მაჰმუდი საკმაოდ ჭარმავია.  
მაგრამ გადაუწყვეტია მეორე ცოლად სიმამრის ძმიშვილი, ლამაზი გო-  
გონა შეირთოს.

— ასეა, ჩემო პატრონო. — დაამთავრა იადულამ რობიტაშვილის  
ამბავის მოყოლა. — თითო-ოროლა გვტაცებენ ხელიდან საუკეთესო  
შვილებს.

მე ვთხოვე, როცა კი დროს იშოვიდა, გაეწია ჩემთვის მეგზურობა  
და ეჩვენებინა ის აღგილები, საღაც ქართველი ტომები ესახლენ (რა-  
საკვირველია, ფერეიდნელი ქართველები არ მყავდა მხედველობაში).  
რაღაც მათ ცხოვრებას ძალიან კარგად ვიცნობდი).

— მე ვერაფერი მეგზური ვიქნები, პატრონო. ფერეიდონისა და  
თეირანისა გარდა არსად ვყოფილვარ, მაგრამ თუ თქვენ მართლა გაქვთ  
სურვილი ასეთი აღგილების ჩამოვლისა, ისეთ კაცს მოგიყვანთ, რომ მთე-  
ლი დუნია ჰქონდეს შემოვლილი. ჩალვადრად ნამყოფია და ვინ იცის  
რამდენი ქალაქი და სოფელი უნახავს.

— ძალიან დამავალებ თუ ასეთ დახმარებას გამიწევ. — ვუთხარი მე  
და ვთხოვე, რაც შეიძლება დააჩქაროს იმ კაცის მოყვანა.

მას შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ იადულამ ერთი უცნობი  
კაცი მომიყვანა.

— აი ეს გახლავთ, პატრონო. — მითხრა მან და უცნობზე მანიშნა.  
უცნობმა გულზე ხელები დაიკრიფა, თავი დაჭხარა და მომესალმა.

— აბასყული ონიკაშვილი. — მითხრა მან, ხელი გამომიწოდა,  
ჩამომართვა და შემდეგ გულზე მიმიკრა.

ჩაგრი დავსხედით. აბასყული ჩემს პირდაპირ ჩამოჭდა. ეს იყო კარგი  
შესახედაობის ვაუკაცი, თითქმის ორმოცდაათს მიღწეული. ეცვა კარგად,  
შველაფერი მოსაწონი ჰქონდა, მაგრამ მისი სახე არ მომეწონა. მას სიკ-  
ვითლე შეპარვოდა, თვალთა უპეები წამობეროდა. შევატყვე, თრიაქის  
მოყვარული უნდა ყოფილიყო და მართალიც გამოდგა. მიუხედავად ამი-  
სა იგი ამაყად, თავმომწონედ გამოიყურებოდა. ალბათ ჩემი ხათრით,  
თორებ იადულს ის თავს არ გაუყადრებდა, მასთან ურთიერთობას არ  
იყადრებდა.

ჩვენი საუბარი ერთმანეთის მოკითხვით დაიშვი.

— როგორ ბრძანდებით, პატრონო? — ეს იყო პირველი შეკითხვა, რომელიც ონიკაშვილმა მომცა და პასუხი რომ მიიღო, მეორე მოაყელა: — როგორ ბრძანდებიან ჩვენი უფროსი ძმები დიდ საქართველოში? ხომ არაფერი უჭირთ, ხომ არაფერი აწუხებთ, მტერი ხომ არ ავიწროებთ? — ამ შეკითხვების პასუხიც რომ მიიღო, ცოტა ხანს ჩაფიქრდა, შემდეგ შემოხედა და მკითხა:

— ჩვენზე, ჩვენს ბედზე თუ ფიქრობენ იქ...

— ქართველი ხალხი თავის ძმებზე და მოკეთებზე მუდამ ფიქრობდა და კვლავაც იფიქრებს. — ვუპასუხე მე. — დაღვება დრო, როცა ჩვენ ერთმანეთის ჭირისა და ლხინის უშუალო მონაწილენი გავხდებით. უფრო ახლოს ვიქნებით ერთიმეორესთან.

ჩემმა პასუხმა აბასყული აღაფრთვაა.

ამის შემდეგ ჩვენ სხვადასხვა საკითხებს შევეხეთ. აბასყული იადულაზე ბევრად მჭევრმეტყველი აღმოჩნდა. ბევრი ევლო და ენახა, შეეძლო ყველაფერი ეს სასარგებლო საქმისათვის გამოეყენებინა, მაგრამ მისი გონება იმდენად იყო გაბრუებული რელიგიური ფანატიზმით, რომ ყველ მოვლენას ზეციდან მიღებულ წყალობად თვლიდა. მისი აზრით, რაც დედამიწაზე ხდება, ზეცის განკარგულებითაა.

ამ საკითხზე დავა არ გამიმართავს, რაღაც ვიცოდი სასურველ შედეგს ვერ მივიღებდი და ამიტომ ჩემი სურვილი გავაცანი.

— ძალიან კარგი, პატრონო. — მითხრა მან. — ირანში მცხოვრებ ქართველების შესახებ ბევრი რამ ვიცი. ბევრი ნაცნობიც მყავს. ჩალვალ-რობამ აბა სხვა რა სიკეთე მომცა. თუ წავალთ, კარგად უნდა მოვემზადოთ. მეგზურობას მე ვიკისრებ. საგზალსაც მოვამზადებინებ. ამ ბიჭსაც თუ წამოიყვანთ, ურიგო არ იქნება. — მანიშნა იადულაზე. — შორს მიმავალ მგზავრს ფათერაკიც თან მიჰყვება. — და ონიკაშვილმა ერთი აბბავი მომაგონა, რომელიც მეც კარგად ვიცოდი, მაგრამ ყველაფერი ახსნილი არ იყო ჩემთვის.

ამბავი ეხებოდა გედევან ქუთათელაძის მოლვაწეობას ირანში და მის საეჭვო მკვლელობას.

1908 წ. ქუთათელაძე ირანში საიდუმლოდ გადავიდა და ფერეიდნელ ქართველებისათვის ქართული წიგნები გადაიტანა. ამ წიგნებს წერა-კითხვის გაშავრცელებელი საზოგადოება უგზავნიდა ირანელ ქართველებს. ქუთათელაძე პროფესიით მასწავლებელი იყო, ზედმიწევნით ენერგიული და საქმიანი კაცი.

თავრიზიდან ქუთათელაძე ორმა ფერეიდნელმა ახალგაზრდამ წაიყვანა. ის ცხენზე შესვეს, ბარგი ვირებს აჰეთეს და გზას გაუდგნენ. გზაზე შემოაღამდათ, შეარჩიეს ერთი მყუდრო ადგილი და დაბანაკლენ. მოქანცულ ქუთათელაძეს მალე მიეძინა, ჩაიძინა ერთმა თანამგზავრმაც,

მაგრამ მეორე ფხიზლობდა. ალბათ ბევრი ფიქრის შემდეგ მან გადაწყვიტა ქუთათელაძის მოკლა და მისი ქონების მისაკუთრება. მას ლამაზაღ შეკრული ფერადი წიგნები ფულებად მოეჩვენა. რელიგიის მიმდევარი მაპმადიანისათვის მეტად მძიმე ცოდვად ითვლება ასეთი დანაშაული, მაგრამ არ აჩებობს ისეთი კანონი, შემოსავლელი რომ არ ჰქონდეს. ცოდვა ცოდვაა, მისი ჩადენა ყველას ეკრძალება, მაგრამ ცოდვის გამოსყიდვა ძნელი არ არის, ფულით ყველაფერი შეიძლება. გაძარცვე, მოჰკალი, გაანადგურე, მაგრამ წალი სალოცავზე, მიიტანე ძღვენი, დახარჯე ოქრო, ილოცვე და ყველაფერი გეპატიება. საბრალო და უბედული ის არის, ვისაც არც სალოცავზე წასვლის საშუალება აქვს და არც შესაწირავი ბაჯალლები. ამიტომაც არის, რომ ირანში ღარიბ-ღატაკი უფრო გაურბის ბოროტმოქმედების ჩადენას, ვიდრე შეძლებული კლასის წარმომადგენლები.

პოდა, ახალგაზრდამ ითიქრა, ამდენი ფული მექნება, წავალ სალოცავებზე, ნაწილს დავხარჯავ, ცოდვას მოვინანიებ და შემდეგ დარჩენილი ფულითაც კარგად ვიცხოვჩებო. ეს ჩანაფიქრი მან სისრულეში მოიყვანა, მოძებნა დიდი ქვა, მივიღა მძინარე ქუთათელაძესთან, სიხლიშა თავში და იქვე მოკლა. შემდეგ გააღვიძა ამხანაგი და უთხრა, თითქოს უცაბედად დაგორებულმა ქვამ მოჰკლა მათი პატრონი. ამხანაგი შეშინდა, აცახუახდა, მაგრამ მკვლელმა ის დამშვიდა. გაუმხილა თავისი განზრახვა ქუთათელაძის ფულების მითვისებისა და შემდეგ სალოცავად წასვლის შესახებ, მაგრამ გახსნეს ბარგი და შიგ წიგნების გარდა ვერაფერი იპოვეს. საგონებელს მიეცნენ.

! ხვა გზა არ იყო, ეს ამბავი საიდუმლოდ უნდა შეენახათ და სასჯელი აეცილებინათ, მაგრამ კარგად ვერ დაფარეს ბოროტმოქმედების კვალი. მიცვალებული იქვე დამარხეს, წიგნები კი სოფელში წაიღეს.

ამ მკვლელობის შესახებ რამდენიმე დღე არაფერი იცოდა, შეიძლება ვერავისაც ვერ გაეგო და ისე მიჩქმალულიყო, რომ თავრიზიდან ქუთათელაძის გამომგზავრების შესახებ ერთ ფერეიდნელ ქართველს ნოვზირხან ონიკაშვილს არ სცოდნოდა. სცოდნოდა კი არა, მისი რჩევით დაიქირავა ქუთათელაძემ იმ ახალგაზრდების სახედრები და ცხენი. მისი აზრით საქართველოდან ჩამოსული ქართველი სტუმარი საიმედო ადამიანებს ჩააბარა და გაამგზავრა.

აი ეს ონიკაშვილი დაინტერესდა ქუთათელაძის ბედით და თავრიზში ჩამოსულ თანასოფლელს ჰქითხა, როგორ ცხოვრობს ჩვენი სტუმარი მასწავლებელი, თავს კარგად ხომ გრძნობსო. თანასოფლელმა გაიკვირვა, ასეთი ჩვენს სოფელში არავინ მოსულაო. წიგნები ბევრი მოიტანეს, მაგრამ კაცი არ მოჰკოლიაო.

ონიკაშვილი დაინტერესდა. მაშინვე გაემგზავრა სოფელში და ქუთათელაძე მოიკითხა, მაგრამ რომ ვერაფერი გაიგო, სოფლის თავკა-

ცებს აცნობა. ახლა ისინი დატრიალდნენ. დაიწყო დაკარგული კაცის ქეპნა, შეიპყრეს ქუთათელაძის წამომყვანი ახალგაზრდები, დაჰკითხეს. პარველად უარყოფა მოიწადინეს, მაგრამ მალე დაიბნენ და აღიარეს, რომ ქართველი პატრონი ლამით დაგორებულმა ქვამ მოჰქლა და, რადგან ამის გამცელის შეეშინდათ, მიცვალებული იქვე დაასაფლავეს.

ამ ამბავმა მთელი სოფელი აატრიალა. წავიღნენ იქ, საღაც ქუთათელაძის მკვლელობა მოხდა, გახსნეს საფლავი, შეამოწმეს ყველაფერი და ლარჯმუნდნენ, რომ კაცი მოკლულია თავში ქვის დარტყმით.

(კედარი დიდი პატივისცემით გაასვენეს მარტყოფისაკენ და იქ მასიაპაათა სასაფლაოზე დაკრძალეს.

ამის შემდეგ შეუდგნენ დამნაშავეების დაკითხვას. მკვლელმა აღიარა დანაშაული და პატიება ითხოვა, მაგრამ სოფელმა მათი სასტიკად დასჭა გადაწყვიტა. ახალგაზრდები ქვებითა და კეტებით დასდევდნენ სოფლის შემჩრეცვენლებს. ქალები წყვევლა-კრულვით იხსენიებდნენ მათ სახელს.

შემდეგ რა ბედი ეწია იმ საზიზლრებს, ამის შესახებ მე არაფერი ვიცოდი და აბასყულიმ მითხრა:

— გაიპარნენ, გავიღნენ სოფლიდან, მაგრამ კარგი არაფერი მოსვლიათ. ქუთათელაძის მკვლელი, მართლაც, კლდიდან მოხეთქილმა ქვემ გასრისა, ხოლო მისი ამხანაგი ჭკუიდან შეიმალა და საღლაც ძალივით ჩაგვდა.

იმ დღეს დიდხანს ვისაუბრეთ. ონიკაშვილი შემპირდა, როგორც კი გადაწყვეტდი გამგზავრებას, მეცნიერებისა მისთვის და ისიც წამოვიდოდა.

ჩემი სურვილი დიდხანს დარჩა სურვილად. სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოვახერხე ირანში გაძნეულ ქართველთა ნახვა, მათთან მისვლა-გაბაასება. იადულა თავაძესა და აბასყული ონიკაშვილთან ერთად ბევრი სხვა ადგილები შემოვიარე და ბოლოს, როგორც იქნა, მოვახერხეთ გამგზავრება და იმ ადგილების დათვალიერება, იმ ხალხის ნახვა, რომელიც თავის თავს ქართველად თვლის, საქართველოს დიდ სამშობლოდ აღიარებს, თუმცა არც ქართული ენა ესმის და არც საქართველო უხილავს თავის დღეში.

## გალუჯისტანისაკენ

დილის ციაგია. მოოქროსფერო აღმოსავლეთის ცის კაბადონი ცხელი დღის დადგომას გვპირდება. წინა დღით შეთანხმებულებმა ღროზე მოვიყარეთ თავი. შეპირებული მანქანაც მოვიდა და ჩვენც დავიძარით.

გზა სწორი და განიერია, მაგრამ ბევრ ადგილას გაცვეთილი და ორმოებმოხშირებული. ჩვენი მანქანა მაინც კეცავს საათში სამოცხე მეტ კილომეტრს.

ონიკაშვილი კარგად იცნობს ამ მხარეს. ამ მხარეს კი არა მთელი ტრანი, ავღანისტანი და პაკისტანი შემოვლილი აქვს ჩალვადრობის დროს შესაუბრება აქაურობის შესახებ. იცის ყველა სოფლისა და დასახლებული ადგილების წარსული და ახალი ისტორია. იცნობს ადგილობრივ მოსახლეობას და ამიტომ არის, რომ სადაც კი შეუცხვევთ, ყველგან დიდი პატივისცემი ავეგებებიან.

ჩვენი შესასვენებელი პირველი პუნქტია ქალაქი ყუმი, მაგრამ გზა-ლაგზა ბევრჯერ დავარღვიეთ ეს წესი. მანქანას ვაჩერებთ იქ, სადაც კი რაიმე მნიშვნელოვანი ადგილია, ან სოფელი მოვერწონება, ან ბალები და ბალჩები, მდინარე, ან ცივი წყარო მიგვიზიდავს და მიგვიპატიუებს.

სოფლები ხშირად გვხვდება, ლამაზი ბალები, უამრავი ხილი. ეტყობა. წყალი არ აკლიათ და მსუყე მიწაც არ ძუნწობს. მიუხედავად ამისა, ვოსახლეობა მეტად საცოდავად გამოიყურება — ჩაუცმელ-დაუხურავი აღამიანები, დედიშობილა მოტანტალე, მზისაგან გარუჭული ბავშვები, ჩაძონდილ-ჩაგლეჭილი დედაკაცები.

აქაური სოფლების კულტურული დაწესებულება მეჩეთი და შედრე-სეა. აქ იყრინ თავს, აქ ლოცულობენ, ამ ლოცვებსაც აქ სწავლობენ და იზეპირებენ. აქვეა მთელი მათი ცხოვრება, აქვე მიიძინებენ საიქიოს მიმავალნი.

მოსახლეობის სწავლა-განათლებაზე არავინ ზრუნავს. რაც მოსავალი მოსდით, ან არ იყიდება, ან ჩალის ფასად მიაქვთ ჩარჩ-ვიჭრებს. ხანები და მათი კაცები ხომ სულ გლეხობის კისერზე არიან ჩამოკიდებულნი.

ავდივართ ყუმის უღელტეხილზე. ის საკმაოდ მაღალი მთაა, სავსე-ბით მწირი, გამოფიტული და გახროკილი. აბასყული წინასწარ მეუბნება, რომ ამ უღელტეხილზე გაღასვლისას ჩვენ დავინახავთ ყუმის მეჩეთს, დიდი ხნის ისტორიის მქონე ხუთგუმბათიან სამლოცველოს, რომელიც განთქმულია აღმოსავლეთის ქვეყნებში, როგორც ყველაზე შესანიშნავი ძეგლი.

— აი, პატრონო, ისიც, — მეუბნება აბასყული, როცა მანქანა უღელტეხილს გადაადგა. — ხუთივე გუმბათი ოქროსაგან არის გაკეთებული.

ჩამდენად მართალია ონიკაშვილის ნათქვამი, ეს მე არ ვიცი, მაგრამ ცაში აზიდულმა ხუთმა გუმბათმა, მართლაც ოქროსავით შემოგვაბრწყინა თვალებში.

— ამ ხუთში ერთ-ერთი გუმბათი ქართველი მეფის აგებულია, მის სახელზე. ქართული წარწერაც აქვს ბოლოში. — ამბობს აბასყული. — როცა ამ სამლოცველოს დავინახავთ, მოვალე ვართ წარმოგვსთქვათ დავთის სადიდებელი. — და აბასყულიმ მაშინვე ღაღადყო: „ბისმილლა რაჭმან“. მას იადულამაც მიბაძა.

— თუ თქვენც ამ ლოცვას გაიმეორებთ, ჩვენი მგზავრობა მეტად

კეთილად და ბეღნიერად დამთავრდება, პატრონო. — გამიპირდა აბასყული და თხოვნა რომ შევუსრულე, აღტაცებაში მოვიდა.

— ჩვენს პატრონს ლოცვებიც ცოდნია. — კმაყოფილებით თქვენიადულამ.

ამაში ის არ ცდებოდა. აღმოსავლეთ ქვეყნებში ხანგრძლივგმა მოგზაურობამ, იქაურ ადამიანებთან ურთიერთობამ მე ბევრი რამ შემძინა და მასწავლა. მათ შორის ბევრი უსარგებლო, მაგრამ ბევრი მეტად საჭირო და გამოსაღები. ამ დროს მე თავისუფლად ვსაუბრობდი ფარსულად. თურქულად, არაბულად, სომხურად... საერთოდ აღმოსავლეთის ხალხებთან, თითქმის ყველასთან ვახცრხებდი თარჯიმანის მოუშველებლად საუბარს.

იმას ვამბობდი, ჩემს თანამგზავრებს ესიამოვნათ, რომ მათ ხათრი არ გავუტეხე და მათებურად ლოცვა წარმოვთქვი. რელიგიას მეტად ღრმალ აქვს გაღმმული ფესვები, როგორც ძირითად მცხოვრებ ირანელებსა და თურქებს შორის, ისე სხვა ტომებშიც, კერძოდ აქაურ ქართველებშიც. სალოცავად მიღიან არა მარტო მახლობელ სამლოცველოებში, არამედ ძალიან შორსაც. რაც უფრო შორს წავლენ სალოცავად, მით უფრო დაიფასებენ თავს, მით უფრო ადვილად დაიმკვიდრებენ სასუფეველს იმ ქვეყანაში.

მარხვა, ლოცვა, შახსეი-გახსეი, უსწავლელობა და სიბნელე ბატონობს მთელ სახელმწიფოში.

ირანელთა სიღარიბისა და სიბეჩავის მიზეზი სწორედ ეს რელიგიური ფანატიზმია. ხალხი ბრმად მიჰყვება ხოჭა-მოლების გზას, ემორჩილება ხანებისა და მაღალი თანამდებობის პირების მითითებებსა და ბრძანებებს.

რელიგია ოპიუმიაო, დაამტკიცა მეცნიერებამ. ირანელი ხალხი გამვეულია ამ რელიგიურ ოპიუმში, მაგრამ რაღა იქნება მაშინ თუ ამ რელიგიურ ოპიუმს ნამდვილ ოპიუმს — თრიაქს მივუმატებთ?

თრიაქს — ყველაზე საშინელი საწამლავის მოწევა ისეა გავრცელებული ამ ქვეყანაში, როგორც ღვინის სმა საქართველოში. ყველგან, ყველა სასადილოში თუ ჩაიხანაში სასმელ-საჭმელთან ერთად თრიაქსაც შემოგთავაზებენ. იშვიათია ისეთი ვინმე, რომელიც ერთხელ მაინც არ შემცდარიყოს და მისი გემო არ ესინჯოს. იშვიათია ისეთიც, რომელსაც ერთხელ ესინჯოს და არ შეჩვეოდეს.

ეს საწამლავი წინათ უცხოელებს შემოჰქონდათ. განსაკუთრებით ინგლისელი ვაჭრები ეტანებოდნენ თრიაქით ვაჭრობას და კარგ ფულსაც აქეთებდნენ. ახლა თრიაქის დამზადება თვით ირანელებმაც შეისწავლეს და შორს წასვლა არ სჭირდებათ. ბევრი საუკეთესო ვაჟკაცია ამ საწამლავით ფერდაკარგული, გაყვითლებული, გამხდარი, დაბეჩავებული და გამოლენებული.

ულელტეხილზე რომ გადავედით, ეროი მოზრდილი, ლურჯად მოელ...  
ვარე ტბა შეგვხვდა და მანქანა გავაჩერეთ.

— ამ ტბაში რომ აღამიანი ტანს დაიბანს, სამუდამოდ განიკურნება, —  
ვვეუბნება აბასყული. — ღვთისაგან კურთხეული წყალია, პატრონო...  
და მირჩევს ვიბანაო.

მე წყლის გემოს ვსინჯავ, იგი სხვა არაფერია თუ არა ჩვეულებრივი  
შლაშე, ოდნავ მომწარო გემოს წყალი, რომლის მსგავსსაც ხშირად  
ვხვდებით აღმოსავლეთ ქვეყნებში. თუ რაიმე სნეულების განკურნება  
შეუძლია და არგებს, ეს მხოლოდ კანის სნეულებას.

აქედან პირდაპირ იმ ხუთგუმბათიან სამლოცველოსაკენ გავეშუ-  
რეთ. მივედით ახლოს. სამლოცველო მართლაც კარგი ნაშენია, ლამაზად  
მოჩუქურთმებული. მანქანა გავაჩერეთ, გადმოვედით, გვინდა შევიდეთ  
შიგ, მაგრამ მცველი არ გვიშვებს. დიდი ლაციის წინ სამლოცველოს ვა-  
ლაგებთ, ვასუფთავებთ, ვიდრე არ მოვრჩებით ვერ შეგიშვებთ, მობრძან-  
დით სამი საათის შემდეგ და დიდი სიამოვნებით მიგიღებთო. ჩვენ გაჩე-  
რების დრო არ გვქონდა და წავედით.

ჭ. ყუმი ძველთაძველი ქალაქის, ირგვლივ მაღალ გალავანშემოვლე-  
ბული. აქვს შესანიშნავი ბაზარი, რომელიც სავსეა სხვადასხვა სასოფლო-  
სამეურნეო პროდუქტებით. აღაყაფის კარებთან დარაჯმა შეგვაჩერა, ჩვე-  
ნი მოწმობები შეამოწმა და მერე მოგვცა ქალაქში შესვლის ნებართვა.

ქალაქი უსუფთაო და კეთილმოუწყობელია. მოსახლეობის მეტი  
ჩაწილი მშრომელია. ბევრი ხალიჩების საქსოვ ფაბრიკაში მუშაობს, ბევ-  
რი საკუთარ მეურნეობას აფართოებს. არიან „კუსტარები“, რომლებიც  
ზოლიჩებს ვარდა ფარჩეულებსაც ქსოვენ. ამ კუთხეში ბევრი მოდის ბამ-  
ბა, ამზადებენ საუკეთესო ქიშმიშს.

დილიდანვე უჭმელნი ვიყავით და დასანაყრებლად მახლობელ ჩაი-  
ჰანაში შევეღით. ჩაიხანის პატრონმა ონიკაშვილი იცნო, გაეხარდა და  
ძმასავით მიიღო, შემდეგ ჩვენ მოგვესალმა და მიგვიპატიუა.

შევეღით ხალხით სავსე შენობაში, დავიკავეთ აღგილი. აბასყულიშ  
ჩვენთვის საჭმელი დაუკვეთა, ხოლო თვითონ საღლაც გაქრა.

— თრიაქის მოქაჩა მოუნდა, პატრონო. — წამჩურჩული იადულამ.  
— დალუპა კაცი იმ საშინელმა საწამლავმა. არაფერი არ გადის, არც  
რჩევა, არც მუდარა.

იადულა მართალი გამოდგა. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენთან მოსულ  
ონიკაშვილს ადამიანის ფერი არ ედო. თვალები დასიებული და ამობურ-  
ლული, დაწვები ჩალურჯებული, ნესტოები გაფართოებული პქონდა.

— მომქალით თუნდა, მაიხც ვერ მოვიშლი. — მითხრა მან, როცა  
ვუსაყვედურე.

საუზმე ნოყიერი და კარგი იყო. არც ისე ძვირი, როგორც სხვა ქალა-  
ქებში. ჩაიხანის პატრონს ანგარიში გავუსწორეთ, მაღლობა გადავუხა-

დეთ, ჩავსხედით ჩვენს მანქანაში და გზა განვაგრძეთ, მაგრამ ვაი ისეც მგზავრობას. საშუალოზე გადასული მზე ისე აცხუნებდა დედამიწას. რომ წყალს აადულებდა. მანქანაში თერმომეტრი სამოცდათამდე ვკიდა. ისე გახურდა რკინის ნაწილები, რომ ხელს ვერ ვკიდებდოთ. ჩვენი მძღოლი ხშირხშირად აჩერებდა მანქანას და გავარგარებულ ნაწილებს ხელოვნურად აგრძლებდა.

რაც უფრო წინ მივიწევდით, მით უფრო უარესდებოდა აღგილმდებარეობა. აღარც სოფლები გვხვდებოდა ისე ხშირად. წყალსა და მცენარეებზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება, ერთი უბრალო ბუჩქიც არ დაგვინახავს.

— მაგრამ ნუ გეშინიათ. — გვამშვიდებდა აბასყული ონიკაშვილი. — საცაა მივალო ქალაქ ქაშანში და ყველაფრით გულს ვიჯერებთ.

ჩვენ არაფერი ისე არ გვინდოდა, როგორც ცივი წყალი. ყველაფერს მოვითმენდით და ავიტანდით, მაგრამ ეს უწყლობა საჭმეს გვიჭირვებდა.

ასეული კილომეტრი მოკეცა ჩვენმა მანქანამ დილას აქეთ.

მივჟახლოვდით ქ. ქაშანს. გამოჩენდა სახლების კონტურები. ქალაქში შესვლამდე წყაროსთან შევისვენეთ. მართლაც ძალიან ცივი და ანკარა წყალი გამოუყვანიათ შორეული მთიდან გვირაბებისა და ჭების საშუალებით. ხელპირი დაგიბანეთ, მტვერი დავიფერთხეთ, წყლით გული ვიჭერეთ და შემდეგ ქალაქისაკენ გავსწიეთ.

ქაშანი ბევრად არ განსხვავდება უშმისაგან. აქაც ისეთივე გალავანი საგუშაგოებითა და სათოფურებით, ისეთივე ალაყაფის კარები და ისეთივე მიღება-გამასპინძლება. აქაც საქსოვი ფაბრიკები, ბამბის წარმოება, ისეთივე ჩაიხანები, მაგრამ გაცილებით მეტი სიცხე ლა სიმხურვალე. იდგილს ვერ ვპოვულობდით თავის შესაფარებლად. ჩეროშიაც კი საშინელი ალმური, ურიცხვი ბუზი... ძალებივით იქმინებოდნენ წყეულები.

— გვიშველე რამე, — მივმართე აბასყულის, — წაგვიყვანე სადმე.

— ნუ გეშინიათ, პატრონო, — აქაც ისეთივე ტონით დაგვიწყო დამშვიდება ონიკაშვილმა. — წამობრძანდით ჩაიხანაში. ჩემი ძველი მეგობარი კაცია მისი პატრონი, გვიშოვის ადგილს.

წავყევით, მაგრამ ჩაიხანაშიც აუტანელი სიცხე იდგა. ჩაიხანის პატრონმა, აბასყულის ძველმა ნაცნობმა და მეგობარმა, გულთბილად მიგვიღო. რომ შეგვატყო სიცხისაგან ისე შეწუხებულნი ვიყავით, ჩაიხანის ქვემოთ, სარდაფში ჩაგვიყვანა. იქ მართლაც გრილოდა და კეთილმოწყობილიც იყო, კედლები ძვირფასი ხალიჩებით დამშვენებული. იატაკზედაც ასეთივე ხალიჩები ეგო. აქ შეიძლებოდა საღილობა და დასვენებაც.

სარდაფში ჩვენს გარდა არავინ იყო და თავისუფლად ჩამოვსხედით ერთ კუთხეში. როგორც ყველგან, აქაც პირველად ჩაი მოგვართვეს, შემდეგ მაწვნის სუპი, თიხის ქოთნით ფითი, ლულა-ქაბაბი და ჩაციებული შარბათი.

სადილის შემდეგ მე და აბასყული იქვე წამოვწექით, ხოლო მძღოლი და იაღულა ზევით ავიდნენ მანქანასთან.

ტახტზე წამოწოლილთ მალე მიგვძინებოდა. ჩაიხანის პატრონს სარღაფში ახლა სამი სხვა საპატიო სტუმარი ჩამოეყვანა და სადილი მიერთმია. მათ იქ ყოფნასა და ლაპარაკს ალბათ ვერ გავიგებდი, ისე მაგრაც მეძინა, მაგრამ საშინელმა კვამლმა და სიმყრალემ გამომალვიძა. თვალები გავახილე. ისეთი ბნელი მეჩვენა იქაურობა, რომ ვერაფერი გავარჩიე. ბოლოს დავინახე, ეს ახალი სტუმრები თრიაქს ეწეოდნენ და ცხვირპირიდან ამოშვებული ბოლით იქაურობას სწამლავდნენ. იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა, საშინელი თავბრუსხმა და გულის რევა დამიწყო. გავაღვიდე აბასყული და სარღაფიდან ზევით ასვლა ვანიშნე, მაგრამ დაინახა თუ არა მან ეს სურათი, თვალები გაუფართოვდა, პირში ნერწყვი მოადგა. ჩემთან ბოდიში მოიხადა, უცნობ სტუმრებთან მივიდა, შემოთავაზებული თრიაქის მოსაწევი ჩიბუხი მიიღო, თრიაქის ნატეხი მაყალზე შეათბო, ჩიბუხის ნასვრეტში ჩადო, შემდეგ მაშით ნაკვერჩხალი აიღო, ჩიბუხში ჩადებულ თრიაქს დაადო, მოქაჩა და ცხვირიდან ისეთი შავი და მყრალი ბოლი ამოუშვა, რომ გული კინალამ წამივიდა. იქ რა გამაძლებინებდა. მაშინვე ამოვვარდი სარღაფიდან. მანქანასთან ჩამომჯდარ იაღულას დავავალე დაეძანნა აბასყულისათვის და გაბრუებული იქვე მივეგდე. გავიდა ხანი. იაღულა არ ჩანს. ახლა შოთერი გავგზავნე მათ მოსაყვანად.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდნენ ეს ჩემი მეგობრები, მოვიდნენ გაბრუებულნი, თვალებგაღმობრეცილნი, ფერმიხდილნი.

— აბასყული კი, მაგრამ შენ რაღა მოგივიდა ბიჭო? — შევეკითხე იაღულას, რომელიც მოწამლულ ქათამივით აქაცუნებდა თავს.

— სულმა წამდლია, პატრონო. თრიაქის მოწევა უფასოთ ხუმრობა ხომ არაა. ასეთ შემთხვევას იშვიათად შეხვდება აღამიანი. — მიპასუხა აშჩემმა საიმედო მეგობარმა, იმ კაცმა, რომელიც რამდენიმე საათის უკანონიკაშვილს უმტკუნებდა თრიაქით გატაცებას.

ჩვენი გზა ქ. იაზდისაკენ მიღიოდა. იქამდე სამასი კილომეტრი უნდა გაგვევლო და ამას ხუთი-ექვსი საათი მაინც მოუნდებოდა. ახლა ისე აღარ ცხელოდა და მგზავრობაც გვიაღვილდებოდა.

მე მძღოლთან ვიჯექი და ხშირ-ხშირად მოვიხედავდი ხოლმე უკან, რომ ჩემი თანამგზავრების მღვიმებრეობა გამეგო. ისინი კარგა ხანს აქანდურებდნენ თავს, ერთმანეთს მიხუტებულნი. ბოლოს როგორც იყო მოფხიზლდნენ და ერთი ახალი ამბავი მომიყვნენ.

— იქ რომ სამი კაცი იყო, — დაიწყო აბასყულიმ, — იაზდელებია, სამივე ქართველი ხანი. როცა გაიგეს მე ფერეიდნელი ქართველი ვარ და ოქვენ კი დიდი საქართველოდან მოსული ქართველი, სიხარულით აღარ იცოდნენ რა ექნათ. დამავალეს, როცა იაზდში ჩავალო, ვესტუმროთ სახ-

ლში. ამ მისამართიც მომცეს. — და ონიკაშვილმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო.

ამ ამბავმა ძალიან გამახარა. გაგონილი მქონდა, ამ მხარეში ძველი ქართველები ცხოვრობდნო და მათი ნახვა სულითა და გულით მწედდა.

იაზდში ლამის თერთმეტ საათზე ჩავედით. სავაჭროები დაკეტილი იყო, ბნელოდა. აბასყულიმ მთხოვა წავიდეთ იმ ხანისას, თუ თვითონ არ დაგვიხვდება, მისი ოჯახი მიგვიღებს, საკადრისად მოგვასვენებსო, მაგრამ მე არ დავეთანხმე. იქვე სასტუმროში ნომერი დავიქირავე და დავბინავდი. იადულა და მძღოლი მანქანასთან დარჩენ გარაუში, ხოლო ონიკაშვილმა თავისი არ დაიშალა და ხანისას წავიდა.

ის იყო ჩამეძინა, რომ კარებზე კაფუნი მომესმა.

— მე ვარ, პატრონო, — მესმის იაღულას ხმა. — ის ხანი გეახლათ და მის ოჯახში წამობრძანებას გთხოვს.

მოქანცული ვიყავი, ძალიან მიჭირდა აღგომა, მაგრამ უარის თქმა არ შეიძლებოდა.

ხანი შეტაღ კეთილშობილი და ლირსებამოყვარე აღმოჩნდა. როგორ, ჩვენს ქალაქში დიდი საქართველოდან კაცი გვესტუმროს და ოჯახის კარები არ გავხსნათ და არ შევუძღვეთ! ახლავე უნდა წამობრძანდეთო. გვთბოვა და წაგვიყვანა.

თორმეტი საათი იქნებოდა ხანისას რომ მივედით, მაგრამ მთელი ოჯახი ფეხზე დაგვხვდა. ვეებერთელა სასტუმრო დარბაზი სადღესასწაულოდ იყო მორთული. ჩვენი მისვლით გახარებული ხანი მამის მოსაყვანად წავიდა, უმცროსი ძმის დასახახებლად კი ბავშვი გაგზავნა.

დავსხედით აბრეშუმის ხალიჩაგადაგებულ ტახტზე.

ცოტა ხანი და ამ ოჯახის პატრონის მოხუცი მამა მოვიდა — თეთრი, ნამდვილი ქართველი წვერ-ულვაშით, დარბაისლური მიხვრა-მოხვრითა და თავაზინობით, თავადიშვილური ამპარტავნობითა და ქედმალობით.

ჩვენ მას ფეხზე ამდგარი შევხვდით. იგი მარჯვედ გადმოდგმული ნებისით მოვიახლოვდა, მოგვესალმა, ხელი ჩამოგვართვა და შუბლზე გვეამბორა.

— ხომ კეთილად იმგზავრეთ? როგორ ცხოვრობენ ჩვენი ძმები დიდ საქართველოში? ხომ არაფერი აწუხებთ? — (საერთოდ, პირველი რასაც ამ მხარეში მისულ ქართველს ჰქითხავენ, ეს არის.).

— დიდი მაღლობელი ვართ, რომ მობრძანდით და გვინახულეთ, — განაგრძო მოხუცმა. — ოთხმოცდაათი წლის კაცი ვარ და აქ ჩამოსული ქართველი კაცი არ მინახავს, როცა შეძლება მქონდა, თეირანში ხშირად დაგდიოდი და იქაურ ნათესავებს ვნახულობდი. შაჰ აბაზის დროიდან არიან იქ ჩვენი გვარის კაცები. ათაბაგები საქართველოშიც ხანები ყოფილან და შაჰმაც არ დაუკარგა მათ გვარიშვილობა. ჩვენი წინაპრების გვარი ჯანდიერია. ამ გვარის წარმომადგენლებმა დიდი რამ გააკეთეს ირა-

ნისათვის. ზოგიერთი ისე დაწინაურდა, რომ ვეზირიც კი გახდა. — და მოხუცი ჯანდიერების იმ შტოს ამბავს მოჰყვა, რომლის შთა- გომავალიც ოვითონ იყო.

ამ მოხუცის ბაზუა შაპს იაზდის გუბერნატორად დაუნიშნიერს. აქე- ალი გუბერნატორი ენერგიულად ჩადგომის საქმეს სათავეში. ბევრი რამ კარგი გაუკეთებია და მოუწყვია. განსაკუთრებით დიდი დახმარება აღმო- უჩენია აქაური ქართველებისათვის. ახალგაზრდა გუბერნატორს მოწო- ნებია იაზდელი გურჯის ლამაზი ქალიშვილი და მასზე დაქორწინებულა. ამ ქალისაგან ორი ვაჟი შეძენია, იმ ვაჟებს კიდევ ორ-ორი ვაჟი მიუმა- ტებიათ საგვარეულოსათვის.

— ჰოდა ჩემს შვილებსაც ორ-ორი ვაჟი ჰყავთ. — დაასრულა მოხუ- ცმა ამბავის მოყოლა. — ნელ-ნელა ვმრავლდებით, მაგრამ ჩვენმა ძმებმა დიდ საქართველოში კი არაფერი იციან ჩვენს შესახებ. ეს ძალიან საწყე- ნია. — ახლა საყვედურები დაიწყო.

— ჩვენი წინაპრები მეთვრამეტე საუკუნეში მოხვდნენ ამ სა- ტანგველში. ვიცით, რომ მათი სამშობლოსადმი სიყვარული დიდი იყო. პურს არ გატეხდნენ ისე, რომ საქართველოს მიწა-წყალი არ დაეღლოცათ. მათი თვალი და ყური დიდ საქართველოსაკენ იყო მიპყრობილი. დიდ- ხას უვლიდნენ და ინახავდნენ თავიანთ ღირსებასა და სარწმუნოებას. დრო-უამს ელოდნენ თავის გამოხსნისა და მშობლიურ ქვეყანაში დაბრუ- ნებისას. შვილებს საქართველოს სიყვარულსა და პატივისცემას უნერგა- ვდნენ... მაგრამ საუკუნეს საუკუნე მიჰყვა და ხსნა არსაიდან... გატყდა, დაეცა ხალხი. სარწმუნოების შეცვლამ ქართველობას ფესვებში წყალი შეუყენა... დავკარგეთ ყველაფერი. ერთადერთი რაც ხელთა გვაქვს და შენეობას გვმატებს, ეს არის ჩვენი ერის სიყვარული. გულიდან ამოუშ- ლელი სიყვარული. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ჩვენ აქამდე თავს გურჯს ვეძახით და ვამიყობთ, რომ ასეთი ერის შვილები ვართ.

მოხუცმა დაკვირვებით შემომხედა.

— ალბათ შეგაწუხეთ ამდენი საყვედურებით. მეპატიება, ჩემს სი- ცოცხლეში პირველად მიხდება ჩემი სამშობლოს ნამდვილ შვილთან გა- საუბრება და მას ყველაფერი უნდა ვუთხრა — ის, რაც კარგი და სასია- მოვნოა და ისიც, რაც საწყენი და გულის დამალონებელია. ასე მიდის ჩვენი ცხოვრება, ჩემო დვირთასო სტუმარო, და ამავე დროს მემკვიდრევა და ნათესაო, ასე ვატარებთ დღეებს დიდ სამშობლოს მოწყვეტილნი, მა- გრამ ჩვენს შვილებსა და შვილთაშვილებს გულში ვუნერგავთ საქართვე- ლოსა და ქართველი ხალხის სიყვარულს.

ამასობაში ვახშამიც მოგვართვეს და ჩვენი საუბარი შეწყდა.

ვახშამი გააწყო მოსამსახურე ბიჭმა. პირველად, რასაკვირველია, ჩაი- შემოიტანა, შემდეგ შემწვარ-მოხარშული ქათმები, ერბო-კვერცხი, ყვე- ლი, მაწონი, სასმელად შერჩეთი, საქანჯაბი, ავდული (სხვადასხვა გემოს

სასტელები). ნავახშმევს ისევ ჩაი დავაყოლეთ და ცოტა ხნით წავისა-  
უბრეთ.

ნაზარ-ხანი საქმაოდ მდიდარი კაცია, აქვს საქსოვი ფაბრიქა, ვარგად-  
მორთული ოჯახი, ვეებერთელა ეზო ნაირნაირი ხეხილით, ჰყავს პირუტ-  
ყვი და საკუთარი მანქანა.

ჩემი სტუმრობა ამ ოჯახისათვის დიდი სასიხარულო დარჩა. ქალები, რომლებსაც ეკრძალებათ მამაკაცებთან გამოჩენა, შორიდან გვიჭვრეტ-  
დნენ, გვიღიმოდნენ და გვესალმებოდნენ.

— რა ვქნათ, — დანანებით თქვა მასპინძელმა, — ასეთია ჩვენი სა-  
რწმუნოების კანონი. ქართველებს ქართველობა არ უნდა დაეკარგათ და  
ჩვეულება შეენარჩუნებინათ, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. როგორც კი  
შენიშნავდნენ მუსლიმანური სარწმუნოებიდან გადახვევას, საშინელ ზო-  
მებს ღებულობდნენ, გვავიწროებდნენ და ამრიგად იძულებული გავხა-  
დეს მთლიანად მიგველო მათი ზნე-ჩვეულება.

მაგრამ ქრისტიანული სარწმუნოებიდან ბევრი რამ მაინც შერჩენო-  
დათ ნებით თუ უნებლიერ. მაგალითად, მე ხშირად შევხვედრივარ ლამაზ  
გოგონას, ან ბიჭს, რომელსაც შუბლზე ჭვარის გამოსახულება ჰქონდა. რო-  
ცაც მიზეზი მიკითხავს, უპასუხნიათ, რომ ასეთ ლამაზ ბავშვს ავი სუ-  
ლი ემტერება და ეს ჭვარი მას იცავს.

— ამ კუთხეში ჩვენზე წინათ ჩამოსახლებული გურჯებიც არიან. —  
— მეუბნება ნაზარ-ხანი. — ისინი ცეცხლთაყვნისმცემლები ყოფილან,  
შემდეგ არაბების შემოსევის დროს გადახვეწილან აქედან. — შემპირდა.  
ხვალ ერთ-ერთ იმათგანს გაგაცნობ და ის ყველაფერს მოვიყვებაო.

იმ ღამეს კარგად მოგვასვენეს. ღილით მშვენიერი საუზმე მოგვარ-  
თვეს და კარ-მიღმო დაგვათვალიერებინეს.

ლამაზი ეზო აქვს ნაზარ-ხანს, კარგად გაშენებული. რა გინდა, შიგ  
რომ არ ჰქონდეს დარგული. ყველაფერი მოვლილი და კარგად ნაპატრო-  
ნებია.

— ახლა წავიდეთ და აქაური გურჯების საქმიანობასაც გაეცანით. —  
შემომთავაზა მასპინძელმა და მეც სიამოვნებით დავთანხმდი.

გავიარეთ რამდენიმე ათეული ნაბიჯი და ერთ ეზოს მივადექით. ეზო  
განიერი იყო, მაგრამ მოუწყობელი. პატარა ფარდულების წინ ეყარა  
სხვადასხვა ფერის მიწა, ხის ქერქები, ნაირნაირი ბალახულობა, სხვა-  
დასხვა ზომის კასრები და ყუთები.

— აი აქ ცხოვრობს იმ ძველი ქართველის ერთი წარმომადგენელი, —  
მეუბნება ნაზარ-ხანი. — შევიდეთ, გაეხარდება თქვენი ნახვა.

სანამ ეზოში შევიდოდით, მისი სირლმიდან ერთი მალალ-მალალი მო-  
ხუცი გამოვიდა და შემოგვეგება.

— მობრძანდით. — შეგვიპატიუა მან.

შევედით, თავმდაბალი სალამი ვკადრეთ და დავსხედით.

— ეს ჩვენი ძველი ნათესავი ქართველია. — გააცნო ჩემი თავი ნაზარ-  
ხანმა.

— ქართველი?! — თვალები გაუბრწყინდა მასპინძელს. — საქართველო-  
ლოდან ბრძანდებით?! — შემომხედა მან.

— დიახ, საქართველოდან.

მასპინძელმა ნაღვლიანად ამოიოხრა.

— ვინ იცის როდის რა იყო, — თქვა მან. — ჩვენი ძველებისაგან  
მსმენია, უხსოვარ დროიდან არიან ამ კუთხეში ჩამოსახლებულნი. მაშინ  
საქართველოში ცეცხლთაყვანისმცემლობა ყოფილა და ის რწმენა აქაც  
გადმოუტანიათ. შემდეგ არაბები შემოსევიათ აქაურებს და ჩვენი ძველ-  
ები ინდოეთში გადახვეწილან. იქ დასახლებულან, მაგრამ როცა არაბებს  
აქაურობა დაუტოვებიათ, ზოგნი კვლავ თავიანთ კუთხეს დაბრუნებიან. ბე-  
ვრი ძეგლია დარჩენილი წინაპართაგან. აქ მიცვალებულებს წვავდნენ,  
ფერფლს ურნებში ინახავდნენ, ურნებს კი წარწერას უკეთებდნენ. თუ არ  
დაიზარებთ, შემიძლია გაჩვენოთ, იქნებ ამოიკითხოთ.

ჩვენი მასპინძელი კარგად ჩაცმულ-დახურული იყო, ღიღრონი,  
ოქროს ბეჭდები ეკეთა თითებზე, თავზე თეთრი ჩალმა ეხურა, ცალ ყუ-  
რზე ღიღი საყურე ეკეთა. ტანზე კრძელი ძოწეული ემოსა. ასე რომ ნა-  
მდვილი ინდოელი იყო. ნამდვილი ინდოელი, მაგრამ გურჯობა საამაყოდ  
მიაჩნდა და გაცნობისას ყველას გურჯად აცნობდა თავს.

— მე ფრედონ სანგს მიწოდებენ, — თქვა მან ბოლოს. — ფრედონი  
ქართული სახელია. — და მოკლედ მოპყვა „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი-  
მართალია, ის ძალიან დაშორებული იყო შოთას უკვდავ ქმნილებასთან,  
მაგრამ მსგავსება იგრძნობოდა.

როცა მე ყურადღება მივაქციე ეზოში დაყრილ სხვადასხვანაირ მი-  
წაა და ხის ქერქებს, ეს მასპინძელმა შემნიშნა და მითხრა:

— საღებავების მასალაა. პატარა ქარხანა მაქვს, საღებავებს ვამზა-  
დებ. ჩემი საღებავები განთქმულია დუნიაზე. — და მოხუცმა საღებავების  
ნიმუშები გვიჩვენა. შემდეგ ოჯახში მიგვიპატიუა, მაგრამ ვინაიდან მიგვე-  
ჩქარებოდა, მადლობა გადავუხადეთ და გამოვეთხოვეთ.

გავიარეთ ცოტა მანძილი და ხალიჩების საქსოვ ფაბრიკაში შევედით.  
ფაბრიკა ეკუთვნოდა ორ აქაურ გურჯს — ჰავი ჰუსეინ გურჯსა და ჰავი  
ალაქარ გურჯს. გარდა საქსოვი ფაბრიკისა მათ ეკუთვნოდათ საჩაიერები,  
ქარავან — სარაიები და ფულის დასახურდავებელი კანტორა.

ჩემი მისვლა აქაც ძალიან გაეხარდათ. გამომკითხეს ყველაფერი, რაც  
კი აინტერესებდათ, განსაკუთრებით ქართველი ხალხის დღევანდელი  
მდგომარეობა. ბევრი საყვედური მითხრეს, რომ მათ არ ვკითხულობთ,  
მათს ცხოვრებას არ ვეცნობით.

— ჩვენ ბევრი რამ ისეთი გვაქვს წამოლებული საქართველოდან,  
რომ ალბათ ახლა თქვენც არ იცით მისი მნიშვნელობა და ფასი, — მითხრა

ჰეჭი ჰუსეინმა.— ჩვენ ვქსოვთ ისეთ ფარჩეულებსა და ხალიჩებს, რომ მსგავსი დადამიწაზე არსად არ იქსოვება, გვაქვს ისეთი სალებავები, რომლის დასაღარი არსად კეთდება.

ჩვენ დავათვალიერეთ საქსოვი და სამლებრო ფაბრიკა. სულ ათიოდე დანადგარი მუშაობს, რომელსაც ორმოცამდე ქალი და კაცი ემსახურება. იმის შიშით, რომ ფაბრიკიდან ქსოვისა და სალებავების საიდუმლოება არ იქნეს გატანილი, მუშები სულ იმ სოფლის მცხოვრებლებია და ისინიც გურჯები.

— ჩვენი სოფლის ქალს სხვა სოფელში არ ვათხოვებთ ამ საიდუმლოების გატანის შიშით, — მითხრა ნაზარ-ხანმა.

მასპინძლებმა აქაც ბევრი გვეხვეწეს დავრჩენილყავი მათთან, ბევრი გვპატიუეს, მაგრამ ჩვენმა მხლებელმა, ამ კუთხეში საკმაოდ გავლენიანმა ხანმა ამის ნება არ მოგვცა და სხვა ადგილას წაგვიყვანა.

— მაშ რახან მიღიხართ, ეს ერთი სათხოვარი მაინც გაიყოლიეთ.— ჰოვგმართა ერთმა. — საქართველოში რომ ჩახვიდეთ, გადაეცით ჩვენს ნა-ოესავებს, რომ იაზიდელმა ქართველებმა, მართალია, ქართული ენა დაივი-წყეს, ფარსულად ლაპარაკობენ, სარწმუნოებაც შეიცვალეს, მაგრამ ქა-რთველობა არ დაუკარგავთ, საქართველოდან ჩამოტანილი ხელობით ირჩენენ თავს და იქ დარჩენილ წინაპრების წმინდა საფლავს ფიცუ-ლობენ-თქ.

იქიდან წამოსულებმა მეორე, უფრო დიდ ფაბრიკაში გამოვიარეთ. აქ დანადგარებიც მეტი იყო და მუშა-ხელიც.

ჩემი ქართველობის შესახებ ჩვენს მისვლამდე გაეგოთ და ისე დამი-ზედნენ, როგორც დიდ საპატიო და სასურველ სტუმარს.

ფაბრიკაში სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე იყო. მუშების მეტ ნა-წილს ქალები შეადგენდნენ და, რადგან ისინი გარეშე მამაკაცთან სახეს იფარავდნენ, ჩვენთანაც შეინარჩუნეს ეს მოკრძალება, თუმცა ძალიან კი სურდათ თავისუფლებით ესარგებლათ და გამოგვლაპარაკებოდნენ. მეც ამ სურვილით ვიყავი ანთებული; ვხედავდი რა მათ ქართულ თვალებს, პინდოდა მათი სახეც დამენახა.

აქცური ქალების ტანსაცმელი თითქმის ჰგავდა ქართველი ქალის ძველებურ ტანსაცმელს. გრძელი, ნაოჭებდაყრილი კაბები, ზემოთ ხავერდის ქულაჯები, მოსირმულ-მოთასმული, წელზე გრძელი მატერიის თეთრი ან წითელი ფერის სარტყლები. ასეთი ტანსაცმელი ძალიან უხდებოდა მათ, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ თავყელზე შემოხვეული საბურვე-ლი მთლიანად უკარგავდა შნისა და ლაზათს ამ ტანკენარ ქალწულებს.

როცა საქსოვი დანადგარების დათვალიერებას მოვრჩით და აქეთ გა-მოსული შესასვლელთან ვიდექი, უეცრად ერთ-ერთი საქსოვი დაზგიდან მოწყდა ქალიშვილი, მოიჭრა ჩემთან, მოიხსნა სახის საბურველი, გალიმე-ბული თვალები შემომანათა და მკითხა:

— ყველა მეუბნება, შენ ქართველ ქალს გავხარო, აბა შემომხედეთ—  
მართალია?!

— მართალია, მართალი. ნამდვილი ქართველი ქალის თვალები, სახუ-  
და ეშხი გაქვს. — ვუთხარი მე და ძალიან გამეხარდა, რომ ჩემი ნათქვამა  
სინამდვილე იყო. ეს ასული მართლაც ყალმით ნახატი ქართველი ქალის  
პორტრეტი იყო, გაცოცხლებული და ფერხორცულებული.

— მაღლობელი ვარ, — ლოყები აუვარდისფერადდა გოგონას. — ჩე-  
მიანებიც ასე ამბობენ. ვისაც ქართველი ქალიშვილის შესახებ ქება სმე-  
ნია, ჩემზე გადმოაქვთ. მაშ, მართალია? — კულავ დამაღასტურებია ნაი-  
ქვამი და ძალიან გახარებულმა თავის დაზგას მიაშურა.

ის იყო ფაბრიკის ეზოდან გაღმოვდიოდით, რომ ერთი თეთრწვერა  
მოხუცი შემოგვევდა.

— გავიგე თქვენი ჩამობრძანება. — მომმართა მან მე. — ასეთი სასწა-  
ული ჩვენში არ ხდება. თქვენ დიდ საქართველოდან ჩამობრძანდით,  
გვნახეთ. ჩვენი საწარმო დაათვალიერეთ, ახლა ჩვენი ოჯახიც უნდა ნა-  
ხოთ, პური გატეხოთ, ჭიქა ჩაი მიირთვათ და ოჯახი, ფუძე დაგვილოცოთ.

ჩვენ აქაც დროის უქონლობა მოვიმიზეზეთ.

— არ არის კარგი, ასე დავშორდეთ ერთმანეთს, — ნაღვლიანად  
თქვა მოხუცმა. — მაგრამ მე რა ძალა მაქვს, გზას დაგაშოროთ. წაბრძან-  
დით, ბედნიერი და კეთილი გზა გქონდეთ. ჩაიწერეთ მაინც თქვენს წიგნა-  
კში, რომ თქვენ შორეულ ქვეყანაში, საღლაც მივიწყებულ მხარეში შეგ-  
ხვდათ ქართველი, ძველი ქართველი ჰავი ალასლან შაეზადე გურჯი, შე-  
გხვდათ და თავის მოძმე ქართველებთან სალაში და მოკითხვა დაგაბა-  
რათ.

იაზიდელი გურჯების ცხოვრების გაცნობამ დამარწმუნა, რომ აქ ქარ-  
თველები შედარებით უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე ირანის რომელიმე  
სხვა კუთხეში. აქაური მიწა მოსავლიანია, ხალხიც მშრომელი და ენერგი-  
ული. ბევრი აქვთ კაფალი, თხილი, ჭერამი, ქლიავი, ყურძენი. ეწევიან მე-  
აბრეშუმეობას, იციან რთვა, ქსოვა, დურგლობა, მჭედლობა. გამწევ ძალად  
იყენებენ ხარებს, მეტწილად ბულებს, რომლებსაც ნესტოებში გაყრილ  
რკინის რგოლზე გამობმული აქვთ თოფი და ისე იმორჩილებენ. აქაური ხარ-  
ები დაბალი და სქელბეწვიანია, ჩამჯდარი, ღონიერი კისერი აქვთ. ზოგი  
ისე ღონიერია, რომ ოც-ოცდახუთ ფუთ ტვირთს ეზიდება. ხშირად საჯ-  
დომადაც იყენებენ.

სალამომდე საქმაოდ მოვიქანცეთ. როცა ნაზარ-ხანისას დავბრუნ-  
დით, ის იყო მზე ჩასვლას აპირებდა და ოდნავ აგრილებულიყო. მასპინძე-  
ლმა დღესაც გამოიჩინა თავისებური მარიფათი. კარგი ვახშამი გააწყო და

შევრიც მესაუბრა. სხვათა შორის ისიც მითხრა, რომ ბალუჭისტანში არიან ძველი გორგიჯები, რომელსაც აქვთ ქართული წიგნი. იმ წიგნს შოთას წიგნს ეძახიან და სალოცავად ხმარობენო. ვისაც ის წიგნი აქვს, იმის ოჯახს ხვავი და ბარაქა არ აკლია, მას ღმერთიც წყალობს და წინასწარმეტყველიც.

იმ ღამეს იქ არ დავრჩენილვართ, რადგან მგზავრობა, ღამით უფრო ხელსაყრელი იყო. ჩვენი შოთერი და იადულა გარაუში გველოდნენ და საკმაოდ გამოძინებულნი დაგვხვდნენ. აბასყულმაც მოასწრო გამოძინება ჩვენს საუბარში ნაზარ-ხანისას.

ნაზარ-ხანმა ინანა, დრო არა მაქვს, თორემ გაგაცილებდით და თქვენთან ერთად მეც ვისიამოვნებდი ჩვენი ტომის ხალხის გაცნობითო. დარიგების მოცემა მაინც არ დაივიწყა.

— გზა მეტად სწორი და კარგია,— გვითხრა მან,— მაგრამ ძალზე სახიფათო. ერიდეთ ღამით სიარულს. ამინდს ადევნეთ თვალ-ყური. — და გვაცნობა თუ მშვენიერ მზიან დღეში, როგორ ერთბაშად შეიცვლება ტარსი, ამოვარდება ძლიერი ქარი, დასძრავს მთებად აზვინულ მტვერს, გადაქცევს შავბნელ კორიანტელად და ვაი იმ მგზავრს, რომელიც ამ ურაგანში მოხვდება.

გამოთხოვებისას ბევრი რამ დაგვაბარა.

— იქნებ გაგვიხსენონ, იქნებ იყითხონ ჩვენი ამბავი. ხანდახან გვინახულონ და გვაწვდინონ ქართული წიგნები.

საერთოდ სადაც კი მისვლა და იქაური ქართველების გაცნობა მოგვიხდა, ყველგან ერთსა და იმავეს გვავალებდნენ, ერთსა და იმავეს გვთხოვდნენ: დაწერეთ ჩვენზე, მოგვინახულეთ, იფიქრეთ ჩვენზეო.

ყველგან და ყველას ძალიან აწუხებს უსწავლელობა, წერა-კითხვის უცოდინარობა. თვით ნაზარ-ხანი, რომელიც ამაყობს თავისი წინაპრებით, ქართული თავადური გვარიშვილობით, წერა-კითხვის მცირე მცოდნეა, მიუხედავად იმისა რომ იმოდენა ქონებისა და ავლა-დიდების პატრონია.

შუალამე გადაცილებული იყო. პატარა ქალაქს ეძინა. სულის შემხუთავი სიცხის შემდეგ სიგრილე ჩამომდგარიყო და მტვრისაგან დამდგარი ბულიც გამჭრალიყო.

— გათენებამდე ერთ სოფელს მიაღწევთ. — გვარიგებდა ნაზარ-ხანი. — იმ სოფელში ჩაიხანაც არის. იქ შეისვენეთ. იქით ისე ნუ წახვალთ, სანამ კარგად არ დარწმუნდებით ამინდის სიმყარეში. — ძალიან აწუხებდა

ჩვენს იაზიდელ თანამემამულეს ჩვენი ბედი, უღაბნოს ქარმა არ მოგვა-  
სწროთ და არ დაიღუპოთო.

მე მადლობა მოვახსენე იმ პატივისცემისა და მზრუნველობისათვის,  
რომელიც ჩვენდამი გამოიჩინა.

დავტოვეთ იაზიდელი გურჯი ვაჟკაცები და მშვენიერი ასულები, რო-  
მლებსაც ეამაყებათ წინაპართა წარსული, მათი სახის ქართული იერი და  
ეშხე.

ჩვენი მანქანა დაიძრა, გაშორდა ქალაქის საზღვრებს და შორეულ  
გზას გაუდგა.

(დასასრული შემდეგ ნოტერში)



## ქსენია მეუღლე

### გზის სიყვარულით

ყველა ოცნება მიგვაფრენს მზისკენ,  
 სინათლის,  
 რწმენის,  
 ძალის მძებნელი.  
 მტერს შევებმით თუ მეგობარს ვიძენთ,  
 მზე არის ჩვენი გზის გამგნებელი.

მზე ეფერება ზღვასა და ხმელეთს,  
 მზეს ულიმიან უტყვი ლოდებიც,  
 ხეები მზისკენ იწვდიან ხელებს,  
 მზის სადიდებელს სვამენ ფოთლებით.

მზის მოლოდინში ღამეს ათევენ  
 ქედები ტრფობით გათანგულები;  
 მზე მათი ფიქრის არის სათავე  
 და ამღერება ნაკადულების.

\* \* \*

ულამაზესო ზაფხულის დღეო,  
 სხივთა ბადეში გამხვიე ბარემ!  
 მომაპყარ შენი თვალები ღია  
 და ამაშორე შფოთიან ქარებს.

ამიცისვერე ოცნების სფერო,  
 შემომახვიე ჩიტები გუნდად;

მიეც სინათლე მძინარე ფერებს  
და მჩქეფარება შემატე გულსაც.



და დამაცხუნე სხივები თბილი,  
რომ ზამთრის სუსტმა ვეღარ იძალოს.  
ბნელეთის მრუმე, ხავსიან ჩრდილებს  
შენ ამარიდე, ლექსის გრიგალო.

ამხადე გულის წმინდა სარქველი,  
პირზეც რიყრავის შუქი მეკეროს,  
ვიმღერო,  
რაც კი დამრჩეს სათქმელი,  
უუუნა წვიმას ჩამოემღეროს;

დამხურე გრილი ფოთლების ჩერო,  
სიძველის ჟანგი მზეზე გალესე...  
ულამაზესო დღეებო ჩემო,  
მომეფერეთ და მომეალერსეთ.



ნოღა მოღვაწე

## სინაზუდი

— დავკარგე, ყველაფერი დავკარგე! — შემომჩივლა ერთხელ მეგობარმა. დიდი ხნის უნახვი მყავდა, გამიხარდა მისი დანახვა, მაგრამ ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, შემაფიქრიანა, რა უბედურება დაატყდა ასეთი-მეთქი.

— გაგქურდეს? — ვკითხე შეცბუნებულმა.

— არა, არავის არ გავუქურდივარ! მე თვითონ გავქურდე ჩემი თავ-მოყვარეობა, სინდისი, ლირსება...

— რა იყო, კაცო, ასეთი რა მოხდა?

იგი მოტეხილი მეჩვენა. ხმაც დაბერებოდა. ჩაცვენილ თვალებს ული-მღვამოდ ატრიალებდა. ორმოცდათისაც არ იყო, სამოცისა კი გეგონებოდა. წინა ორი კბილი გამოხროდა და ახლად გაკეთებული პლომბი კბი-ლებს შორის უჩანდა. ჩამორალ ტუჩებზე სიშავე გადაჰკრავდა.

— ეჭ, ჩემო ძმაო, ვის ვუთხრა საყველური, როცა მე ვარ დამნაშავე..

— თქვა თავის ქნევით, — შენც იცი, რა კარგ ადგილს ვმუშაობდი, კო-ლექტივიც კარგი იყო, სამუშაოს უკეთესს ვერ ინატრებდა კაცი.

ხელი მკლავზე ჩამომაყრდნო, თითქოს ეშინოდა არ წავიქცეო. გაუპა-რსავ სახეზე ხელი ჩამოისვა და ჩახველა. ახლა შევნიშნე, ნერვული თვა-ლები ჰქონდა, თვალის უპეები — ჩამორალი.

— საქმე ვიცოდი, კაცი თვალში ცუდად ვერ ჩამხედავდა. თანამშ-რომლებიც მაფასებდნენ. იქიდან რომ წამოვედი, ყველას გული დაწყდა, ნუ მიხვალ, შენისთანა კარგ ადამიანს სად ვნახავთო. როცა საქმე კარგად იცი, თავის სამტვრევიც ნაკლებია, თავი ამაყად გიჭირავს, ამხანაგები პა-ტივს გცემენ. თუ სადმე წვეულება იყო, მეც იქ ვიყავი, და ყოველთვის ყურადღებით მეპყრობოდნენ. არც ჩემმა ცოლ-შვილმა იცოდა ჩემი ხმამა-ლალი ლაპარაკი. ცუდად არ ვცხოვრობდი. არც შიში ვიცოდი, რა იყო. აღრე დილით ვდგებოდი, აუჩქარებლივ ვიცვამდი ტანზე, ხელ-პირს დავი-

ჰანდი და ვსაუზმობდი. ცოლ-შვილი ოვეზე მევლებოდა. ყველას ვუყვარდი. ცოლი დაყვავებით მეუბნებოდა, შენი ჭირიმე, ხომ არაფერი გინდაო. შვილი ოვალებში მიყურებდა, რას მეტყვისო. სიღედრს კი ჩემზე უკეთესი არავინ ჰყავდა. არა, ჩვენ არ ვიცით ცხოვრების ფასი!

გაჩუმდა, პირგამშრალა ქვედა ბაგეზე ენა გადაისვა და ცერად ამომჩედა, თუ მისმენსო. ალბათ, ჩემს სახეზე თანაგრძნობა ამოიკითხა და თავი სინანულით გააქნია. მე კიდევ ვერ მივმხდარიყავი, რა სჭირდა ამ კაცს. რას შეეწუხებინა ასე. შეკითხვა მომერილა, იქნებ ყველაფრის თქმა არ უნდა და გული არ ვატკინო მეთქი.

— ასეა, ჩემო მეგობარო, ასე! — თქვა იმავე ხმით მან და, თითქოს ფიქრებში თავისითვის ლაპარაკობსო, განაგრძო, — მენატრება ის დრო, მეგობრებთან ტკბილი საუბარი, ქალაქებით პურის საჭმელად წასვლა. მოგეხსენება, პურმარილი მიყვარდა, ყველაფრი ადამიანური მიყვარდა. კაცს გაჭირვებაში ვეხმარებოდი, ლხინშიც მხარში ვედექი. ჯერ არ მახსოვს, ნაცნობს დავმალვოდი. ეს, რა დრო იყო!..

— შერე-და... — კინაღამ ვუთხარი, ხომ არ მოუხსნიხართ-მეთქი. — რა შეგემთხვა ასეთი? — დავძინე ტკეპნით.

— სისულელე!

გაჭირვებისაგან მხრები ავიჩეჩე.

— სისულელე! — გაიმეორა მან. — ავტყდი მუდამ ერთ თანამდებობაზე ხომ არ ვიქნები, ახალი მინდა-მეთქი. ჯერ იყო და, ეს აზრი გულში ჩუმად მიტრიალებდა, მერე ერთ მეგობარს გავანდე. მხრები შეჰყირა, მეშენ გეტყვი, ვერ შეძლებ თუ რაო, მოითხოვე, საღმე უფრო მაღალ თანამდებობაზე დაგნიშნონ. ჰოდა, მეც ვფიქრობდი, სად ჯობდა მოკალათება. ცოტა ხნის შემდეგ, ჩემი სურვილი სხვებსაც გავანდე. ხელქვეითები მეუბნებოდნენ, დიმიტრი გლაციუნიჩ, მაგას რა ჯობს, თქვენზე უკეთესი კაცი ვინ უნდა დააწინაურონ. ზოგი ეჭვით მიყურებდა, თქვენ არ მომიკვდეთ, მაღალი თანამდებობა არ მოგართვან, ზოგიც ორჭოფულად აქნევდა თავს, ძნელია, გზას არ მოგცემენ.

· ვიფიქრე, რაღა კაცი ხარ, თუ ერთი კარგი ადგილი ხელში ვერ ჩაიგდე... და, ფეხი გამოვყავი: ოცი წელია ერთ ადგილზე ვმუშაობ, ბოლოს და ბოლოს ამ ადგილისათვის ხომ არ ვარ დაბადებული, აქ ხომ არ უნდა მოვკვდე. საუბედუროდ (ახლა ვამბობ საუბედუროდ, თორემ მაშინ ვამბობდი აი ბედიც ამას ქვია-მეთქი) ერთ-ერთი სამმართველოს მთავარი ინჟინერი გარდაიცვალა. აქით ვეცი, იქით ვეცი, კაცი გაციებული არ იყო, განცხადება დავწერე. გაუკვირდათ, ეს პატიოსანი კაცი ამას როგორ კადრულობსო. ყველაფრების რომ თავი დავანებოთ, შენი კარგი მეგობარი იყო, მის ადგილს როგორ ითხოვო.

— რის ამხანაგი, რა ამხანაგი! — აღვშფოთდი მე.

არ მესიამოვნა მისი ნათქვამი და დაბნეული შევაცქერდი, შემატყულ  
და თქვა:

— გიკვირს არა?!

ახლა მეც მიკვირს, მაგრამ მაშინ გენახეთ, გაგიუებული ვიყავი, შვილ-  
საც არ დავინდობდი. პატივმოყვარეობა, ჩემო ძმაო, პატივმოყვარეობა! ვერ  
ვიტყვი კეთილისმსურველებმა-მეთქი, მაგრამ მაინც მათ წამაქეზეს,  
ახლა რომ უკან დაიხიო, შემდეგ ალარაფერი გამოგივაო. ავდექი და განც-  
ხადება მეორედ დავწერე, ათი თაბახი იყო, საბეჭდ მანქანაზე გაშანშალე-  
ბული. რას არ ვწერდი; აქალდა, მოწინავე პიონერი ვიყავი, კომკავშირის  
რიგებში თოთხმეტი წლისა შევედი, უმაღლესი დავამთავრე. დიპლომის  
ნომერიც არ დამგიშებია. ორი მადლობა მქონდა მიღებული, ისიც ჩავწე-  
რე. მოკლედ, თუ ვინმე ჩემით დაინტერესდება, საკმარისია წაიკითხოს ის  
განცხადება და დეტალურად ეცოდინება ჩემი ავან-ჩავანი. ჩემმა ცოლ-  
მაც ამოიდგა ენა; რას მიქვია უარი, ჩემს ქმარზე უკეთესი ვინ უნდა დანი-  
შნონ სამმართველოს მთავარ ინჟინრადო. მერე კი იმას გაიძახოდა, ჩემს  
ქმარს აწინაურებენო. თავი მოსწონდა. თავი მეც მომწონდა, მას რომ თვა-  
ლებში ვუყურებდი, ამას ქვია ერთგული ცოლი-მეთქი, ვამბობდი.

— შენ ხომ ეკონომისტი ხარ?! — გავაწყვეტინე სიტყვა.

— კი, პროფესიით ეკონომისტი ვარ!

— მერე და, მთავარი ინჟინრის ადგილი როგორ ისურვე?

— სწორედ ეს მითხრა მმართველმა, — თქვა მან ისევ სევდიანი  
ხმით, — არ შეიძლება, ხალხი რას იტყვისო. ხალხს ქვა უხლია თავში, მე  
ჩემი მინდა-მეთქი. ვერ შეძლებო. „რას მიქვია, ვერ შევძლებ“! დავიღრია-  
ლე. მეხვეწა, ნუ იზამ, შენი შესაფერი ადგილი რომ გამოჩნდება, გადმოგი-  
ყვანო. არ ვქენი, განცხადება მესამეჯრ დავწერე; თუ მთავარი ინჟინრის  
თანამდებობაზე არ დამნიშნავთ, თავს მოვიყლავ თქვენს კაბინეტში-მეთ-  
ქი. შეშინდა მმართველი, ჩირქი არ მომეცხოსო, და დამთანხმდა. აი ასე-  
თია, ჩემო ძმაო, კეთილშობილება. ზოგჯერ კეთილშობილებით კაცს ვლუ-  
პავთ ხოლმე.

იგი დაპატარავდა, მოიკუმშა. მერე ისე შეცბა და შემომხედა, თითქოს  
მისთვის თავში დარტყმას ვაპირებდი. ეტყობოდა, თავისივე მონათხრობის  
რცხვენოდა, ალბათ ნანობდა კიდეც, რომ ვყელაფერს დაწვრილებით მიყ-  
ვებოდა. მე თავი ისე დავიჭირე, თითქოს სრულიად არ მეუცხოვებოდა მი-  
სი ნამოქმედარი.

— რას იზამ, ცხოვრება გვაიძულებს, — ვუთხარი დასამშვიდებლად-

— მართალი ბრძანდებით, ცხოვრება რთულია და შეიძლება ბევრი  
რამ შეუფერებელი გვაფიქრებინოს, მაგრამ აღამიანობა არ უნდა დავკარ-  
გოთ. ბრიყვულმა სიამაყებ არ უნდა დაგვიმორჩილოს... ეპ, — ყრუდ ამო-  
იოხრა მან, — რა ბედნიერი მეგონა თავი?!. მუშაობას რომ შევუდექი,

დაუძლეველი არაფერია-მეთქი, ვფიქრობდი და, მართალი გითხრათ, ძალიან მოვინდომე. მაგრამ ძნელი დარჩა, ინუინრობისა არაფერი გამეგებულდა, თანაც ვცდილობდი, ჩემს ხელქვეითებს ეს არ შეემჩნიათ. მათ არაფერის არ ვეკითხებოდი, თვალებში კი შევყურებდი, ვინ რას იტყოდა, რომ საქეში გავრცევეულიყავი. მაგრამ არცოდნა მაშინვე შეგეტყობა. თავდაპირველად მრცხვენოდა, ნერვულობა დამჩემდა, კაბინეტში არავის არ ვუშვებდი, თუ ვინმე მაინც შემოვიდოდა, ვცდილობდი, ადრე წასულიყო. მათ ჩემთვის არაფერი არ დაუშავებიათ, მაგრამ მაინც შემძაგლნენ. ჩემზე მეტი რომ იცოდნენ, ღვარძლი მახრჩობდა. ყველას ვუბრაზდებოდი, რომ არაფერი ეკითხათ. თვალში ამომიღეს, ჩუმჩუმად დამცინოდნენ. დერჯუანში, შესასვლელში ყველგან ჩურჩულებდნენ. ერთმანეთს ხელით აჩვენებდნენ ჩემზე და იცინოდნენ. მე სულ მთლად გადავირიო. ყველას ვლანძლავდი, ვაგინებდი და კაბინეტიდან ვაგდებდი. სრულ ჭკუაზე რომ აღარ ვიყავი, შემატევეს და მერიდებოდნენ. ეჭვად ვიქეცი, ქუჩაში გაღიმებულ კაცს რომ დავინახავდი, მეგონა, ისიც მე დამცინოდა.

— ეს როგორ შეიძლება? — წამოვიძახე მე.

— არ გამოგიცდია და იმიტომ გიკვირს! — მითხრა მან და ქვედა ტუჩი აუთროთოლდა, სახე ჩაეთეთქა. ამ წუთს ვინმეს რომ დაენახა, იფიქრებდა, ჩემს გასალახავად იყო შემართული. — ცხოვრებაში გასაკვირი არაფერია, ყველაფერს უნდა ელოდო კაცი. თავადაც არ მეგონა, ასე თუ შევიცვლებოდი, ასეთი უბედურება დამატყდებოდა თავს. დიახ, უბედურება! სხვა რამ არც შეიძლება ამას ეწიოდოს. ვზივარ ჩემთვის კაბინეტში და წერვებაშლილი რას ვაკეთებ არც მე ვიცი. ბავშვი აღარ ვარ, სწავლას მოვიდო ხელი, ისე კი არაფერი გამოდის. ამხანაგებს ჩამოვშორდი, დიდი ხანია მათთან პური არ გამიტეხია. ხანდახან, როცა სტუმარი ჩამოუვათ, დამიძახებენ, მაგიდასთან ტკბილ სიტყვასაც მეუბნებიან, მაქებენ, პირში მიცინიან, მაგრამ... ეჰ, განა არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს ჩემზე?! ვიცი, ყველაფერი ვიცი! დასანახავად ვეჯავრები ყველას. აი, ჩემო მეგობარო, ასე დავიღუბე საკუთარი თავი! შინ რა მემართება ნულარ მკითხავ, ცოლს ყოველდღე ვეჩხუბები, შვილს თვალში ვერ ვუყურებ, სიღედრი კი ერთხელ კინალამ გარეთ გავაგდე. სიგიურმდე ვარ მისული, ჩემთან დალაპარაკებასაც ვერ ბედავენ. ძილიც გამიტყდა. სიზმარი დამჩემდა, თითქოს ყველა ჩემი მტერია და ჩაქოლვა უნდათ!

— ცუდი ამბავია! — ვთქვი მე.

— ცუდი და მერე როგორი! — თქვა და ხელა აუტყდა, ნერვული თვალები დაუწითლდა და კისრის ძარღვები დაეჭიმა. — ვყოფილიყავი

ქველ ადგილას, რა მოხდებოდა?! — განაგრძო მან, როცა სული მოიგრძე-  
ნა, — რაღაც ორი დღე დამრჩენია ამ ქვეყნას!

— გვიანი არც ახლაა! — ვუთხარი შეპარვით.


— რა?

— სხვაგან გადადი შესაფერ სამუშაოზე. — ვთქვი და მისთვის თვა-  
ლებში რომ არ შემეხედა, საგარეტი ამოვილე.

— ეჲ, გვიანი არაა, მაგრამ რა ვუყო ბრიყვულ სიამაყეს?! ბევრჯერ ვი-  
ფიქრე, დავწერ განცხადებას და წავალ-მეთქი, მაგრამ მრცხვენია, ხალხი  
რას იტყვის?

ღიმილი ვერ შევიკავე.

— ხალხმა რა უნდა თქვას. თუ აქამდე არ დაგიგლია მისთვის ყური-  
ნურც ახლა დაიხევ უკან! — ვუთხარი მე და მხარზე ხელი დავკარი.



ლევან ანანიძე

## ესპადრილი

კორდები მწვანე და მოხასხასე  
 უმთვარო ღამეს დაუთრთვილია,  
 მფრინავებს ისევ გამოჰყავთ სტარტზე  
 ციურ ხომალდთა ესკადრილია.  
 ფრთებმოშვილდული მოევლენ ტატნობს,  
 თვალთა ისარი გაიყოლიეს,  
 ხელმოჩრდილული გზის პირთან ამ დროს  
 ვაღარებ მერცხლებს და ხან თოლიებს.  
 პირიზონტს თეთრი ზოლი დააჩნდა,  
 დალეჭეს რძისფერ ნისლის აფრები  
 და ძრავის გუგუნს ხევების გარდა  
 დადუმებული უსმენენ მოები.  
 ჩვენი დედების, ჩვენი ბავშვების  
 და ჩვენი მიწის სიცოცხლის მცველად,  
 მოგუგუნე და მოკაშკაშენი  
 დაჭქრიან მუღამ — ნათობს თუ ბნელა



## საროსლავ პახევი

### გლვდელი და მოლა

დიდი და პატარა კარაჯინაჩი მეზობელი სასაზღვრო სოფლებია. როგორ გვანან ისინი ერთმანეთს და თანაც განსხვავდებიან! საქმე იმაშია, რომ პატარა კარაჯინაჩი სერბის ტერიტორიაზეა, დიდი კარაჯინაჩი კი თურქეთს ეკუთვნის. ირგვლივ უდაბური, მწირი ზეგნებია, და ორივე სოფლის მცხოვრებნი ხარებივით ეწევიან ჭაპანს, რომ ლუქმა-პური მოიპოვონ. მათი მთავარი საარსებო წყაროა შვრია და მთის ფეხმარდი თხები.

პატარა კარაჯინაჩში გლეხები თავიანთ თხებს ყიდდნენ, რომ სერბის მეფის ხარკი გადაეხადათ, დიდ კარაჯინაჩშიც ამასვე აკეთებდნენ, რომ ფალიშაპისათვის ღალა ეძლიათ. განსხვავება მხოლოდ სახელწოდებაში იყო. თუ მართლმადიდებელი დროზე არ გადაიხდიდა ხარკს, საკანში ჩასვამდნენ. მუსულმანსაც იქ უკრავდნენ ხოლმე თავს თუ ღალას არ მისცემდა.

პატარა კარაჯინაჩში იდგა ეკლესია უხეიროდ მოვარაყებული ჯვრით, ხოლო დიდ კარაჯინაჩში მეჩეთი, ასევე მოვარაყებული ნახევარმთვარით. ჯვარი და ნახევარმთვარე, ორივე იყიდებოდა ერთი სომხის ღუქანში, მეზობელ სასაზღვრო ღაბაში. მართლმადიდებელნიცა და მუსულმანებიც ერთობ ამაყობდნენ ვარაყით.

თურქებმა თავიანთი მეჩეთი რომ შეათეთრეს, მართლმადიდებლებიც მაშინვე მათ მაგალითს მიჰყვნენ. როცა ქრისტიანები ატეხავდნენ ზარების რევას, საზღვრის იქითა მხარეს მოლა ცდილობდა როგორმე ჩაეხშო იგი ძახილით: „ილ ალლა!“ — დიდია ალაპი!

მოლა, როგორც კი ყველა წესს მოითავებდა, მინარეთიდან ჩამოვიდოდა, ჩიბუქს გააჩალებდა და გასწევდა მართლმადიდებელ მღვდელ ბოგუმიროვთან სასაუბროდ. ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ ჩანჩქერთან, რომელსაც მთიდან მოწანწკარე ნაკადული ასაზრდოვებდა. სწორედ ეს ნაკადული ყოფდა ოტომანთა იმპერიას სერბის სამეფოსაგან.

მღვდელი ბოგუმიროვიც აბოლებდა ჩიბუქს.

საუბარი ჩვეულებრივად იწყებოდა ღანძღვით.

— ა, შე ურჯულო, კოჭლო!

— შე უზნეო ქრისტიანო, თვალები რატომ ჩაგლურჯებია?!

შემდეგ საუბარი იღებდა უფრო მშვიდობიან ხასიათს: ალაპისა და ყოვლისმპყრობელს ავიწროვებდნენ თხები. ორივე ლეთისმსახური მის-დევდა თხის მოშენებას და აქებდა თავის ფარას, რაღაც ჰყავდათ არა უბრალო, არამედ მუსულმანური და მართლმადიდებლური თხები.

— ჩემი თხები შენსაზე უფრო მსუქნებია, მოლა! — თავმომწონედ წა-მოიძახებდა ხოლმე მღვდელი.

— როგორ არა, ვერ მოგართვი! აბა სადა გყავს ისეთი თხა, როგორიც ჩემი შავი დედა-თხაა? ხომ იცნობ? რა ლამაზია! რქები ისეთივე აქვს, რო-გორიც უნგრულ ძროხას...

და მართლაც, ეს თხა საოცარ შთამომავლობას იძლეოდა. მისი თვა-ლები, მოლას რწმენით, გაცილებით უფრო ლამაზი იყო ვიდრე მამასახ-ლისის მშვენიერი ასულის თვალები. ექსტაზში შესული მოლა იმასაც კი ამტკიცებდა, რომ მასში ცოცხლობს ჰურის სული, განსაცდელგამოვლი-ლი. მღვდელი ოცნებობდა როგორმე ხელთ ჩაეგდო ეგ თხა, რომ მთელი ფარის ჭიში გაეუმჯობესებინა. ახლა წვერებცანცარა მათ თვალწინ ძოვ-და, კლდეებსა და უზარმაზარ კაჭრებს შორის.

ხმაურობდა ჩანჩქერი.

აკიაფუდნენ პირველი ვარსკვლავებიც.

— მოლა, გამიგონე, — შეეპასუხა მღვდელი ბოგუმიროვი, — შენი თხა არც ისეთი განძია, მაგრამ მე მჭირდება, ხედავ ჩემი საუ-კეთესო დედა-თხა დაეცა, მამა ღმერთმა თავისთან იხმო...

მღვდელმა პირჯვარი გადაიწერა.

— ალაპი დიდია, — წარმოთქვა მოლამ, — მაგრამ ჩემი თხა არ იყიდება.

— მოლა, მომისმინე, — განაგრძო მღვდელმა, — შენი ალაპი ისე დიდი არაა, როგორც მართლმადიდებელი ღმერთი. განა იგი სასწაუ-ლებს ახდენდა? სასწაულმოქმედთ გიგზავნიდათ? ჩემს ღმერთს, მაგალი-თად, შეუძლია თავისი ნებით მე გამხადოს სასწაულმოქმედი. შენ კი საუ-კუნოდ დარჩები საძულველ წარმართად. ღმერთი ინებებს და მე გავა-ცოცხლებ მკვდრებს, შენ კი მთელი სიცოცხლე მინარეთიდან ყვიროდე იქნება „ალლა ილ ალლა!“ და იტრიალებ ერთ ადგილზე როგორც რეტია-ნი თხა.

ამ სიტყვებმა მოლა გააბრაზა.

— სისულელეს ჩმახავ, მღვდელო! — დაიყვირა მან. — ჩვენი მუჰა-მედი მკვდრების გაღვიძების ნებას არ იძლევა. თქვენი ღმერთი კი საფ-ლავშიც არ გაძლევთ მოსვენებას. იცი რა გითხრა: თუ გინდა თხა მოგყი-

დღ, ახლავე ჩემს წინაშე აღიარე, რომ შენ არ შეგიძლია მკვდრების გა-  
ცოცხლება.

მღვდელი დაფიქრდა. ამ თხაზე ლილი ხანია ოცნებობს, მაგრამ რწმუ-  
ნის საკითხებში დაუთმოს უწმინდურს, ურჯულოს, ხუმრობა ხომ არ არს.

მოლა მშვიდად აბოლებდა ჩიბუხს. მოლურჯო კვამლი წყნარი სა-  
ლამოს ჰაერს ერთვოდა და კლდეებს ეფინებოდა. მღვდლის სულში ოში  
მძვინვარებდა. მასში შეჭოგე ებრძოდა სულიერ მამას.

— მოლა, საცოდავი, საძულველი წარმართი ხარ, — თქვა ბოლოს  
მღვდელმა. — მე ვალიარებ და გეთანხმები, რომ ღვთის ნებითაც კი არ  
შემიძლია მკვდრების გაცოცხლება. — მან პირჯვარი გადაიწერა. — ჰმ...  
აბა რამდენი გინდა მოგცე ამ თხაში?

დაიწყო ხანგრძლივი ვაჭრობა. მოლა ამ ერთ თხაში ითხოვდა ორ  
თხას და ას პიასტრს სართად. მღვდელმა შეაძლია ერთი თხა და ორმოც-  
დათი პიასტრი. შემდეგ წაუმატა კიდევ ორმოცდათი, მაგრამ იმ პირობით  
თუ მოლა ხმამალლა განაცხადებდა: ალაპი სრულებითაც არაა ღმერთი.

და ახლა მღვდელმა გააბოლა ჩიბუხი მშვიდად.

— ალაპი სრულებითაც არაა ღმერთი, — დაეთანხმა მოლა, — რაღ-  
გან ასი პიასტრი საქმაოდ დიღი თანხაა, — დაუმატა მან.

ასე შეისყიდა მღვდელმა ბოგუმიროვმა მოლას თხა.

მეორე დღეს ურჯულოებმა მღვდელს თხა მოჰვარეს. იყო შემოდ-  
გომის ნათელმზიანი დღე. ამგვარ ამინდში ადამიანის გული ხარობს. განსაკუთრებით ხარობდა მღვდელი ბოგუმიროვი, რომელსაც ბაწრით  
მიჰყავდა თხა, ამიერიდან სიამაყე და მშვენება მისი ფარისა. აღტაცებული  
მიაბიჯებდა იგი თხასთან ერთად მაღლა, მთის წყაროსაკენ, საიდანაც იღ-  
ებს სათავეს ანკარა ნაკადული.

იქამდე რომ მიატანა, თხა წყალში შეაგდო და ღალადჰყო:

— ღმერთო შემიწყალე, ღმერთო შემიწყალე!...

ხომ არ შეიძლებოდა თხის მუსულმანად დატოვება!

და მღვდელმა ბოგუმიროვმა მონათლა ცხოველი, სასოწარკვეთით  
რომ ისროდა ტლინკებს.

თარგმნა პ. შარაპევ



თეატრი ხალვაში

## პთი ღაუვიცყაჩი გრე

ჩამოდაბლებულ თვითმფრინა-  
ვიდან კარგად მოჩანდა ვრცელი  
დნეპრისპირა მინდვრები და მწვა-  
ნე ჭეჭილები, რომელსაც მაისის  
ნიავი ტალღებად კეცავდა. ჩვენ  
კიევს ვუახლოვდებოდით.

უკრაინის დედაქალაქი მეგობ-  
რული სიყვარულით ხვდებოდა  
ქართველ მწერლებს, რომელთა  
ერთი ჭგუფი ათ მაისს იქ ჩავიდა  
ქართული ლიტერატურის დექა-  
დაში მონაწილეობის მისაღებად.

კოხტა ქალიშვილები, ეროვ-  
ნულ სამოსელში წარმტაცად გა-  
მოწყობილნი, ცოცხალი ყვავი-  
ლების თაიგულებით და, რაც მთა-  
ვარია, კეთილი და გულწრფელი  
ღიმილით პირგანათებულნი, პირ-  
ლაპირ თვითმფრინავის ტრაპს მო-  
ადგნენ. იქვე გამოჩნდნენ უკრაი-  
ნელი მწერლები. მათ შორის მრა-  
ვალი ნაცნობი სახეა: მიკოლა ბა-  
ზანი, ოლეს გონჩარი, იური ზბან-  
ცი, ვალიმ სობკო, მიხაილ სტელ-  
მახი, ნატან რიბაკი, ღიმიტრო პა-  
ვლიჩკო, ანდრეი მალიშკო, ვიტა-  
ლი კოროტიჩი, ივანე დრაჩი და  
სხვები.

ტრადიციული პურ-მარილის  
მირთმევის ცერემონია.

მღელგარე იყო ეს შეხვედრა.  
ახალი ნაცნობობა, ღიმილი, ხვევ-  
ნა. ქალიშვილები უმაღვე ჩამწკ-  
რივდნენ და უნაზესი მელოდიუ-  
რი სიმღერით დაგვილოცეს გრა-  
ფურაინულ მიწაზე.

ლურჯ ხეივანში ჩაფლული  
სწორი გზატკეცილით ჩვენი მან-  
ქანები კიევისაკენ დაიძრნენ. სა-  
დღაც შუა გზაზე, ლამაზ ფაჭვის  
ტყეში გაგვაჩერეს და მშვენივ-  
რალ, უკრაინული ქოხის (ხატა)  
ყაიდაზე აშენებულ დიდ ფიცრულ  
სახლში სადილზე მიგვიწვიეს. პჭ  
ფაცხარესტორანს ნატალკა ჰქვია,  
კოტლიარევსკის ერთი ლიტერა-  
ტურული პერსონაჟის სახელი.

გულითადობა, გულუხვობა, გუ-  
ლწრფელობა, ძმობა და მეგობ-  
რობა. აი, რა შეიძლებოდა გეგრ-  
ძნო მაშინ ჩვენს ხელგაშლილ მა-  
სპინძლებთან.

კიევის ლამაზ პროსპექტებს-  
ცაში აზიდული ცისფერი ბოძე-  
ბით ეჭირათ ქართულ და უკრაი-  
ნულ ენებზე დაწერილი მრავალი

ტრანსპარანტი, ყველგან ორი მოქმედების რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები ფრიალებდა. მეორე დღე, 10 მაისი, იყო დეკადის ოფიციალური გახსნის დღე.

დილიდან ჩვენი მეგობარი უკრაინელი კოლეგების თანხლებით ვეცნობით კიევის მშვენიერ ლირსშესანიშნავ ძეგლებს, ისტორიულ ადგილებს, მუზეუმებს. რაღომ და ტელევიზია გამუდმებით გადასცემდა ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს. მიკოფონთან და ცისფერ ეკრანებზე ხშირად გამოდიოდნენ დეკადის მონაწილე ქართველი პოეტები.

დეკადა გაიხსნა კიევის ოქტომბრის სახელობის სასახლის დიდ დარბაზში. საღამოზე მოვიდნენ დედაქალაქის მშრომელთა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ხელოვნების და ლიტერატურის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწენი, რესპუბლიკის ხელმძღვანელები.

საღამო ოლეს გონჩარმა გახსნა, ხოლო შემდეგ გრიგოლ აბაშიძემ ჩვენი ორი ხალხისა და ორი ლიტერატურის ძმობის ტრადიციებზე ილაპარაკა. ამაღლვებელი სიტყვით გამოვიდა ცნობილი უკრაინელი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი მიკოლა ბაუანი.

საღამოზე გამოსული ქართველი პოეტების უმრავლესობა მშობლიურ ენაზე კითხულობდა ლექსს, მაგრამ დარბაზი ხმაგაკმენდილი გვისმენდა და ჩვენი

ქართული სიტყვის ცოცხალ მუსიკას ოვაციით ხვდებოდა.

კონცერტის შემდეგ ჩემთან მოვიდა ვიტალი კოროტიჩი და მთხოვა, ამაღამ მასთან მივსულიყავი სახლში, სადაც აგრეთვე იქნებოდნენ ჯანსულ ჩარკვიანი და ძმები ჭილაძეები. ვიტალიმ ჩემი ლექსებიც თარგმნა უკრაინულად და გუშინ „ლიტერატური უკრაინაში“ დაიბეჭდა. ვიტალი კოროტიჩი ახალი უკრაინული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელია.

ღრმა ლირიზმით, ფილოსოფური გააზრებით და მწვავე სოციალური მოტივებით აღსავსე მისი ლექსები ადვილად პოულობენ ადგილს მკითხველის გულში.

ვიტალი ყოველ წუთს ჩვენს კარშემო ტრიალებს, გველოლიავება, გვეფერება, გვიღიმის, კიდეც მოვემზადეთ ჩვენ მასთან წასასვლელად, მაგრამ თურმე იმ საღამოსაც დიდი ბანკეტი გველოდა,

ამიტომ არ გაგვიშვეს. თუმცა შემდეგ, გვიან ღამით, ჩვენ მაინც შევიკრიბენით კოროტიჩის ოჯახში, სადაც თითქმის მთელი ღამე გველოდნენ კეთილი და გულუბვი დიასახლისები.

ეს მართლაც გულწრფელი სიყვარულით და სიხარულით აღსავსე პოეტური ღამე იყო. ერთმანეთს ვუკითხავდით ჩვენსა და სხვის ლექსებს და ვმსჯელობდით პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე დღეს. შიგაღაშიგ ვისმენდით უკრაინული ხალხური მუსიკის საოცარ ნიმუშებს, რომლის

ჩანაწერები ფაქტიზად აქვს ვიტა-  
ლის შენახული.

თითქმის შემოთენებულზე და-  
ვიშალენით, ყველანი ჩვენს გასა-  
ცილებლად გამოვიდნენ გარეთ.

მწვანეში ჩაფლული კიევი  
კიდევ უფრო ღამაზია გარეუ-  
რაუზე. ჩვენ შუა ქუჩაში მიგაბი-  
ჯებდით და მთელი ღამის გული-  
თადი მუსაიფით გაუმაძლართ ჭა-  
ინც გვიჭირდა ერთმანეთისაგან  
განშორება.

დილის ათ საათზე დნეპრის ნა-  
პირზე, სანაოსნო ვაგზალთან შე-  
ვიყრიბენით. ჩვენი მარშრუტი ქ.  
კანევისაკენ მიდიოდა.

შშვენიერმა წყალქვეშა ფრთი-  
ანმა „რაკეტამ“ დნეპრის ღინების  
მიმართულებით გაგვაქანა. კანევ-  
ში დიდი კობზარის საფლავი და  
ძეგლი უნდა მოგვენახულებინა და  
ჭართველი ხალხის სახელით პატი-  
ვი გვეცა უკვდავი ტარას შევჩენ-  
კოს ხსოვნისათვის.

შეიძლება აქ არც იყოს საჭირო  
დეტალებზე ლაპარაკი, მაგრამ  
ჩვენს უკრაინელ მასპინძლებს  
ისე ზედმიწევნით, ისეთი ყურად-  
ღებით, სიფაქიზით, ყოველივეს  
გათვალისწინებით მოეწყოთ ჩვე-  
ნი დელეგაციის მიღება, ისეთი  
ორგანიზებულობა ეტყობოდა ყვე-  
ლაფერს, რომ არ შეიძლება ზოგი  
რამ არ აღვნიშნო.

თვით იმ კატერშიაც იგრძნობო-  
და კეთილი გულითადობით გამთ-  
ბარი ატმოსფერო. დამხვდურნი  
ცოცხალ ყვავილებს გვაჩეჩებდ-  
ნენ, ადგილებზე გვიწვევდნენ. იქ-

ვე პატარა ბუფეტი გაშლილ სუფ-  
რისკენ გვპატიუებდა. ყველაფე-  
რი უფასო იყო. მაგრამ სასმელ-  
საჭმელისათვის აღარავის ეცალა;  
წარმტაცი მწვანე ნაპირები დი-  
დებული დნეპრისა, მისი უსას-  
რულო ჰორიზონტები, მისი მიმ-  
ზიდველი პეიზაჟები მაღლა აზი-  
დული ყორლანებით თვითეულ  
ჩვენგანს იპყრობდა.

კანევის მთელი მოსახლეობა ნა-  
პირზე გამოსული დაგვხვდა. ერო-  
ვნულ ტანსაცმელში გამოწყობი-  
ლი ქალიშვილები ყვავილებს  
გვაწვდიან და თავიანთ ახალგაზ-  
რდა ქალაქს სახელდახელოდ გვა-  
ცნობენ.

ასე მივუახლოვდით მაღალ გო-  
რაქს, რომლის ზემოთ დიდებუ-  
ლად გაღმომდგარა ცადაზიდული  
ბრინჯაოს კობზარი.

„როცა მოვკვდე, იქ დამმარხეთ,  
სად ყორლანი ატანილა,  
საყვარელი უკრაინა

ტრამალებით გადაშლილა.“

თვითონ შევჩენკოს ანდერძის-  
მიხედვით, აქ, მაღალ ყორლანზე,  
დნეპრის პირას დაუმარხიათ უკ-  
რაინელი ხალხის ღიდი მომღერა-  
ლი, მებრძოლი და მოაზროვნე-  
ტარას შევჩენკო.

გრანდიოზულ მიტინგზე, რო-  
მელიც კობზარის ძეგლის წინ გა-  
იმართა სახელდახელოდ, ამაღე-  
ლვებლად გამოვიდნენ ბესარიონ-  
ელენტი და ოლეს გონჩარი. იქ,  
შევჩენკოს უწმინდეს ადგილზე,  
ქართველმა მწერლებმა მიწაში-  
ჩარგეს მეგობრობის მრავალი ხე-

საღამოს კიევში დავბრუნდით.

თორმეტ მაისს კი ადრე დილი-  
დან ავტომანქანებით ყოველი ქა-  
რთველისათვის ძვირფასი მირგო-  
როდისაკენ დავიძარით.

შე მიკოლა ბაჟანთან და კარ-  
ლო კალაძესთან ერთად მოვხვდი  
მანქანაში. შვიდსაათიანი მომქან-  
ცელი გზა არც კი მიგრძვნია, ისე  
საინეტრესო იყო ამ შესანიშნავ  
საზოგადოებაში ყოფნა.

როგორც კი კიევიდან გამოვე-  
დი, ბაჟანი ყოველი ახალი დასახ-  
ლებული პუნქტისა თუ გზაჯვა-  
რედინის დანახვისთანავე იხსენე-  
ბდა ომის მძვინვარე დღეებს. იხ-  
სენებდა მშობლიური კიევიდან  
უკან დახვევის, მტრის მიერ მისი  
დაჟავების ტრაგიკულ წუთებს და  
იმ ბეღნიურ განთიაღს, როცა და-  
ღლილ-დაქანცული, განაწამები  
უკრაინელი მეომრები, სხვა მოძ-  
მე ხალხთა შვილებთან ერთად,  
მშობლიურ დედაქალაქს უახ-  
ლოვდებოდნენ.

— დანგრეულ და გარუჯულ  
ქრეშჩატიკზე რომ ვიდექი და  
მწუხარებით და სიხარულით  
ვტიროდი, შევნიშნე, ვიღაც სუ-  
რათს მიღებდა, თუმცა ისიც იც-  
რებლებოდა. ის იაშა დავიდზონი  
იყო, ფოტოკორესპონდენტი. ახ-  
ლა იგი გაზეთ „რადიანსკი უკრა-  
ინაშია“, აი, იმ უკანა მანქანით  
ჩვენ მოგვყვება. — თქვა ბაჟანმა.

შემდეგ ბაჟანი დიღხანს გვიყ-  
ვებოდა თავის პირველ ჩამოსვ-  
ლას საქართველოში, მოგზაურო-  
ბას მესხეთში და ვაჟას მთებში,  
ს. ჩიქოვანთან, გ. ლეონიძესთან,

ს. შანშიაშვილთან, შ. დადიანთან  
მეგობრობის ცალკეულ ეპიზო-  
დებს.

მირგოროდი და ზუბოვეკა ფეხ-  
ზე დაგვხვდა. გეგონებოდა, საქა-  
რთველოში ვარო. ყველა სახლზე,  
ჭურების თავზე ქართული ტრანს-  
პარანტები, საქართველოს სახელ-  
მწიფო ღრმუშები, ქართული სიმ-  
ღერები, ცეკვები, შეძახილებიც  
კი ქართულად.

გურამიშვილის საფლავზე ცვა-  
ვილების ზვინი დაიდგა.

როგორ უვლიან უკრაინელე-  
ბი ამ წმინდა ადგილს, როგორ უყ-  
ვართ ჩვენი დიდი პოეტის სახელი,  
როგორ უხარიათ ჩვენი ჩამოსვ-  
ლა, როგორ გულლიად, ქმაყოფი-  
ლებით და ლიმილით შემოგვცე-  
რიან, როგორ გვეხვეწებიან უფ-  
რო მეტხანს დავრჩეთ აქ, მშვენი-  
ერი მირგოროდის მიწაზე, ვიყოთ  
ისე, როგორც საკუთარ სახლში.

სწორედ იმ დღეებში მირგო-  
როდელებმა დაამთავრეს გურამი-  
შვილის სახლ-მუზეუმის მშენებ-  
ლობა, რომლის გახსნა ქართველ  
მწერალთა ჩამოსვლას დაემთხვა.

ქუჩა, მოედანი, მახლობელი  
ეზოები და სახურავებიც კი ხალ-  
ხით გაჭედილი იყო. მიტინგზე დი-  
დებული სიტყვები წარმოითქვა.  
დაბაბულად უსმენდნენ უკრაინის  
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის  
მოადგილეს ამხ. პ. ტ. ტრონკოს,  
ოლეს გონჩარს, ბესარიონ  
ელენტს, იოსებ ნონეშვილს, მი-  
კოლა ბაჟანს და სხვებს.

მუზეუმის ახალთახალი ლამაზი  
შენობის გვერდით ჭერ კიდევ ტი-

ლოჩამოფარებული იდგა ქართველი პოეტის დიდებული ფიგურა. ჩემს გვერდით კი — ახალგაცნობილი ნიჭიერი ახალგაზრდა სკულპტორი, გურამიშვილის ძეგლის ავტორი მიკოლა ობეზიუკი.

დამსწრეთა ტაშის გრიალში პოლტავის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე სტეფან ბოიკ ხსნის ძეგლს. თვალშინ განათლა მაღალი, ერთ მთლიან ქვაში გამოთლილი ჩვენი საყვარელი პოეტის სევდანი, შთაგონებული და ამაყი სახე. უსაზღვრო სიდიადისა და უკვდავების შარავანდელი შუქად იღვრება ირგვლივ. უკრაინულ მიწაზე დაკრეფილი მაისის ყვავილები ქართველმა პოეტებმა დავითის ფერხთით, ნედლ მიწაზე დაწყვეს.

ჩვენ აღტაცებულნი და მადლიერნი ვეხვევით ძეგლის აგტორებს სკულპტორ ობეზიუკს, არქიტექტორ ნიმენკოს და ინჟინერ ზოგულინს.

ცოტა ხანში, იქვე ახლოს, საზეიმოდ ისხნება აგრეთვე გურამიშვილის სახლ-მუზეუმი, რომლის შესასვლელთან უკრაინულის გვერდით ლამაზი ქართული ასოებით წერია „უკრაინის სსრ კულტურის სამინისტრო. დავით გურამიშვილის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი. მირგოროდი.“

მუზეუმის დირექტორი, პოლტაველი პოეტი ოლეს იურენკო გვიწვევს, რათა დავათვალიეროთ გქანატები და შთაბეჭდილებათა წიგნში გურამიშვილის მშობ-

ლიურ ენაზე ჩავწეროთ პირველი სიტუაცია.

შემდეგ საშახსოვრო სურათის გადასაღებად გვიწვევენ გურამიშვილის ძეგლთან. ყველა ცდილობს დიდი ქართველი პოეტის ახლადგახსნილი ძეგლის გვერდით, ცნობილ ქართველ თანამედროვე მწერლებთან ერთად აღიბეჭდოს ფოტოზე.

დიდი სახალხო ზეიმი მირგოროდში გვიან საღამომდე გაგრძელდა. ქალაქის ქუჩებში მთელი დღე არ ცხრებოდა ქართული სიმღერები. ის ღამე მირგოროდში გავათიერ, ხოლო დილით, ცარეტ მაისს, კრემენჩუგისაკენ გავემგზავრეთ.

უკრაინის ბარაქიანი მინდვრები თვალწარმტაცად გადამწვანებულია წამოფოფრილი ჭეჭილებით. ჰყავის ვაშლის, ნუშის, ალუბლის ბალები. გზებზე, სოფლებში, ქალაქებში ყველგან, ყველგან აღამიანები გარეთ გამოსულან, სახელდახელოდ დაუკრეფიათ ყვავილები და საქართველოდან ჩამოსულ მეგობრებს ხვდებიან.

ყველგან შეჩერება და სათანადო თავაზიანი მისალმება თუ მაღლობის გადახდა შეუძლებელიც კია. ამიტომ ჩვენთან შესახვედრად გზებზე გამოსულ მშრომელთა ჭგუფებს ზოგჯერ მხოლოდ მანქანათა სარკმლებიდან ხელისწევით ვესალმებით და ვემშვიდობებით.

კრემენჩუგის ხელოვნური ზღვა მართლაც ზღვაა. თვალუწვდენელი სივრცე წყალს დაუფარავს.

ոմ դղյակ սակմառած մլույրո յարո  
ոյոն ճա պշտիրուլո թշորտեքի քյու  
քութեց մոռսուլաց նաპորտեք ասկ-  
դութունած, մաշրամ դրալուսա ճա սո-  
սուցուս մուշեցաց թոցուրտեքնո  
մանուն գաճաշվեն սածանառած.

Շեմդու հերկասկյուս ռլյամ, հո-  
ցորոնուս մտածյ, սածաւ ծոցդան  
եմելնուցուս շրանդություլո մեց-  
լո դգաս, հզեն Շեշեցացուտ մ՛շրմած-  
լուտա մրացալատասուսան թարմոմած-  
ցենելու.

այ պշտիան, ամ մտութան գասպյե-  
րունա մ՛շոծլուսր զել-մոնցա-  
րեքս, այ պշտիան ելմմժլանցանելու-  
ծա-սյրանունելու եալեսուս լութու թո-  
նամժլունու ճա գմօրո ծոցդանո  
ծրմունունու ճամշյրութա թոնամ-  
ցան.

եմելնուցուս մեցլուտան հզենո ցու-  
լուտադու Շեշեցարա տանցատան մո-  
ւունցմ ցադասնարդա. ռլյամ նալ-  
ենուրո Շեմոյմեցունուս թարմոմած-  
ցենունու մ՛շվենուրո սոմլուրունո  
ցամասնունժլուցունեն. հագուո յո,  
հոմլունու ոյզո հիցորոնուս մտա-  
չյ ցացոմարտյս, սյրանունունո  
ցուլուսեցունուս կութեց յրտու լումոն-  
ստրապուս ոյոն. այ մրացալո ցուլ-  
թրուցու ճա ամալուցեցելու սուրյ-  
ցա ուշյա հզենո մմօնուսա ճա սր-  
ցուցու յրտունունուս Շեսաեց.

ամալուցեցելու ոյոն ճա արասո-  
ւուս ճամացունունու ցերմանել ցա-  
մուստու թոնամժցա բնունու յո-  
ւուն-Շեշենյուցուս ծրմունու-  
նուս ամսաեցու մունցումուս ճատա-  
լուցուրեք. սյացաց ցմօրուտա մորուս  
մրացլած արուան հզենո տանամեմա-  
մունունու. ամ ծրմունու 55 ատասո

ցամուստու ճալություլո, եռլու 18  
ատասու Ծյցու հազարլոնուլո. յո-  
ւունու յիշեմոնատու პորթա Յուն  
ծրմունուս ցուլուդան թամունցա-  
լուա ճա ոյցո տություն ցուկելուա  
ոնաեաց օմ սամունելո սամյացըն-  
սասուուկելու Շերտացեծատա մժօմյ  
թյունունու. այսա ցամուստ սմալունու  
ուոյուցընտա մունցուրեքո, որդունե-  
քո, պայլա սաեսու ուարալունո. այսա  
Շերունունու յո, հոմլուտա ցացիա-  
ցնա ցամուստ չարուսյացյունու  
ուոյուցընտա սաելունու ճա հոմլուն-  
նու ալթյերունուս այսուրո ծրմո-  
ւունուս սամունելու սյրատյեք.

Շեծօնցունուսաս, հուցա միջ յոու-  
րանցունուս ցադարմա Շեմացեծյուլո  
չեչունունունու Յորունոնցունուս ոյժու  
թուունադ ուոյցենունունու, հզեն ցու-  
ուրուտ աշենցուն սմանչյս „յա-  
րուս թուսյունունու“ մոցունունու. այս  
յիշունունու հյուստորանս, հոմլունու  
մունցարուս Յունչյ թամունունունու  
ճա սյրանունու եալեսուրո արյունու-  
թյունուս թամունունու մունցունունու  
արուս Շեմյուլու.

լամուտ ույց յուցմունու ճացիւնու-  
նուտ, եռլու մեռու ճուց յահու-  
ցել մթյերալուտա ութու մունու չցու-  
ուո ցամունունու սյրանունունու  
անամոյալմյունունուս մասնունժլունու  
ճա թոնամժլունունուտ յեցյնուս ու-  
թու մերուսայց ցայմարտա.

մյ ճասացլուտ չցուունունու մոցեցլու.  
հզենո ճանունունունունուս ալցունունու  
ոյոն լուցուս ճա ոմուրյարբարյ-  
նուս ուլյեքու. ամ չցուունունու թամունունու  
նուն յունստրանունու լորտյունունու-  
նու ծրմունունու յունունու.

ლაძე, მარიკა ბარათაშვილი, ნოდარ გურეშიძე, გიორგი მარგველაშვილი, ნიკოლოზ მიქაელი, ხოლო უკრაინელთაგან ჩვენ გვიძლოდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ცნობილი მწერალი იური ზბანაცკი.

დილის ლვოვი გაზაფხულის მზით აკაშქაშებული შეგვევდა. მაგრამ უველაზე დიდი სილამაზე იმ აღამიანთა წრფელ ლიმილში ჩანდა, რომლებიც ჩვენ გვხვდებოდნენ.

ლვოვი უმდიდრესი ქალაქია თავისი ისტორიული ძეგლებით, მუზეუმებით, უმაღლესი სასწავლებლებით. დღის სამ საათზე დიდი შეხვედრა გველოდა უკრაინის ერთ-ერთ უძველეს ლვოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სააქტო დარბაზი პირთამდე სავსე დაგვხვდა. ბევრი ფეხზე იდგა.

თვითეული ჩვენგანის გამოსვლა დაუსრულებელ ტაშსა და აღტაცების შეძახილებს იწვევდა. ეს იყო ორი მეგობარი საბჭოთა ხალხის ძმობისა და სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის უმაღლესი გამოხატულება.

საერთოდ, უნდა ვთქვა: მიუხედავად უცხოეთშიც და ჩვენს ქვეყანაშიაც მრავალი მოგზაურობისა, მე ჯერ არსად არ მინახავს სხვა ერის შვილთა მიერ ესოდენი სიყვარულის, გულწრფელი აღტაცების და უსაზღვრო პატივისცემის გამომულავნება საქართველოს და ქართველი კაცის მიმართ, რო-

გორიც უკრაინის მიწაზე ვიხილე ლვოვმა ხომ ყველას გადააჭარბა. წუთიც არ გვრჩებოდა, მოსასვე ნებლად თუ სათქმელი სიტყვის მოსაფიქრებლად. გვეხვეოდნენ, გვკოცნიდნენ, ავტოგრაფებს გვთხოვდნენ, საჩუქრებს ხელში გვაჩეჩებდნენ, გვეცნობოდნენ, მისამართებს გვიცვლიდნენ.

სალამოს ლვოვის ტელევიზიის სტუდიაში ისე მიგვიყვანეს, არც კი ვიცოდით, რომ პირდაპირ დაწყებულ პროგრამაში ჩავერთეთ. არც კი გაგვაფრთხილეს წინასწარ, რომ რამე მოვეფიქრებინა და მომზადებული წარვმდგარიყავით მაყურებლის წინაშე. ასე სტიქიურად მონდა უველაფერი.

უცრად დიქტორმა გამოაცხადა: ძვირფასო ტელემაყურებლებო, აი ჩვენს სტუდიაში შემოდიან ჩვენი ძვირფასი და საყვარელი სტუმრები, ქართველი მწერლები მოუსმინეთ მათ.

ჩვენი გამოსვლა, როგორც შემდეგ გვითხრეს, უფრო უშუალო, დამაჯერებელი და საინტერესო გამოდგა.

როგორც მახსოვს, მე ასე დავიწყე ჩემი გამოსვლა: კარპატების მხარეში ყოფნა ჩემთვის განსაკუთრებით ახლობელი და ბევრის მთქმელია. ისევე, როგორც ეს მხარე დედა-უკრაინისაგან, საქართველოსაგან დიდხანს მოწყვეტილი იყო ჩემი აჭარა. თქვენი მხარე ისევე უძველესი, ულამაზესი და განუყოფელია უკრაინისათვის, როგორც აჭარა საქართველოსათვის. ამიტომ აქ მე მინდა

წავიკითხო ლექსი აჭარაზე. ვიცი, იგი გასაგები და ახლობელი იქნება თქვენი მხარისათვისაც...

მეორე დილით დიღების მაღლობზე ავედით. იქ სამამულო ოშში დაღუპულთა შესანიშნავად მოწყობილი საფლავებია. მათ შორის გვარდიის პოლკოვნიკი მაღრაძე მარხია. მე და ნოდარ გურეშიძეს დელეგაციის სახელით ჩვენი გმირი თანამემამულის საფლავთან მიგვაქვს ცოცხალი ყვავილების დიდი გვირგვინი. ასე ისურვეს ჩვენმა მასპინძლებმა.

ქალაქის ცენტრალური პარკი გვხიბლავს თავისი უსიერი ტერებით, ღრმა ხეობებით, ძეგლებით, შადრევნებით, ბუნებრივობითა და მრავალფეროვნებით.

აი, ლვოვის მწერალთა ორგანიზაციის მდივანს, პოეტ ვლადისლავ ბრატუნს მიყვავართ ტანაკურილ, უხევოთლიან ღამაზ ხესთან, რომელსაც შევჩენკოს სახელი აქვს მიკუთვნილი.

ეს ხე ორენბურგის ოლქის იმ სოფლიდან გადმოურგავთ, საღაც მეფის ოხრანების მიერ გადასახლებული, ბორკილდადებული კობზარი ატარებდა თავის პატიმრობის უამს.

ლვოვის ყველა გაზეთი სავსეა ქართველ მწერალთა ნაწარმოებებით, სურათებით და ნარკვევებით საქართველოს შესახებ. ხოლო, როგორც წესი, ყოველი გაზეთის პირველი გვერდის სათაური ქართული შრიფტითაა აწყობილი, კუთხეში ჩვენი დეკადის ემ-

ბლემით — რუსთაველის პორტ-რეტით.

მღელვარე შეხვედრი მოეწყობა ლვოვის კინესკოპების ქარხანაში. აქ მსოფლიოში ყველაზე მაღალხარისხოვანი შუშა მზადდება სატელევიზიო კინესკოპებისათვის. ვინახულეთ ქარხნის ლაბორატორიები, საამქროები, სამხატვრო განყოფილებები და გამოფენები. გვიჩვენეს ფერადი ტელეკინესკოპების წარმოების პროცესი. დასასრულ პატარა კლუბში სახელდახელო შეხვედრა გაიმართა. სცენის გასწვრივ გაეკრათ ქართულად დაწერილი წითელი ტრანსპარანტი: „მაგრად გეხვევით, ქართველო მეგობრებო!“

ქარხნის აღმინისტრაციის წარმომადგენლებმა სტუმრებს საჩუქრად დაგვირიგეს მინიატურული კინესკოპები, რომელიც ასანთის კოლოფისოდენაა, მაკრამ, „ცოცხალია“, ე. ი. გააჩნია ყველა ის დეტალი და მოწყობილობა, რაც ნამდვილ მოქმედ კინესკოპს ჰირდება. თუ ოსტატი შესაფერის ბატარიებზე პატარა ნათურებს მოარგებს, კინესკოპი იმუშავებს.

ნასადილევს ივანე ფრანკოს სახლ-მუზეუმში ვიყავით და რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ერთ ახალ ბიბლიოთეკაში დავესწარით ამ წიგნთსაცავისათვის დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის სახელის მიკუთვნების ცერემონიას.

— ამ ბიბლიოთეკისათვის აკაკის სახელის წოდება დიდი ხანია გადაწყვეტილია, მაგრამ ამის განხორციელება ქართველი მწერლების თანდასწრებით ორჯერ უფრო დიდმნიშვნელოვანი იქნებოდა და ამიტომ თქვენს ჩამოსვლას დაველოდეთ, — განაცხადეს მასპინძლებმა.

დიდი მეგობრობის საღამო გაიმართა ფრანკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, რომლის ტრანსლაციას აწარმოებდა როგორც რადიო, ისე ტელევიზია. საგანგებოდ მომზადებულ კონცერტში უკრაინის ხელოვნების ოსტატებმა რამდენიმე ჩვენი სიმღერა ქართულ ენაზე შეასრულეს.

ლვოვიდან იმიერკარპატებისაკენ მიმავალი გზა ჭერ ვრცელ ველებს მიჰყვება, შემდეგ თანდათან მთის მდინარეს აედევნება და ხეობიდან ხეობაში შეეგიყვანს. მთების, ხეობების, ჩანჩქერების ნახვამ არ შეიძლება ქართველის გული არ ააღელვოს. ასეთ გარემოში უფრო შინაურულად გრძნობ თითქოს თავს და უფრო მშობლიურად გეჩვენება ირგვლივ ყველაფერი.

ჩვენი გზა სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა. ყოველ მოსახვევში მთის სოფლებიდან მოსულნი ყვავილებით და დროშებით ხელში იდგნენ და გველოდებოდნენ. თოთო წუთით ვჩერდებოდით მათთან, მაგრამ ყველასთან ხელის ჩამორთმევასაც ვერ ვასწრებდით, ისევ წინ და წინ გვაჩქარებდნენ.

უღელტეხილამდე ცოტალა და-

რჩა, როცა ხშირი, დაბურული ტყისაკენ გადავუხვიეთ, პატარა მთის მდინარე გადავედით და შეკობზე მდგარ ტყისმცველის სახლთან შევჩერდით.

აქ კარპატული მთის ლაზათით შემზადებული საღილი გველოდა. სუფრაზე მთავარი აღგილი იქმურმა კალმახმა დაიჭირა. დიდი თასებით მოიტანეს გამჭვირვალე მაისის თაფლი, რომელიც საოცრად სურნელოვანი და მშვენიერი გემოსი გამოდგა.

უღელტეხილზე იმიერკარპატების ოლქის წარმომადგენლები შევგვხდნენ ტრალიციული პურმარილით და სახელდახელო ხალხმრავალი მიტინგიც გამართეს.

მთის გრილი და ძლიერი ჭარი ტაშისკვრასავით ატკაცუნებდა ნაძვებზე გაჭიმულ ქართულ ტრანსპარანტებს.

ერთ მათგანზე წავიკითხე: „მშვენიერი საქართველოს მწერლებს მიესალმება უკრაინა“, ხოლო მეორეზე — „აქ, ამ სიმაღლეზე ჩვენ გულითადად მივესალმებით ქართველ ძმებს“.

მე და იური ზბანაცკი იმიერკარპატების საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის ვასილ პავლეს ქერუსინის მანქანაში მოვხვდით. დიდად გულთბილი, გულლია და შეიარული მოსაუბრე კაცი აღმოჩნდა ვასილ პავლეს ძე.

დაღმართებზე რომ დავეშვით, რუსინმა შორს, ბარში ტურიას ველი დაგვანახა, შემდეგ გაღმამდა შეფენილ ულრან ტყეებს მოავლო თვალი, ზბანაცკის

მხარზე ხელი დაჲქრა და სიღრმი-  
დან ამოიხვეშა:

— ეჭ, გახსოვს. იური, იმ ქედ-  
თან რომ ჩამომსხეს თვითმფრი-  
ნავიდან. — იგონებდა თავის პა-  
რტიზანულ წარსულს ჩვენი მას-  
პინძელი. მწერალი ზბანაცკიც  
ხომ ცნობილი პარტიზანია. იგი  
საბჭოთა კავშირის გმირია. რუ-  
სინი კი ომის დროს პარტიზანუ-  
ლი შენაერთის მეთაური იყო,  
ხოლო როცა ჩვენი ჯარები კარპა-  
ტებს დაეპატრონენ, იგი პოლ-  
კოვნიკის ჩინით მოქმედ არმია-  
ში გადავიდა და მტერს პრალამდე  
სდია.

უფგოროდს ვუახლოვდებო-  
დით. მინდვრებში თანდათან იმა-  
ტა ვენახებმა. აგერ სახლის  
აივნებზე, როგორც ჩვენში, ვა-  
სულა ვაზი, ეზოებიც ვაზით და-  
ბურულია.

თავმჯდომარე კმაყოფილებით  
და სიამაყით გვიჩვენებს კოლმეუ-  
რნეთა ახალ კოხტა სახლებს და  
ეზოებს. ეს ყველაფერი ომისშემ-  
დგომა შრომამ შექმნაო, გვითხ-  
რა მან.

ქალაქში დაქანცულები ჩავე-  
დით, მაგრამ დრო აღარ იყო! უფ-  
გოროდის ერთ-ერთ დიდ დარბაზ-  
ში შექრებილი ხალხი გველოდე-  
ბოდა და ჩვენც უმალვე მეგობ-  
რობის საღამოზე წავედით.

დარბაზში ქართველი ჯარისკა-  
ცებიც ისხდნენ და ანთებული  
თვალებით შემოგვცეროდნენ,  
ხოლო როცა ქართული ლექსები  
გაიგონეს, ცრემლს ვეღარ მალავ-  
დნენ.

ამაღელვებელი იყო საღამოზე  
უფგოროდის სახელმწიფო უნივე-  
რსიტეტის სტუდენტის დიმიტრი  
სინჯარაძის გამოსვლა. შისი დაც  
— ნუნუ სინჯარაძე ჩვენს გვერ-  
დით იჯდა. მათი მამა ირაკლი უფ-  
გოროდის განთავისუფლებისათ-  
ვის ბრძოლაში დაიღუპა. გერმა-  
ნელ ფაშისტებთან ერთ-ერთი შე-  
ტაკების დროს იგი ამ ქალაქის  
მისდგომებთან დაეცა და მთელი  
უფგოროდი ახლა სხვა გმირების  
გვერდით ქართველი სინჯარაძის  
საფლავს უვლის და ინახავს.

ამიტომ აქ დაცემული ქართვე-  
ლი მეომრის შვილებს კარლია შე-  
ხვდა უფგოროდი და მისი უმალ-  
ლესი სასწავლებლები.

საოლქო კომიტეტის პირველი  
მდივანი იური ვასილის ძე ილი-  
ცკი შვილებივით იხუტებდა და-  
ძმას, ხოლო საღამოს, დელეგაცი-  
ის პატივსაცემად გამართულ ვაჭ-  
შმის დროს, დიმა და ნუნუ გვერ-  
დით დაისვა.

მეორე დღეს, ე. ი. დეკადის მე-  
რვე დღეს, ჩვიდმეტ მაისს, ჩვენი  
ჯგუფი კვლავ ორ ჯგუფად გაიყო  
და მთიან რაიონებისაკენ გაემარ-  
თა.

მე, ნოდარ გურეშიძეს, მაყვალა-  
მრევლიშვილს, გიორგი მარგვე-  
ლაშვილს და ნიკოლოზ მიქაელ  
მუკაჩევო - სვალიავის მიმართუ-  
ლება გვერგო. ეს ორი რაიონი კა-  
რპატების ყველაზე მაღალი და  
ყველაზე ლამაზი მხარეა. რა გუ-  
ლით და რა სიხარულით შეხვდ-  
ნენ საქართველოს წარგზავნი-  
ლებს იმ მთების მცხოვრებნი!

ამის აღწერა ჩემს ძალას აღემა-  
ტება.

პირდაპირ ვიტყვი, წარმოუდ-  
გენელი და განუმეორებელი რაშ  
ხდებოდა: გზისპირებზე გამო-  
სული მოღიმარი აღამიანები პირ-  
დაპირ გულში გვიკრავდნენ და  
საქართველოსალმი სიყვარულის  
ვრძნობებს თითო-ოროლა სიტყ-  
ვით გამოხატავდნენ.

ვიდრე მთებს შევუდგებოდით,  
ჩვენს თვალწინ ვენახოვანი მინდვ-  
რების ულამაზესი პანორამა გაი-  
შალა. ერთ ადგილას ჩვენ უამრავი  
შანქანები, ხალხი, ახალმშენებლო-  
ბანი დავინახეთ. მაგრამ შენობები  
ჩვენი ღროისას არა ჰგავდა. აქ  
თურმე საბჭოთა კავშირ-იტალიის  
კინოხელოვნების მუშაკები ერ-  
თობლივად იწყებენ მხატვრულ  
კინოსურათ „ვატერლოს“ ბა-  
ტიალური სცენების გადალებას.

მთიანი რაიონის სვალიავას მო-  
სახლება გზებზე გამოსულიყო  
და დიდ ერთიან მდინარედ მწვა-  
ნე ხეობისაკენ მიედინებოდა. იმ  
ხეობაში სვალიაველებს ბუნებ-  
რივი ამფითეატრი მოეწყოთ  
ძველ რომაულ ყაიდაზე. ჩვენ რომ  
მივედით, უკვე აღგიანზე იყო და-  
ახლოებით ხუთი ათასამდე კაცი.  
კარპატების მთების შემოზღუ-  
დულ; ცაცხითა და თელებით  
დაბურულ მწვანე თეატრში ამ  
გრანდიოზული აუდიტორიის წი-  
ნაშე წარვდექით ჩვენ — ქართუ-  
ლი ლექსის მესვეურები. მღელ-  
ვარებითა და სიამაყით წარმოვ-  
ჯვამდით ყოველ სიტყვას ქარ-

თულად, რომელსაც ის მეგობარი  
მთები ბანს ეუბნებოდნენ.

მეზობელ მუქაჩევოს რაიონის  
ტერიტორიაზე გადავედთ. ახა-  
ლი მასპინძლები ზედ საზღვარ-  
თან დაგვხვდნენ და პირდაპირ  
უფრო მაღლა, მთებში, სადაც კა-  
ლმახების დიდი მეურნეობაა, იქ  
წაგვიყვანეს.

ტყეში, მდინარის პირას კოცო-  
ნი გააჩაღეს, კალმახები და ბატკ-  
ნის მწვადები შეწვეს და ქართულ  
ყაიდაზე ღოქებში ჩასხმული ღვი-  
ნით გავიმასპინძლდნენ. კარპა-  
ტულმა თეთრი სუფრის ღვინომ,  
რომელსაც რამდენიმე ოქროს მე-  
დალი მოუპოვებია საერთაშორი-  
სო გამოფენებზე, საქართველო-  
დან მოსული სტუმრების დიდი  
მოწონება დაიმსახურა, რაც უფ-  
რო მეტად ახარებდა მასპინძლებს.

უკვიროლში გვიან ღამით დავ-  
ბრუნდით, დილით კი საოლქო  
კომიტეტის პირველმა მდიგანმა  
მიღება გამართა და ქართველ მწე-  
რლებს სამახსოვრო საჩუქრები  
გადმოგვცა. მან მაღლობა გადაუ-  
ხადა სტუმრებს, რომ საშუალება  
მისცეს მას შეძლებისდაგვარად  
მასპინძლობა გაეწია მსოფლიოში  
განთქმული სტუმართმოყვარე  
ქვეყნის — საქართველოს წარმო-  
გზავნილებისათვის. ეს დიდი ბე-  
ღნიერებაა ჩემთვისო, თქვა ამხა-  
ნაგმა ილნიცვიდ.

შემდეგ ქალაქის დასათვალიე-  
რებლად წაედით. ჩვენ მიგვიწ-  
ვიეს მიწისქვეშა. გვირაბ-რეტ-  
ორანში, რომელიც შუა ქალაქ-  
ში კლდეშია გამოჭრილი. რამდე-

ნიმე გრძელი მიწისქვეშა დარბაზი ერთ ცენტრალურ ჯვარედინ დერეფანში ერთიანდება. იგი უფრო მუზეუმს ჰგავს.

ღვინის კასრები, ქვევრები და ყველაფერი აქ გამოყენებულია კოლორიტისა და სილამაზის შესაქმნელად. საქართველო ღვინისა და პურმარილის განთქმული მხარეა, მაგრამ, როგორც კონსტანტინე ლორთქიფენიძემ გულისტკივილით აღიარა, ასეთი რამ ჯერ-ჯერობით ვერ მოგვიწყვია. ერთ კუთხეში ჩვენთვის სახელდახელო სუფრა იყო გაშლილი. იქვე კლდის კედლებზე ყინულივით ცივი წყაროს ნაჟური წვეთავდა. ჩვენ ქართულად, თიხის ჯამებით დავლიერ ჩვენი ძმა უკრაინის სადიდებელი, მაღლობა გადავუხადეთ უკგოროდელებს და ცოტა ხანში აეროპორტისაკენ გავემ-გზავრეთ. ერთი საათის შემდეგ ჩვენმა თვითმფრინავმა კიევისა-კენ აიღო კურსი.

თითოეული ჩვენგანი ალბათ თავისებურად აჯამებდა მიღებულ შთაბეჭდილებებს და საბოლოო დასკვნები გამოჰქონდა. თუმცა ასეთი დასკვნის გაკეთება უეც-რად ძნელი საქმე იყო. მე ახლაც გაბრუებული ვარ უკრაინის იმ საოცარი და ბეჭნიერი დღეებით. ამიტომა, რომ დინჯად, დაფიქ-რებით და მოთმენით ვერ აღვწე-რე ყველაფერი, რაც იმ ათი დღის მანძილზე თვალუწვდენელ უკრა-ინის მიწაზე ვნახე და ვიგრძენი.

კიევში დაბრუნებულები სასწ-რაფოდ უკრაინის ცენტრალურ

ტელევიზიაში მიგვიწვიეს და გვთხოვეს ამ გამოსამშვიდობებულ საღამოს რაიმე გვეთქვა მაყურებლისათვის. ცისფერ ეკრანზე ზერდიზე გამოდიოდნენ გ. აბაშიძე, კ. კალაძე, ხ. ბერულავა, ნ. გურე-შიძე, გ. მარგველაშვილი, თ. ჭი-ლაძე, კ. ლორთქიფანიძე, ი. ცი-ციშვილი და თავიანთ აღტაცებას გამოთქვამდნენ, აგრეთვე ახალ-ნაწარმოებებს კითხულობდნენ.

ჩემი მხრით მეც ვთქვი: „ჩემო ძვირფასო, საყვარელო და ლამაზო უკრაინავ, მოგესალმები! ერთადერთი სიტყვა, ქართული სიტყვა, რომლითაც ახლა შეიძლება მიახლოებით მაინც გამოვთქვა ჩემი გრძნობა შენდამი, ჩემო ძვირფასო უკრაინავ, არის სიტყვა გენაცვალე“.

შემდეგ წავიკითხე ლექსი „გენაცვალე“.

დასკვნითი საღამო შევჩენკოს სახელობის ობერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა. საღამზე მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან ბოლო დღეს ჩამოსულიყვნენ ირაკლი აბაშიძე და კონსტანტინე გამსახურდია.

ოთხმოც წელს მიახლოებული ჩვენი დიდი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, მიუხედავად იმ ხანად ერთგვარი ფიზიკური სისუსტისა, მაინც ჩამოვიდა მოძრეულიანაში, რათა თავისი გულითადი სიტყვა ეთქვა ძველი და ახალი მეგობრებისათვის აქ, შევჩენკოსა და ფრანკოს მიწაზე.

კონსტანტინე ოდნავ შეგვიანებით შემოიყვანეს პრეზიდიუმში.

მთელი დარბაზი ფეხზე წამოიჭრა და ოვაციამ იფეთქა. გაისმა შეძანილები საქართველოსა და მისი მწერლობის, მისი მხცოვანი მესიტყვის გამსახურდიას საღლეგრძელოდ.

სამწუხაროდ, კონსტანტინემ ვერ შეძლო ტრიბუნასთან გასულიყო, ვერ შეძლო სიტყვა ხმამაღლა წარმოეთქვა. იგი მხოლოდ ადგილიდან კოცნას უგზავნიდა დამსწრეთ მაღლობისა და სიყვარულის ნიშნად.

მეორე დღეს უკრაინის მწერალთა კავშირის საზეიმო პლენუმი გაიმართა. ქართველი და უკრაინელი თანამოქალმეები ერთმანეთს ჟცილებოდნენ ორატორობაში. მთავარი ერთი იყო: გაჭლიერდეს შემოქმედებითი თანამშრომლობა. გადაწყდა, მომზადდეს და გამოიცეს კრებული, რომელშიც დაწვრილებით აისახება უკრაინაში ქართული ლიტერატურის დეკადის უკველი და ურთიერთობა. უფრო გაცხოველდეს ურთიერთ-

თარგმნა და გამოცემა უკეთესი კლასიკური თუ დღევანდელი მხატვრული ნაწარმოებისა.

წინა დღეს უკვე გამოქვეყნებული იყო უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქართული დეკადის მონაწილეთა საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ. სიგელების გადასაცემად უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შედგა ჩვენი მიღება.

იმავე დღეს დელეგაციის მეტი ნაწილი შინ დაბრუნდა.

მე ახლა სიამოვნებით ვიგონებ უკრაინაში გატარებულ ათ დღეს, ქართული ლიტერატურის დეკადის იმ ისტორიულ ათ დღეს და მეამაყება, რომ მისი ერთი მონაწილე მეც ვიყავი. მიხარია, რომ ბეღნიერება მქონდა საქართველოსთან სამარადეამოდ შედუღაბებული მხარის აჭარის სახელით, იქ, უკრაინის სტუმართმოყვარე და მეგობრულ მიწაზე, სახელოვანი ქართველი მწერლების გვერდით, ჩემი ხმაც გაისმოდა.



შოთა რეზა

## პოეტი და მთარგმნელი

პოეტი და მთარგმნელი — ჩვეულებრივ ასე ახასიათებენ გიორგი სალუქვაძეს. ამით მარტო იმის თქმა კი არ სურთ, რომ იგი ორიგინალურ ლექსებსაც წერს და რუსი თუ სხვა ეროვნების მწერალთა თხზულებებსაც თარგმნის. თარგმნით სხვებიც თარგმნიან და საკუთარ ლექსებსაც წერენ. საქმე ის არის, რომ თარგმანებს გიორგი სალუქვაძის შემოქმედებაში იმდენად თვალსაჩინო ადგილი უკავია, მის პირვენებაში ისე შეესისხლხორცნენ ერთმანეთს პოეტი და მთარგმნელი, რომ ძეგლი სათქმელიც კი არის — როგორ უფრო იცნობს მყითხველი მას, როგორც ორიგინალურ შემოქმედს თუ როგორც მთარგმნელს. ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ „ავტობიოგრაფიაში“ პოეტიც აღიარებს: „ახლა აღარ ვიცი, რას უფრო მეტი დრო და ენერგია მოვანდომე, თარგმანებს თუ ორიგინალურ შემოქმედებას.“

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: თარგმანი გიორგი სალუქვა-

ძისათვის ე. წ. „შემოქმედებითი შესვენების“ პერიოდის ამოსავსები საქმიანობა კი არა, თვით შემოქმედებაა, მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ორგანული შემაღებელი ნაწილია, ურომლისოდაც იგი ბევრს დაკარგავდა. და მაინც, მთავარი და განმსაზღვრელი მის მოღვაწეობაში ორიგინალური ლექსებია, ის ლირიკული გმირი, რომელიც კერკიდევ სიჭაბუქეში შექმნა და მრავალი წლის მანძილზე სრულყოფდა, სულ უფრო მკაფიოდ გამოხატავდა, ვიდრე ახლანდელი სახე არ მისცა.

გიორგი სალუქვაძის პირველი ორიგინალური ლექსი „გაზაფხულის დილა“ 1937 წელს დაიბეჭდა ალმანახ „სტალინურ თაობაში“. ეს იყო პატარა პოეტური სურათი, რომელშიც თითქოს საკუთხებით მოულოდნელად იჭრებოდა საზოგადოებრივი მოტივი. მართალია, ამ მოტივს ლექსში არ ეკავა წამყვანი ადგილი, მაგრამ არც ჩართულის, მოტმასნილია:

შთაბეჭდილებას ტოვებდა, პირიქით, იგი ორგანულად ერწყა-  
მოდა სურათს და არსებითად გა-  
ნისაზღვრავდა მის იდეურ ში-  
ნაარსს.

წერის ეს მანერა გიორგი სა-  
ლუქვაძემ შემდეგ უფრო დახვე-  
წი, სრულყო და იგი მისი პოეტუ-  
რი სტილის ერთი უმთავრესი  
თავისებურება გახდა. თავის საუ-  
კეთესო ლექსებში პოეტი აშეა-  
რად ერიდება სათქმელის უშუა-  
ლოდ, პირდაპირ გადმოცემას.  
იგი ხატავს სურათს, გვიყვება ამ-  
ბავს და იდეას ამ სურათში, ამ  
ამბავში აქსოვს. სხვანაირად რომ  
ვთქვათ, სათქმელი ქვეტექსტში  
გადააქვს, ამავე დროს არც სურა-  
თი, არც ამბავი არ შეიცავს რაი-  
მე განსაკუთრებულს, უჩვეუ-  
ლოს, ხშირად იგი სავსებით ჩვე-  
ულებრივი და ყოველდღიურია.

თემის გადაწყვეტის, წერის,  
ასეთმა მანერამ ბევრი უსიამოე-  
ნება განაცდევინა გიორგი სალუ-  
ქვაძეს. რაკი პოეტს ნაკლებად  
იზიდავდა მასშტაბური თემები და  
ხაზგასმული პუბლიცისტიკა, ამ-  
ჯობინებდა „უმნიშვნელო“ ყო-  
ფითი მოვლენების აქცენტირე-  
ბას და განსაკუთრებულ როლს  
ანიჭებდა ქვეტექსტს, ზოგ ვინმეს  
ეს უქმნიდა შთაბეჭდილებას, თი-  
თქოს მის ლექსებს აკლდა მოქა-  
ლაქეობრივი უღერადობა, პოლი-  
ტიკური აქტუალობა. ამას ემა-  
ტებოდა პოეტის „ზედმეტი“ გა-  
ტაცება ინტიმურ-სატრაფიალო მო-  
ტივებით და ზოგიერთი კრიტი-  
კოსი, სოციოლოგიური სქემე-

ბით რომ აზროვნებდა, გ. სალუ-  
ქვაძეს უსაყველურებდა „შემინდ-  
ხელოვნებისაკენ“ მიღრეკილე-  
ბას, თანამედროვეობის აქტუა-  
ლური პრობლემებისაგან, ხალ-  
ხის ცხოვრებისაგან განდგომას.

ნამდვილად კი, რა თქმა უნდა,  
ასე არ იყო და არ არის.

ყველაზე უკეთ ეს ჩანს პოე-  
ტის პატრიოტულ ლექსებში. მისი  
პატრიოტიზმი სათავეს იღებს გუ-  
რის პატარა სოფლებში — ნაკა-  
ლულსა თუ საჭამიასერში, სადაც  
ფეხი აუდგამს და ბავშვობა გაუ-  
ტარებია. „სოფელს, ჩემს საყვა-  
რელ დელულეთს ნაკალული  
ჰქვია. ქვეყნად ამაზე ლამაზი  
სოფელი არ მეგულება. თუ რამ  
შთაგონება მქონია, მისი შთაგო-  
ნებულია“, წერს გიორგი სალუქ-  
ვაძე „ავტობიოგრაფიაში“. და  
იქვე შენიშნავს: „ის კარმიდამო  
და ხევისწყალი (მდინარის სახე-  
ლია — გ. ქ.) ლრმად ჩამებეჭდა  
გონებაში და ლექსებში პეიზა-  
ჟების ხატვისას მუდამ თვალწინ  
მეღგა“.

ისევ გადახუჭუჭლნენ  
საჭამიას სერები,  
ისევ გაცოცხლებულან  
გახაფხულის ფერებით,  
შუას თეთრი ხბოები  
ისევ ისე შეენიან,  
წიფლის ტოტი ორლობეს  
ისევ გადმოფენია.  
გაუშლიათ ბაბილო  
ჩხავერისა და საფერავს.  
ისევ მომნატრებია  
ხევისწყალზე ჩარბენა.

ძალიან ნაცნობი გრძნობაა.  
იგი: ალბათ, ყველას განუცდია:  
ვინც კი მშობლიურ ადგილებს  
მოსცილებია და მათი მოგონება-

ღა შერჩენია. სოფლის ორლობე  
თუ ქალაქის პროსპექტი, საღავა  
გვიცხოვრია და აღვზრდილვართ,  
თითქოს ჩვენი სულის, ჩვენი  
სხეულის, მთელი არსების ნაწილი  
ხდება და, როცა დავშორდებით,  
ასე გვგონია, რაღაც დაგვაკლდა,  
რაღაც ძვირფასი და აუნაზღაურებელი დავკარგეთ. ამიტომაც  
ასე ძლიერად იგრძნობა პოეტის  
ლექსში ჩუმი ნაღველი,  
უჩინარი სევდა.

კველაფერი ეს ანაზღად შეიძლება ძლიერ ვიწრო, შეზღუდული კუთხური პატრიოტიზმის გამოვლინებად მოგვეჩვენოს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველგვარი პატრიოტიზმი მშობლიური აღგილების სიყვარულით იწყება და თანდათან, პიროვნების განვითარების კვალობაზე იქცევა სამშობლოს, ბოლოს კი მთელი კაცობრიობის სიყვარულად. ის გრძნობა, პოეტმა რომ გაგვიზიარა, პატრიოტიზმის საწყისი ფორმაა, მისი პირველსახეა. იგი თანდათან ფართოვდება, ვითარდება, ხდება შეგნებული და გრძნობიდან მაღლდება იდეამდე.

იდეამდე გრძნობის ამაღლების ეს პროცესი საკმაო სისრულით ჩანს გიორგი სალუქვაძის პოეზიაში. პირველი ნაბიჯი ამ გზაზე უკვე მთელი გურიის სიყვარულია („გურიაში“) და არა მარტო მამულ-დედულეთისა, შემდეგ კი მთელი საქართველოსი, მთელი ჩვენი დიადი სამშობლოსი. დამახსიათებელია, რომ კრიტიკოსმა სიმონ არველაძემ ერთ-ერთ რე-

ცენზიაში გიორგი სალუქვაძის ლექსებს უწოდა „სიმღერები განახლებულ ზღვისპირეთზე“ და ხაზგასმით აღნიშნა. მისი პოეზიის უმჭიდროესი კავშირი აჭარის სინამდვილესთან. „აჭარის ბუნება, განახლებული ზღვისპირეთი და აღამიანი, რომელიც ახალ ცოვრებას აშენებს და ალამაზებს, — წერდა კრიტიკოსი, — აი რა არის გ. სალუქვაძის სიმღერის საგანი, მისი პოეზიის ლაიტ-მოტივი“.

აჭარას გიორგი სალუქვაძის პოეზიაში მართლაც ერთი უთვალსაჩინოესი ადგილი უკავია. პოეტმა საქართველოს ამ უტურფესი კუთხის გულწრფელი სიყვარულით შთაგონებული არაერთი ლექსი შექმნა. ამ ლექსებში სხვა პოეტებისაგან განსხვავებით იგი ნაკლებ ყურადღებას უთმობს მხარის წარსულს. გ. სალუქვაძე თანამედროვე, განახლებული აჭარის მომღერალია და, თუ ზოგჯერ ისტორიას გაიხსნებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ხაზი გაუსვას სიკეთის დღეგრძელობას, ბოროტების ხანმოკლეობას. ისეთ ლექსებშიც კი, როგორიც არის „ტაძართა, ციხეთა ნანგრევით...“ მას წინა პლანზე გამოაქვს თანამედროვეობა, კაცყოფილებით წერს. რომ „აღღენილ სიცოცხლეს არ უჩანს სასრული“ და აი ამ განახლებულ მხარეს, აღღენილ სიცოცხლეს რომ შეხარის, პოეტს არა მარტო გრძნობა იპყრობს, ფიქრებიც ეუფლება: რა ურთიერთობაა წარსულსა და აწმ-

ყოს შორის, გადმოდის თუ არა წარსულიდან რაიმე თანამედროვეობაში, თუ წარსული ისევე უკვალოდ ქრება, როგორც ცვარი მზის სხივებში?

ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს ლაიბნიცის ცნობილი აფორიზმი: „აწმყო—წარსულის უარმყოფელი, არის მშობელი მომავალისა“, რომელიც დიდმა ილიამ ეპიგრაფად წარუმძღვარა თავის ერთერთ ლექსს. თუ ასეა, მაშინ აშკარაა, რომ აწმყო ერთსა და იმავე დროს წარსულის მომავალიც არის და მომავლის წარსულიც, ე. ი. არ არსებობს აწმყო, რომელიც წარსულს არ შეიცავდეს, და არ არსებობს მომავალი, რომელიც აწმყოდან (მომავლისათვის იგივე წარსულიდან) არ მომდინარეობდეს. მაშასადამე, წარსული მარტო გარდასული დრო კი არ არის, იგი კი არ კვდება, არამედ გადადის და მკვიდრდება აწმყოში (წარსულის მომავალში). აჭარის წარსულიც არ გამქრალა უკვალოდ, ისიც შემორჩა დღევანდელობას.

ტაძართა, ციხეთა ნანგრევით  
შემოგვრჩა,  
ტბელის და რუსოველის ქართულით  
შემოგვრჩა,  
დამარცხულ მარნით და საწნახლით  
შემოგვრჩა  
და იავნანათი შემოგვრჩა წარსული.

მომხდურმა მტერმა, დედა საქართველოს რომ მოსწყვიტა აჭარა, შეძლო იავარეყო მისი მატერიალური კულტურის ძეგლები, აეჩეხა ვაზი და დაედუმებინა მარან-საწნახელი. ასე გაჩნდა ჩვენს მხარეში ნამონასტრევი და ნავე-

ნახარი. მაგრამ მტერმა ვერაფერი დაკლო ხალხის სულს, ქართულ ეროვნულ სულს და ივე შემოგვრჩა „ტბელისა და რუსთველის ქართულით“, ქართველი დედის იავ-ნანათი. ერთხელ კიდევ ცხადი გახდა, რომ მარტო ხალხის სულია უკვდავი და მოუხელთებელი, მარტო ის არის დიადი და უძლეველი. ოვით მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი ნივთიერი ლირებულება, ხალხის სულიერი ძლიერების, სულიერი უკვდავების ცოცხალ მოწმედ და სიმბოლოდ იქცნენ და პოეტიც უმღერის ხალხის სულს, უმღერის მის ძლიერებას გაოგნებული და მოხიბლული, მორწმუნე მლოცველის ექსტაზით:

მე მიყვარს  
მიმზის ახალი ყლორტები,  
მე მიყვარს  
აჭარის მოლურჯო კორდები,  
მე მიყვარს  
ჭოროხის ქვებიც და ლოდებიც,  
მე მიყვარს  
ზეცასთან მიდგმული ოდები.  
შენ, სულო უდრეკო,  
შენ გულო ჭვიალო,  
არასდროს, არასდროს მოკვდები!

აი ეს უდრეკი სულია, წარსულიდან რომ გადმოვიდა თანამედროვეობაში და ხალხის ყოველდღიურ საქმიანობაში სახიერდება. მართალია, დღეს ქართველს აღარ უხდება ხმლის მოქნევა, იგი მანქანას მართავს, აშენებს და გარდაქმნის ბუნებას, მაგრამ ესეც გმირულ სულს, უდრეკ სულს მოითხოვს. ამიტომაც წერს პოეტი ერთ-ერთ ლექსში („აგარა“):

„მკლავმაგარ ქართველს ახლა  
ამშვენებს სხვა გმირობა და სხვა  
ჟიმამაცე“. განსხვავება, მაშასა-  
დამე, დასაქმების ხასიათშია და  
არა თვით სულის თვისებაში ან  
მიზანში. მიზანი წინათაც სამშობ-  
ლოს ბეღნიერება იყო და ახლაც  
ის არის.

ხაზი უნდა გავუსვათ კიდევ  
ერთ, ჩვენი აზრით, საგულისხ-  
მო მომენტს. თუმცა ლექსი („ტა-  
ძართა, ციხეთა ნანგრევით“) თა-  
ვიდან ბოლომდე გამსჭვალულია  
წარსულის სიყვარულით, პატ-  
რიოტული სიამაყით, ეს არ არია  
მისი აბსოლუტური, განურჩევე-  
ლი სიყვარული. პოეტს წარსულ-  
ში უყვარს მარტო ის, რაც ჯანსა-  
ლი და კეთილია, ხალხის ბეღნიე-  
რებას ეშვახურება, რაც მის უდ-  
რეკ სულს და ეროვნულ ფსიქო-  
ლოგიას გამოხატავს, ე. ი. ყველა-  
ფერი ის, რაც წარსულიდან აწმ-  
ყოში გადმოდის, თაობიდან თაო-  
ბას გადაეცემა და ერთ რომელი-  
მე დროს არ ეკუთვნის. სხვანაი-  
რად რომ ვთქვათ, პოეტს უკ-  
ვარს აწმყოში გადმოსული წარ-  
სული, ჩვენი თანამედროვეობის  
ორგანულ ნაწილად რომ იქცა.  
მეორე მხრივ, თვით აწმყო პოეტს  
იმიტომაც უყვარს, რომ იგი თა-  
ვის თავში შეიცავს წარსულს.  
აღადგენს და ავითარებს ყველა-  
ფერს, რაც კი მასში საუკეთესო.  
მარადიული იყო. ერთ-ერთ ლე-  
ქსში („აგარა“) პოეტი წერდა: „აქ  
ნატაძრევის კედელს ვეყრდნობი,  
ახალი სოფლის სურათით ვტკბე-  
ბი“. აი ასე გამოხატა პოეტმა წა-

რსულისა და აწმყოს ორგანულ  
კავშირი, მათი ურთიერთ გადახ-  
ლართვა.

სულ ახლახან გიორგი სალუქ-  
ვაძემ გამოაქვეყნა ახალი ლექსი  
„ჩემი მიწა“. მისი თემა იგივეა,  
რაც ერთი ადრინდელი ლექსისა,  
„ვაზის ძირი დაიღოცოს“. ორივე  
ლექსში პოეტი შეხარის ქართუ-  
ლი ვაზის გაცოცხლებას, რაშიკ  
იგი გარკვეულ სოციალურ-ეროვ-  
ნელ აზრს ხედავს. ნავენახარჯე  
ახალი ზვრების ყვავილობა მისთ-  
ვის ეროვნული აღორძინების,  
ფსიქოლოგიური გადახალისების  
სიცბოლო და ყველაზე მკაფიო  
დადასტურებაა. მაგრამ რამდენი  
განსხვავებაა ამ ორ ლექსს შო-  
რის. თუ ადრინდელ ლექსში პუ-  
ბლიცისტიკა ჭირბობდა, ვხვდე-  
ბით სტერეოტიკულ „სამას წე-  
ლიწადს“, „ჩემი მიწა“ გვიზიდავს  
უშუალო პოეტური სურათით,  
დიდი შინაგანი სითბოთი, აღამია-  
ნურობით. ქართული ვაზი, გ. სა-  
ლუქვაძის სიტყვით, ნაღვერდა-  
ლია, ახალი დროის ლადარში რომ  
ღვივის და ქართული სულის და-  
ლას გამოხატავს.

მემოვლია ჩემი მიწა, —  
ცხრაჯერ ვიყვავ ცხრა მთაში,  
გაგანი სიცხეში და  
ქარბუქიან ზამთარში,  
ნალვერდლები არ ჩაქრალა  
ჩემი კერის ლადარში.  
შენ, კამბლივით ლურჯო ვაზო,  
ათას გრიგალს გაღარჩი,  
შენს ქართველურ საგალობელს  
ვგალობ სხალთის ტაძარში  
და აღგილის შევდავ დედას  
თავს ჩავუდებ კალთაში.

განახლებული აჭარის საინტე-  
რესო სურათებია გიორგი სალუ-

ქვაძის ლექსებში „აგარა“, „ჩი-რუხიდან გოდერძამდე“, „განდა-განა“... მაგრამ საგანგებო ყურა-დღების ღირსია „საღამო გოგა-ძეებში“. გვგონია, რომ პოეტის არც ერთი სხვა ნაწარმოები ისე სრულად, რელიეფურად არ გად-მოგვცემს თანამედროვე აჭარის სახეს, როგორც ეს პატარა სიუ-ჟეტიანი ლექსი, რომელსაც ნამ-დვილი ამბავი, კონკრეტული ფა-ქტი დაღო საფუძვლად. ერთ-ერთ პოეზიის საღამოს ამ მაღალ-მთიან სოფელში სხვებთან ერთად დაესწრო ჩვილბავშვიანი ქალიც, რომელიც „სახლში რომ ვეღარ დატოვა ბავშვი, სასოფლო კლუბ-ში აქვნით მოვიდა“. ათობით წლის წინათ ერთი უცხოელი მო-ლვაწე გაოცებული წერდა, საბ-ჭოთა კავშირში ისე უყვართ პო-ეზია, ლექსებს საათობით ისმე-ნენ. რას იტყოდა, ნეტავ, ეს უცხოელი, გოგაძეების სასოფლო კლუბში რომ ეხილა ლექსები, მოსასმენად მოსული აკვნიანი ქა-ლი? მაგრამ უცხოელი უცხოე-ლად, ჩვენ კი ამ ფაქტში თანამე-დროვე აჭარის სახეს, მის ახალ ადამიანებს ვხედავთ, აღამიანებს. რომლებიც ხარბად ეწაფებიან ცოდნას, ხელოვნებას. ქართველი კაცი ოდითგანვე ღიდად აფა-სებდა სწავლას, განათლებას. წი-ნაპრებმა შესანიშნავი ანდაზაც დაგვიტოვეს: „უსწავლელი ქვაზე დაჯდა, და ქვას ქვა დაემატაო“. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მასას საშუალება არ ჰქონდა ეს-წავლა და ახლა, როცა მის წინაშე

ფართო პერსპექტივები გადაიშა-ლა, ყველანი მთელი მონდოძე-ბით დაეწაფენ ცოდნას, სუ-ლიერ საზრდოს. დღეს ყველამ იცის, მოწინავე რომ იყო, საქმეც სრულყოფილად უნდა იცოდე და სულიერი სიმღიდოები გაგაჩნდეს. მთელი ქალის საქციელი ამ შეგ-ნების მკაფიო დემონსტრაციაა. იმის ნათელი დადასტურებაა, თუ როგორ ცდილობს თითოეული არ ჩამორჩეს დროს, ფეხდაფეხ მიქ-ყვეს ცხოვრებას, თვითონაც ამა-ლლდეს და სამშობლოსაც არგოს. ლექსის დასკვნით სტროფებში პოეტი ხახს უსვამს მთელი ქა-ლის ღრმა პატრიოტიზმს და წი-ნა პლანზე გამოაქვს საზოგადოე-ბრივი მოტივი:

ამ მთების მკვიდრო, ქართველო  
დედავ,  
მსურს შენს წინაშე თავი დავხარო,  
შენი ნანინა ხატებილად ჰლერდეს,  
რომ საქართველოს გული ახაროს.  
ცხრა შვილის ყოლა კვლავ გვეთქვას  
კავხნით,  
გვიზრდიდე მრავალ ვაჟკაცს საქებარს  
ახალი სოფლის,  
ახალი ქვეყნის  
ახალი მიწის  
ასაყვავებლად!

აჭარაზე გიორგი სალუქვაძეს ბევრი სხვა, მეტ-ნაკლებად კარგი ლექსი აქვს, მაგრამ ჩვენ მაინც მისი პოეზიის თემატიკური არეა-ლისა და იღეური დიაპაზონის ერთგვარ შეზღუდვად მიგვაჩნია ვუწოდოთ მას „ზღვისპირეთის მომღერალი“. იგი მშობლიური მი-წით საზრდოობს, მისი ჰაერით სუნთქვას, მაგრამ მაინც არ იკვ-ტება ვიწრო ეთნიკურ ჩარჩოებ-ში. მისი პატრიოტიზმი გაცილე-

შით უფრო ფართოა და ლრმა, და  
მთელ ჩვენ დიად სამშობლოს,  
მთელ ჩვენს პლანეტას მოიცავს.  
იგი ორგანულად ერწყმის ხალც-  
თა ძმობა-მეგობრობასა და პრო-  
ლეტარულ ინტერნაციონალიზმს.  
ამით აიხსნება, რომ გ. სალუქვა-  
ძის ლექსებში აჭარა-გურიის გვე-  
რდით გვხვდება მოსკოვიც და ვა-  
რშავაც, ახლობელი აჭარის მთე-  
ბიც და შორეული პოზნანის ვე-  
ლებიც.

ჩეცენზიაში „ლირიკული სი-  
მღერები“ დოც. ალ. ჩავლეიშვი-  
ლი გიორგი სალუქვაძის ერთი  
სხვა ლექსის გამო წერდა: „მშვი-  
ლობის... სიყვარული აქ პუბლი-  
ცისტურად კი არ არის გადმოცე-  
მული, არამედ ჩაქსოვილია სახე-  
თა სისტემაში, აწყობილია რიტ-  
მულად და დამშვენებულია სხვა  
გამომსახველობითი საშუალე-  
ბებით. იგი ევფონიურად უდერა-  
დია და სწორედ ეს უწყობს ხელს  
მკითხველზე მის მძლავრ იდეურ-  
ემოციურ ზემოქმედებას“.<sup>1</sup> ვფი-  
ქრობთ, ასეთ დახასიათებას უპი-  
რესეს ყოვლისა და ყველაზე  
რეტად იმსახურებს „ომის ღრუ-  
ლები, ჩემი გოგონა და ალუბლე-  
ბი“. საქმე ის არის, რომ ეს უკა-  
ნასკნელი ლექსი აგებულია ყო-  
ფითს მასალაზე და უკვე ამით  
გამოიჩევა როგორც სხვა პოე-  
ტების, ისე თვით გ. სალუქვაძის  
ბევრი ლექსიდან. ჩვენ ზემოთ  
ვთქვით, რომ ხაზგასმული პუბ-  
ლიცისტიკა ნაკლებად ემარჯვება

პოეტს. იგი თავს ყოველმხრივ  
ლალად გრძნობს, როცა ვალმიუკ-  
ცემს ლირიკული გმირის სულის-  
მოძრაობას, შთაბეჭდილებას,  
რაც მასზე გარემოს, ამა თუ ის  
მოვლენას, სხვა ადამიანს მოუზ-  
დენია. იგი ამჯობინებს გვიჩვენოს  
არა იმდენად თვით გარემო, რაშ  
დენადაც მისი გავლენა ადამიან-  
ზე. ეს ლექსს აძლევს უშუალო-  
ბას, თავისებურ ინტიმს და ემო-  
ციურს ხდის მას. სწორედ ეს ინ-  
ტიმი, ემოციურობა აკლია გ. სა-  
ლუქვაძის ბევრ პუბლიცისტურ-  
დეკლარაციულ ლექსს.

დამახასიათებელია, რომ მშვი-  
ლობისადმი მიძღვნილი აღრინ-  
დელი ლექსებიდან კრიტიკოსმა-  
ს. არველაძემ მხოლოდ ყოფილ  
მასალაზე აგებული „მშვილობა,  
ძმებო!“ გამოპყო. ამ ლექსსაც სა-  
ფუძვლად უდევს კონკრეტული  
ფაქტი და აქვს გარკვეული სიუ-  
ჟეტი. კრიტიკოსის თქმით, „მშვი-  
ლობა, ძმებო!“ პათეტიკური მო-  
წოდება როდია მშვილობისათვის  
ბრძოლის აუცილებლობაზე. აქ  
კონკრეტულადაა აღმული მშვი-  
ლობა როგორც ადამიანთა სისხლ-  
ხორციული და საარსებო რამ.  
იგი ერთნაირად მსჭვალავს  
სკებელნიერი ჩვენი ხალხის სუ-  
ლისა და გულს შრომისა და ლხი-  
ნის დროს<sup>2</sup>.

ამ ლექსში პოეტი მიზნად ისა-  
ხავს გვიჩვენოს, რომ მშვილობა  
მარტო დღეს კი არა, ყოველთვის

2 გაზ. „ლიტერატურული საქართ-  
ველო“, 1/IX, 1961.

1. გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 18/IV, 1963.

იყო ხალხის საფიქრი და საზრუნვა. მაგრამ ოცნება ოცნებად რჩებოდა: „ქართველი კაცი მუდამ კეთილი, მაინც ნიადაგ იყო მტრიანი!“ ვინ არ ესხმოდა თავს საქართველოს, ვის არ სურდა მისი დაპყრობა და ქართველიც მიწყივ სამშობლოს საღარაჯოზე იდგა, სიცოცხლეს თმობდა, მამულს კი არა. ამიტომაც უკავია ვიორგი სალუქვაძის პოეზიაში ესოდენ თვალსაჩინო ადგილი ომის თემას. პოეტი თვითმხილველი იყო, თუ რა თავდადებით იცავდა თავის ახალ, სოციალისტურ სამშობლოს ქართველი ხალხი ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად დიდი სამამაულო ომის პერიოდში, და ლექსების მთელი ციკლი მიუძღვნა მის საბრძოლო შემართებას, მის გმირობას ფრონტზე თუ ზურგში.

ეს ლექსები თავმოყრილია გიორგი სალუქვაძის პირველ ორ კრებულში: „ლექსები“ (1945 წ.) და „დაბრუნებულან“ (1946 წ.). მათში ცოტა როდია სუსტი, უფერული ლექსი, იდეის უბრალო ილუსტრაციას რომ წარმოადგენს. მაგრამ არის ბევრი კარგი ლექსიც, რომელშიც ჩანს არა მარტო გულწრფელი პატრიოტი, არამედ სიტყვის ოსტატიც. მათგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ლენინგრადის ფრონტზე დაღუპული მამის ხსოვნისადმი მიძღვნილი „მუხა ჩემი სახლის წინ“. მუხა, რომელიც ვაჟკაცურად ებრძოდა სტიქიას ფრონტზე პოეტის მამის გამგზავრების

დღეს, მისი დაღუპვის შემდეგაც „მტლავრი ტოტებით ფარავს სახურავს, რომ ვეღარ ავნოს სახლს ქარიშხალმა“. აქ მუხა განასახიერებს კეთილ საქმესა და კეთილ სახელს, მამამ რომ დატოვა წუთისოფელში. სიკეთე კი უკვდავია, მას მუდამ მოიგონებენ, გაიხსენებენ, მუდამ იცოცხლებს შთამომავალთა ყოველდღიურ საქმიანობაში. იგი მუხასავით ფესვმაგარი და ტოტებმძლავრია. ადამიანი იღუპება, მისი კეთილი საქმე რჩება და უკვდავებაც ეს არის. ამ აზრით წერს პოეტი, რომ მუხა „დაღუპულ მამას მაგონებს მუდამ, დგას, როგორც მისი ცოცხალი ძეგლი“.

სიკეთის სილამაზესა და უკვდავებას გიორგი სალუქვაძე ბევრ სხვა ლექსშიც უმღერის. პოეტი მას ყველგან ხედავს — ადამიანთა საზოგადოებაშიც და ბუნებაშიც და მის უმთავრეს ღირსებად უანგარობა მიაჩნია.

საჯავახო-ჩოხატაურის გზაზე არის ერთი ადგილი, რომელსაც ბერძნის წყაროს ეძახიან. იგი მგზავრების საყვარელი დასასვენებელი ადგილია. იშვიათად აქ არ შედგეს ავტობუსი, ავტომანქანა, მგზავრი. გაშლიან საგზალს, დაეწაფებიან წყაროს, მოიჩრდილებენ და კვლავ განაგრძობენ გზას კმაყოფილნი და მაღლიერნი. არავინ იცის ვინ მოაწყო, ვინ ააშენა ეს წყარო, ვინ დამშვენა აქაურობა. იციან მხოლოდ, ისიც გადმოცემით, რომ წყარო ვიღაც ბერძენმა ოსტატმა გამართა, არც

ვინმეა მისი მნახველი, არც ქვა-  
ზეა რაიმე წარწერა. ჩანს, ჟურნა-  
ოსტატს გული სთხოვდა კეთილ  
საქმეს. იგი არ მოელოდა სამაგი-  
ეროს, არც უკვდავებას ესწრაფ-  
ვოდა. ხალხმა მანიც არ დაივიწყა  
კეთილისმქნელი, ამ აღვილს ბე-  
რძნის წყარო უწოდა და „უცხო  
ოსტატის სახელი მაღლიერ ხალ-  
ხში დარჩა“. ასეთია კეთილის ძა-  
ლა. ვინც მას გულით ემსახურე-  
ბა, უკვდავებასთან წილნაყარი  
ხდება.

ჩვენ შევეჩვიეთ გამოთქმას  
„ჯუნგლების კანონი“ და ბევრს  
ლამის სჯერა, თითქოს ბუნებაში  
მხოლოდ ბოროტება ბატონობს  
და იქ კეთილისათვის აღვილი არ  
არის. პოეტი შორს დგას ასეთი  
გულუბრყვილო, პრიმიტიული  
შეხედულებისაგან. მას მიაჩინა.  
რომ სიკეთე ყველგანაა და კეთი-  
ლისმქნელიც ყოველთვის აღა-  
მიანი როდია. ბებერი ცაცხვი,  
ზამთარ-ზაფხულ მარტოეა რომ  
დგას რეს პირად უთავშესა-  
ფროდ და არც ქარწვიმასა და  
თოვაში, არც გაგანია სიცხვი  
„არდეს შველიან“, სიკეთის ნა-  
მდვილი განსახიერებაა. ზაფხულ-  
ში მის ჩრდილს იჩრდილებენ.  
წვიმასა და თოვაშიც მის ძირში  
პოულობენ თავშესაფარს, და რას  
მოელის იგი სამაგიეროდ? მისი  
სიკეთე უანგარო და უსაზღაუ-  
როა:

რაც გაჩნდა, მას მერე  
სიკეთეს არიგებს,  
მზესა და ავდარში  
მგზავრების მფარველი,

რაც გაჩნდა, ასე დგას,  
ივიწყებს თარიღებს  
და სამაგიეროს  
არვისგან არ ელის,

კიდევ მეტი, კეთილისმქნემუდ  
არა თუ სამაგიეროს არ მოელის,  
— უბრალოდ არ შეუძლია სიკე-  
თე არ დათესოს, ცუდის წილ ცუ-  
დი ჩაიდინოს. ეს ეწინააღმდეგება  
მის არსებას... ცადატყორცნილ  
ლერწამს ყელი გამოჭრეს, სიცო-  
ცხლე მოუსწრაფეს, იგი კი მაში-  
ნვე სალამურად იქცა, კვლავ რომ  
სიკეთეს ემსახუროს. და ახლა  
„ყელგამოჭრილი ლერწამი უკვ-  
დავ სიმღერას მღერის“, ყველა  
სულდგმული რომ დაატებოს, ვა-  
საც კი მისწვდება მისი საამო რაქ-  
რაკი.

აქ ჩანს არა მარტო სიკეთის,  
არამედ ბუნების დიდი სიყვარუ-  
ლიც. გიორგი სალუქვაძე ისევე  
გატაცებით ეტრიფის მშობლიურ  
ბუნებას, როგორც თითქმის ყვე-  
ლა ქართველი პოეტი. მას აქვს  
უამრავი მინიატურა — უსათაუ-  
რო ლექსი, რომლებშიც შესანი-  
შნავად ხატავს ბუნების სურა-  
თებს, წმინდა პეიზაჟებს. იგი ისე  
აღწერს ბუნებას, ისეთი დამახა-  
სიათებული და გამოკვეთილი დე-  
ტალებით, რომ თითოეული მი-  
ნიატურა მართლაც ნახატის შთა-  
ბეჭდილებას ტოვებს. ოღონდ ის  
კი არის, რომ სურათს ფერები  
აქლია.

ხევისწყალი — ორატორი  
და ფოთლების ტაში,  
დგას წიფელი ორად ორი,  
ჩახატული წყალში.

შევს ნახირი, სადაც გრილა.

ველაც თევზებს იქტერს.

გზე შეაშრობს ტანზე სილას

ტიტლიკანა ბიჭებს.

ამ დეტალების მიხედვით მხა-  
ტვარს თავისუფლად შეუძლია  
შექმნას ძალზე მეტყველი სუ-  
რათი, რომელსაც ჩვენ ვუწო-  
დებდით „შუადღე სოფლად“. მა-  
გრამ ფერები თვითონ მხატვარმა  
უნდა შეარჩიოს, პოეტი მათ  
გვერდს უვლის, ალბათ, არ სურს  
შებოჭოს მკითხველის ფანტაზია.  
ასეა ბევრ სხვა მინიატურაშიც.  
გიორგი სალუქვაძე ძლიერ იშვი-  
ათად ასახელებს ფერს, უმთავ-  
რესად მაშინ, როცა მას იმდენად  
ესთეტიკური ფუნქცია არ ეკის-  
რება, რამდენადაც ღაეხმაროს  
მკითხველს სურათის შინაარსის.  
პოეტის ჩანაფიქრის აღქმაში.  
ერთ-ერთ მინიატურაში იგი წერს:  
„თეთრი ნისლი ჩანდა მთებში,  
გზას და ბილიკს ბინდი ფარავს“.  
პოეტმა აქ ნისლის ფერი „თეთ-  
რი“ მხოლოდ იმიტომ მოიხსენია.  
რომ დაუპირისპიროს იგი ბინდს,  
ბნელს, შავს და უფრო შთამბეჭ-  
დავი გახადოს მომდევნო ორი  
ტაეპი, რომელშიც განსახოვნებუ-  
ლია მინიატურა-სურათის დე-  
დააზრი: „ღამემ ზეცას დევის  
პეშვით ვარსკვლავები შეაყარა“.

გვერდს ვერ ავუკლით ოთხ-  
ტაეპიან მინიატურა-სურათს, რო-  
მელშიც გიორგი სალუქვაძე ძალ-  
ზე სანტერესოდ გაღმოგვცემს  
ქართული ბუნების სიდიადეს,  
გრანდიოზულობას. იგი ირჩევს  
ისეთ რაკურსს, რომ განგებ და-  
ჰატარავოს ყველასათვის ნაცნო-

ბი საგანი, სახელდობრ, უფსკრუ-  
ლზე გადებული ხის ხიდი, რომ  
მთელი ძალით წარმოაჩინოს თვით  
უფსკრულის სილრმე-სიდიადე,  
ბუნების, მთების გრანდიოზულო-  
ბა:

ამ კლდიდან ხის ხიდს რომ  
გადავცექერი,  
ასე მგონია იცელქა ბალმა —  
წყალზე გაუდევს წალამის ღერი,  
რომ ჭიათურელა გავიდეს გაღმა.

გიორგი სალუქვაძის პოეზიაში  
მარტო მთის სურათებს, პეიზა-  
ჟებს როდი ვეცნობით. „პოეტი  
აჭარის მცხოვრებია, — წერდა  
დოც. ალ. ჩავლეიშვილი გ. სალუ-  
ქვაძის ერთ-ერთი წიგნის რეცენ-  
ზიაში „ლირიკული სიმღერები“,  
— და, ბუნებრივია, რომ ეს გეო-  
გრაფიული გარემო თავისებურ  
ელფერს აძლევს გ. სალუქვაძის  
პოეზიას. ამიტომ შემთხვევითი  
არ არის მის ლექსებში ზღვის  
თემატიკა. აქ არის გემები, ანდე-  
ბი, სეინერები“... მათგან კრიტი-  
კოსი საგანგებოდ გამოჰყოფს  
ლექსს „სეინერები“ და ხაზს უს-  
ვამს, რომ იგი „მნიშვნელოვანია  
არა მხოლოდ იდეური სრულყო-  
ფილობით, არამედ მაღალი პოე-  
ტური ისტატობის გამოვლენი-  
თაც“. ეს მართლაც მშვენიერი  
ლექსია, რომელშიც პოეტი ხა-  
ტავს ზღვის დაუვიწყარ პეიზაჟს.

ზღვა გადმოისვრის ქაფიან ტალღას  
და ბადესავით ნაპირზე გაშლის,  
მიუხარიათ ოოლიებს სადღაც,  
სეინერები გასულინ ზღვაში.  
დაისი ზღვაზე ალიონს ხატავს,  
ახანძრებულან მძიმე ზვირთები,  
მეოვეზეები იღებენ ნადავლს,  
ბადეს დასცვივა მარგალიტები.

შემდეგ ენთება ცაზე ვარსკვლავი,  
მალე დაისი დახურავს კარებს.  
ფრენით მოქანცულ თოლიასავით  
მაღალ ანძაზე ისვენებს მთვარე.

ლექსში ბევრი მოხდენილი  
ტროპი, მხატვრული სახეა. ვი-  
საც ზვირთცემა უნახავს, ალბათ,  
დაგვეთანხმება, რომ ტალღა მა-  
რთლაც ბადესავით იშლება ნაპი-  
რზე, ხოლო ჩამავალი მზე თავისი  
მეწამული სხივებით მართლაც  
„ახანძრებს“, ცეცხლს უკიდება;  
ტალღებს. ზღვის პეიზაჟები პოე-  
ტის სხვა ლექსებშიც გვხვდება,  
მაგრამ ბუნების სურათების უმ-  
რავლესობა მაინც მთას ასახავს  
და არა ზღვას. ჩანს, ბავშვობის  
შთაბეჭდილებანი, მთის პირველი  
სიყვარული ვერა და ვერ გაანე-  
ლა ზღვის ცვალებაღობამ და სი-  
ლამაზემ, სტიქიურმა ძალამ და  
გრანდიოზულობამ.

ბუნებისაღმი. დამოკიდებულე-  
ბას გიორგი სალუქვაძე არ ამო-  
ნურავს პეიზაჟური სურათებით.  
ბუნებას გვიჩვენებს ადამიანთან  
კავშირში, ადამიანთან ურთიერ-  
თობაში. კრიტიკოსი ს. არველა-  
ძე ამის თაობაზე სწორად შენიშ-  
ნავდა: „ბუნება და მისი მოვ-  
ლენები პოეტს დაკავშირებული  
აქვს საბჭოთა ადამიანის ყოფას-  
თან, მის ბრძოლასთან უკეთესი  
მერმისისათვის. იგი ხედავს, რომ  
როცა „ახოებს კაფავენ და ყამი-  
რზე გაპყავთ ხნული“, ბუნება არ  
იშურებს თავის მაღლს და სიკე-  
თეს ადამიანისათვის. ბუნებასა და  
მის ფერისცვალებას პოეტი ა-  
ლებურად ხედავს და განიცდის.

იგი ხატავს ადამიანის შრომის  
ეშხით შთაგონებული და დამშვე-  
ნებული ბუნების სურათებს<sup>4</sup>:  
ლექსების ამ ციკლს განეკუთვნე-  
ბა „მარჯვენა“, „ჩირუბიდან გო-  
დერძამდე“, „ხელვაჩაური“, „ახ-  
ლა რა სჯობს“ და სხვ.

გიორგი სალუქვაძის ლირიკუ-  
ლი გმირისათვის უცხო არ არის  
არც წმინდა ინტიმური გრძნობე-  
ბი, პირიქით, გულწრფელი, მო-  
რალურად სპეტაკი და კრისტა-  
ლივით სუფთა სიყვარული მისი  
ერთ-ერთი მთავარი სულიერი ნი-  
შანია. იყო დრო, როცა ინტიმურ-  
სატრფიალო ლირიკას აბუჩად  
იგდებდნენ, ხოლო საბჭოთა ადა-  
მიანს მშრალ, უგრძნობო, ასკე-  
ტურ პიროვნებად წარმოგვიდგენ-  
დნენ. მარქსი ამბობდა, არაფერი  
ადამიანური ჩემთვის უცხო არ  
არისო. არც კომუნიზმის მშენე-  
ბელი ადამიანისათვის არის უც-  
ხო მეგობრობა, სიყვარული, სი-  
ხარული, მწუხარება და სხვა  
ღრმად ადამიანური პირადულ-  
ინტიმური გრძნობები.

პირადულ-ინტიმურ, სატრ-  
ფიალო ლირიკას თვალსაჩინო  
აღგილი ეკავა ჩვენი კლასიკოსე-  
ბის შემოქმედებაშიც, ზოგი მათ-  
განი კი უმთავრესად თავისი სა-  
ტრფიალო ლექსებითაა ცნობი-  
ლი. თვით ილია და აკაკი, რომ-  
ლებიც გადამწყვეუტ მნიშვნე-  
ლობას ანიჭებდნენ მოქალაქეო-  
ბრივ პოეზიას, არ გაურბოდნენ  
სატრფიალო ლირიკას და შექ-  
მნეს არაერთი შედევრი, რომელ-  
თაგან ბევრი ხალხმა სიმღერად

აქცია და დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამდენად ჩვენ დაუმსახურებლად მივვაჩნია საყვედური, რომელსაც ლიტერატურული კრიტიკა გამოთქვამდა გიორგი სალუქვაძის პოეზიაში სატრფიალო ლექსები „მოჭარბებული დოზით“ არის წარმოდგენილი. ეს „დოზა“ ძალზე ძნელი დასადგენია და არც აუცილებელია. მთავარი ის კი არ არის, რამდენი ლექსიდან რამდენია სატრფიალო, მთავარია თვით სატრფიალო ლექსების მხატვრული დონე, მორალური სიწმინდე, რამდენად უწყობენ ისინი ხელს მკითხველის ესთეტიკურ აღზრდას, სულიერ გამდიდრებას. ამ მხრივ კი, ვთიქრობთ, პოეტი საყვედურს არ იმსახურებს. ჩვენ მთლიანად მხარს ვუჭროთ კრიტიკოს ს. არველაძეს, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გ. სალუქვაძის სატრფიალო ლექსების გამო წერდა: „ავტორს არ ღალატობს ზომიერების გრძნობა, იჩენს იდეურ სიმახვილეს, ტაქტს და არ ვარდება უკიდურესობაში. მის ინტიმურ ლირიკაში არ გვხვდება უხეში ნატურალიზმი, თავისი სინაზითა და სიფაქიზით ის მკითხველზე ესთეტიკური ზემოქმედების დადებით ეფექტს ახდენს.“

მორალური სიწმინდე, სიფაქიზე და სინაზე თითქოს თან დაჟყვა გიორგი სალუქვაძის სატრფიალო ლირიკას და უკვე პირველსავე ლექსებში იჩინა თავი. მაგრამ ადრინდელ სატრფიალო ლე-

ქსებს აკლდა განზოგადება, იშვიათად მაღლდებოდა კონკრეტულ ფაქტზე, თვალსაჩინო იყო სხვა პოეტების გავლენა — პარარტო მოტივების იგივეობა, არამედ ლექსიკური დათხვევაც კი. ლექსში „სტუმარი“, რომელიც 1940 წლითა დათარიღებული, არის ასეთი სტრიქონები: „აბა მითხარი, ღვინო რად მინდა? ისეც მთვრალი ვარ ბეღნიერებით“. მკითხველს არ გაუჭირდება იცნოს ამ ტაეპის პირველწყარო ამავე ღროს ლექსს აშკარად აკლია განზოგადება და ემპირიზმით სცოდავს, გაცილებით უკეთეს მთაბეჭდილებას ტოვებს მუხაბბაზური „ფერთა წყარო“. მაგრამ ეს დიღხანს არ გაგრძელებულა. ღრო გადიოდა, პოეტი ოსტატდებოდა, მის სატრფიალო ლექსებში გაჩნდა კოლორიტი, სპეციფიკური ლოკალური დეტალები, სახეები, ლიტერატურიდან კი არა, გულის სიღრმიდან რომ მოდის და გვიზიდავს უშუალობით, გულწრფელობით, გრძნობის სიფაქიზით.

თვალს რომ მარიდებ, განა შენ  
ბრალს გდებ?  
ვიცი, სიმართლის გიმძიმს გაძხელა,  
რომ შეიძლება ყველას უყვარდე,  
მაგრამ ვერ შეძლებ გიყვარდეს ყველა.

ამ პატარა უსათაურო მინიატურით პოეტი ძლიერ ბევრს ამბობს. გვიმხელს სულიერ ტკივილს, ჩუმ ნალველს, უარყოფილი სიყვარული რომ წარმოშობა აღამიანში, გვაცნობს ლირიკული გმირის გრძნობის სიფაქიზესა და სინაზეს, სხვისი გრძნობის პა-



რამ აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მათგანი საალბომო ლექსის შთაბეჭდილებას ტოვებს, ინტიმი არ მაღლდება, იღეამდე, ცხოვრებისეულ ფაქტს აკლია განზოგადება. ამის გამო პოეტს სამართლიანად, თუ-მცა რამდენადმე ცალმხრივად და გადაჭარბებული სიმტკიცით უსა-ყველურა დოც. ალ. ჩავლეიშვილმა.

არანაკლებ საინტერესოა გი-ორგი სალუქვაძის ინტიმური ლექსები, რომლებშიც პოეტი გვიზიარებს ლირიკული გმირი! სიხარულსა და მწუხარებას, პი-რადულ ფიქრებსა თუ გრძნობებს. მათი უპირველესი ღირსება ფართო იდეური დიაპაზონია, რა-საც განაპირობებს ლირიკული გმირის, როგორც პიროვნების, სულიერ ინტერესთა მრავალფეროვნება და სიმდიდრე. იგი თანა-მედროვე ადამიანია და სწორედ ამიტომ მისი ინტიმი საზოგადოებრივად ლირებული და დროით განსაზღვრულია. ერთ უსათაურო ლექსში (...„ახლა, როდესაც მილიონ ვოლტით...“) პოეტი შესანიშნავად გვიჩვენებს, თუ როგორ სულ უფრო მჭიდროდ ენასკვება ერთმანეთს პიროვნებისა და საზოგადოების ცხოვრება ჩვენს დროში. რადიოსა და ტელევიზიის შემწეობით საზოგადოების გავლენამ ოთახშიც კი შეაღწია და პიროვნება მთელ ქვეყანას დაუკავშირა. ამ ციკლიდან ბევრი პოეტის საუკეთესო ლექსად უნდა ჩაითვალოს („მამის გახ-

სენება“, „მეძახის“, „გურიელიძის ქალო“ და სხვ.). მაგრამ მკითხვეულის ყურადღება გვსურს გავამა-ხვილოთ ერთ-ერთ ბოლოდროინი დელ ლექსზე, რომელიც გ. სალუქვაძემ მიუძღვნა მეგობარი პოეტის ვიქტორ გაბესკირიას ხსოვნას. ეს არის შუვენიერი ელეგია „დაგაგვიანდა“. მისი თოთოეული ტაეპი ისე გულწრფელია, ისეთი ღრმა ნალველის შემცველი, რომ შეუძლებელია იგი აუღელვებლად, აუთრთოლებლად წაიკითხოთ. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მწუხარე სახე პი-ეტის დედისა: მისი გლოვა უსაზღვროა, მისი ტანჯვა გაუნელებელი.

დედაშენის ხმა მესმის ძილის წინ, მაფორიაქებს და გულს მიდაღავს: „ხომ არ ყოფილხარ, შეილო, თბილისში, ჩემი ვიქტორი ხომ არ გინახავს?“ აღარ ასებობს ახლა არც თოვლი, აღარც წვიმები და აღარც ის ზღვა... შემხვდება დედა თვალებსოველი, შემაჩერებს და ვერაფერს მკითხავს.

თვალსაჩინო ადგილი უკავია გიორგი სალუქვაძის პოეზიაში საბავშვო ლექსებსაც. თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე მან ექვსი წიგნი მიუძღვნა პატარებს, მათგან ორი თარგმნილი: ერთი პარმენ რურუას ზღაპარი „ნაცარქექია“ (1943 წ.), რომელიც ქართულიდან თარგმნა რუსულად და მეორე — ცნობილი რუსი საბავშვო პოეტის აგნია ბარტოს ლექსები (1956 წ.). ყველა ამ წიგნში პოეტმა თავი გამოიჩინა როგორც ჩვენი საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთშა

თვალსაჩინო მოამაგებ და სიტყვის ოსტატმა. „გ. სალუქვაძე, — წერს კრიტიკოსი ვლ. ჭიბუტი, — მოწინავე, ნიჭიერი საბავშვო მწერალია. მისი ლექსები ხელს უწყობს ჩვენი ბავშვების მორალურ-ესთეტიკური აღზრდის დიდ საქმეს“.

როცა კრიტიკოსი ამ სტრიქონებს წერდა, იგი ემყარებოდა პოეტის საბავშვო ლექსების მხოლოდ ორ წიგნს: „აყვავებული აჭარა“ (1950 წ.) და „მშვიდობა უნდათ პატარებს“ (1953 წ.). ახლა, როცა ჩვენ ვიცნობთ გიორგი სალუქვაძის მომდევნო წიგნებსაც („თოჯინების ნაამბობი“, 1954 წ.; და „რა ხანია გათენდა“, 1965 წ.), მით უფრო მეტი დარწმუნებით შევიძლია ვთქვათ. რომ იგი „მოწინავე, ნიჭიერი საბავშვო მწერალია“.

გიორგი სალუქვაძე უმთავრესად სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის წერს. ეს კი პოეტისაგან განსაკუთრებულ გულისხმიერებასა და ოსტატობის მოითხოვს. სიძნელეს ქმნის „მკითხველი“ აუდიტორიის თავისებურება: გონიერივი მოუმწიფებლობა და აღსაქმელი სამყაროს შეზღუდულობა. პატარა ბავშვის „სამოქმედო“ არე ხომ ოთახი და ეზოა. ამიტომ არ ქმარა პოეტი თავისუფლად ფლობდეს სიტყვას, იცნობდეს ბავშვის გარემოს. ამასთან ერთად უნარი უნდა შესწევდეს ღრმად ჩასწვდეს მის სულიერ სამყაროს, ფსიქოლოგიას, დაინტერესოს იგი და მიიზიდოს

მისი ყურადღება, რათა სასურველი მიმართულებით წარმართოს „მკითხველის“ ინტელექტუალურ-ზნეობრივი განვითარება, ხელი შეუწყოს მასში ესთეტიკური გრძნობის აღმოცენებას და განვითარებას.

შემთხვევითი არ არის, რომ მთარგმნელობითი მოღვაწეობაც გიორგი სალუქვაძემ საბავშვო თხზულებების თარგმნით დაიწყო. 1943 წელს მან ქართულიდან რუსულად თარგმნა პარმენ რუტუას საბავშვო პოემა-ზღაპარი „ნაცარქექია“. როგორიც არ უნდა იყოს სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელი მთარგმნელის ეს ნამუშევარი, ცხადია, რომ პოვტს მხოლოდ ბავშვების დიდმა და ძლიერმა სიყვარულმა შეაძლებინა ხელი მოეკიდებინა ამ უაღრესად მძიმე და პასუხსაგები საქმისათვის.

პირველი ცდა, ძალის პირველი მოსინჯვა, როგორც ჩანს, საკმაოდ წარმატებითი იყო, რამდენადაც მომდევნო წლებში თარგმანმა გიორგი სალუქვაძის შემოქმედებაში ფრიად თვალსაჩინო ადგილი დაიკავა. პოეტი უმთავრესად თარგმნიდა რუსი კლასიკოსი და საბჭოთა მწერლების ლექსებსა თუ პოემებს. ბოლო წლებში კი გაიტაცა საზღვარგარეთელი, უპირველეს ყოვლისა, ფრანგი კლასიცისტების ღრამატულმა თხზულებებმა.

განსაკუთრებით დიდი ღრმა და ენერგია მოახმარა გ. სალუქვაძემ შესანიშნავი საბჭოთა პოე-

ტის სერგეი ესენინის ლექსებისა და პოემების თარგმნას. ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ესენინს ქართველი მკითხველი ძირითადად ვ. სალუქვაძის თარგმანით იცნობს.

ესენინის ლექსებისა და პოემების თარგმნას ქართულ ენაზე ჰაფუძველი ჩაუყარეს მიქელ პატარიძემ და გრიგოლ ცეცხლაძემ ოციანი წლების მიწურულს, მას შემდეგ, რაც გამოჩენილი რუსი პოეტი სტუმრად იყო საქართველოში. ერთმა ცალკე წიგნად გამოსცა მისი რამდენიმე ლექსი. ხოლო მეორემ — პოემა „ანა სნეგინა“. ორივე ეს წიგნი უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობა იყო, როცა გ. სალუქვაძე დედანში გაეცნო ესენინის პოეზიას და იმდენად გაიტაცა მან, რომ სავსებით უნებლიერ ზეპირად დაიწყო „ანა სნეგინას“ თარგმნა. „ავტობიოგრაფიაში“ იგი წერს, რომ სტუდენტობის დროს, 1945 წელს, ერთი დღით ხელთ ჩაუვარდა ესენინის „რჩეული“ და ერთ-ერთ მეგობარს მთლიანად გადაწერინა „ანა სნეგინა“. „იმ დღიდანვე, — იგონებს შემდეგ პოეტი, — დავიწყე პოემის თარგმნა და 1957 წელს დავასრულე, პოემას ნაწილ-ნაწილად ვიზეპირებდი და ზეპირადვე ვთარგმნი, ქალალდზე მზამზარეული თარგმანი გადმომქონდა“.

„ანა სნეგინას“ თარგმანის დიდი ნაწილი პოეტმა გამოაქვეყნა ჟურნალ „მნათობში“, ხოლო მთლიანად თავისი ლექსების კრე-

ბულში „სანაპიროზე“ (1959 წ.). გ. სალუქვაძემ თარგმნა აგრეთვე „სპარსული მოტივების“ მთელი ციკლი და ბევრი სხვა ნაწარმოებისა მათ შორის პოემა „შავი კაცი“. სულ ახლახან, მიმდინარე წელს, „საბჭოთა აჭარამ“ ცალკე წიგნად გამოსცა გ. სალუქვაძის თარგმნილი ესენინის რჩეული თხზულებანი.

გარდა ესენინის ლექსებისა და პოემებისა, გიორგი სალუქვაძემ ქართველ მკითხველს გააცნო პუშკინის, ლერმონტოვის, კრილოვის, გამზათოვის, შჩიპაჩევის, ევტუშენკოსა და სხვა პოეტების ცალკეული ნაწარმოებები. მანვე თარგმნა ლერმონტოვის დრამა ლექსად „ესპანელები“, რომელიც 1968 წელს დადგა ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა.

ორმოცდაათიანი წლების მიწურულს გიორგი სალუქვაძე გაიტაცა ფრანგულმა კლასიკისტურმა დრამატურგიამ. 1957 წ. მათ თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა პიერ კორნელის ცნობილი ტრაგედია „სიდი“. ეს თარგმანი ხელნაწერში წაიკითხა და მთარგმნელს ფრიად საგულისხმო შენიშვნები მისცა გერონტი ქიქოძემ, ხოლო როცა ტრაგედია ცალკე წიგნად გამოვიდა, მას თავისი სტატია „პიერ კორნელი“ დაურთო წინასიტყვაობად. ამ სტატიაში გ. ქიქოძე ზოგადად მიმოიხილავდა დიდი ფრანგი დრამატურგის შემოქმედებას.

„სიღის“ თარგმნით გიორგი სალუქვაძემ კვლავ გააღვიდა ინტერესი ფრანგული კლასიცისტური დრამატურგიისადმი. ცნობილია, რომ კორნელისა და რასინის ტრაგედიები ერთ-ერთმა პირველმა გადმოილო ქართულ ენაზე ალექსანდრე ჭავჭავაძემ (უფრო აღრე რასინის „იფიგენია ყვლიდში“ გადმოუკეთებია მე-18 საუკუნის გამოჩენილ მოლვაშეს დ. ჩოლოყაშვილს). ჩვენს სახელოვან პოეტს უთარგმნია კორნელის „ცინა“ („სინას“ სახელწოდებით), რასინის „ესთერი“ და „ფედრა“. მას შემდეგ ფრანგი კლასიცისტები თითქმის სრულიად დაივიწყეს, მათ თხზულებებს თითქმის არ თარგმნიდნენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბუალოს ცნობილ „პოეტურ ხელოვნებას“, რომელიც ოცდაათიან წლებში თარგმნა დოცენტმა მ. მენაბდემ.

და იმ გიორგი სალუქვაძემ პვლავ გააცოცხლა მივიწყებული ტრადიცია. „სიღის“ შემდეგ თარგმნა უან რასინის „ფედრა“, რომელიც ცალკე წიგნად გამოვიდა 1958 წელს პროფ. დ. ფანჩულიძის წინასიტყვაობით. გავიდა კიდევ ოთხი წელი და პოეტმა ქართველ მკითხველს მიაწოდა საქმაოდ მოზრდილი კრებული. რომელშიც შეიტანა კორნელის

„ცინა“, რასინის „დავაქარნი“ რაკალდერონის „უჩინარი ქალი“. ეს იყო ახალი თვალსაჩინო ნატოზი ქართულ-ფრანგულ ლიტერატურულ ურთიერთობაში, ნაბიჯი, რომელმაც ხელი შეუწყო ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-ესთეტიკურ განვითარებას, მის გამსჭვალვას ჰუმანისტური იდეებით. სწორედ ასე შეაფასა უცრნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ რეცენზიერმა მერი სირაძეშ ფრანგი ტრაგიკოსების თხზულებათა ქართულად თარგმნა. იგი წერდა: „პიერ კორნელის, უან რასინისა და კალდერონი დელა ბარკას ნაწარმოებთა თარგმნით დიდი და მნიშვნელოვანი საქმე გადათდა. ჩვენს ახალგაზრდობას საშუალება მიეცა კიდევ უფრო ღრმად გასცნობოდა უცხოელი დრამატურგების ესოდენ საინტერესო შემოქმედებას“.

ასეთი დასკვნის უფლებას რეცენზიენტს აძლევდა არა მარტო ფრანგი დრამატურგების თხზულებათა თარგმნის თვით ფაქტი, არამედ თარგმანის მაღალი ღირსებებიც. „მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას — წერდა მ. სირაძე, — რომ ნაწარმოებებს შენარჩუნებული აქვთ ორიგინალის ძალა და მიმზიდველობა: ქართული კოლორიტით აუღერებულ თარგმანებში დამაჯერებლ-

ად და სისადაგით გაისმის სიცოცხლის მარადიული ტრფობის საგალობელი და დიდი აღამიანური სიბრალული, შინაგანი სითბო და გონებამახვილური სატირა“.

გიორგი სალუქვაძე ახლა შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდშია. მის ბოლოდროინდელ ლექსებში

კრისტალდება ყველაფერი საუკეთესო, რაც კი მესამედი საუკუნის მანძილზე გამოიმუშავა პოეტმა: იდეური სიმღიღრე „და-აზ-რის სიცხადე, სიტყვის გამახვილებული, ფაქიზი გრძნობა, მხატვრული სახეების მრავალფეროვნება და დახვეწილობა, ურაზის მუსიკალობა და მელოდიურობა.“





რამაზ სერგანიძე

## დიდ სარგებლებე

კინოდრამატურგია ლიტერატურული შემოქმედების ახალი დარგია, მაგრამ სულ უფრო ფართოდ იყაფავს გზას. ამ დარგის მრავალმა ნიჭიერმა ხელოვანმა უკვე ჰქოვა აღიარება. მათ შორის უდავოდ გამოირჩევა ჩვენი თანამემამულე, არაერთი კინოსცენარის ავტორი სულიკო ულენტი.

ამას წინათ გაზეთებში გამოქვეყნდა მოსკოვიდან მიღებული ცნობა, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ კინოდრამატურგთა საკავშრო კონკურსში პირველი პრემია მიეკუთვნა ს. ულენტის სცენარს „დედის ფიქრები“. ეს გამარჯვება მით უფრო დასაფასებელი და სასიხარულოა, რომ კონკურსში პევრი წამყვანი საბჭოთა მწერალი და კინოდრამატურგი მონაწილეობდა.

„დედის ფიქრებმა“ ს. ულენტს კიდევ უფრო განუმტკიცა ის მაღალი რეპუტაცია, რომელიც მას ამ რამდენიმე წლის წინათ მოუ-

პოვა „ჯარისკაცის მამამ“. ჩვენც აქედან დავიწყებთ.

1965 წლის 18 იანვარი. ბათუმის კინოთეატრ „თბილისში“ აჩვენებენ „ჯარისკაცის მამას“.

ლოების წინა რიგში ამხანაგებთან ზის სცენარის ავტორი. აქვეა სანატორიუმ „აჭარიდან“ მოსული მოსკოველი სტუმარი.

მაყურებელთა განწყობილება მაინტერესებსო, თქვა სულიკომ. მიუხედავად იმისა, რომ ფილმი ღიღი წარმატებით გადიოდა საქართველოს ეკრანებზე, რიგით მაყურებელთან ერთად სურათი მას ჯერ არ ენახა. მაყურებელი ღიღად კმაყოფილი იყო. გვერდით მჯდომი მოსკოველი აღფრთოვანებული ამბობს: — ამ ფილმს ღუბლირება არ სჭირდება, მას გაიგებს მსოფლიოს ყველა ეროვნების ხალხი, ვისაც კი ადამიანებთან, მამასთან, შვილთან, შრომასთან, ბრძოლასთან და კეთილშობილებასთან ოღნავ აკავშირებს რაიმე.

სეანსი დამთავრდა და დარბაზშივე მაყურებელი მოწმე გახდა სიურპრიზისა, რაც არც თუ ისე ხშირია კინო-თეატრებში. როგორც კი ეკრანზე გამოჩნდა „ფოლმის დასასრული“ და სინათლე აინთო, გაისმა დიქტორის ხმა: „ყურადღება! ყურადღება!“ მაყურებელი სმენად იქცა. „ძვირფასო მაყურებლებო! ამჟამად დარბაზში იმყოფება „ჯარისკაცის მამის“ სცენარის ავტორი, ჩვენი თანაქალაქელი სულიკო უღენტი“.

მთელი დარბაზი მქუხარე ტაშმა მოიცვა. ყველას თვალი ეძებდა სცენარისტს. იგი უკანა რიგში აღმოჩნდა. თავდახრილი იდგა, თითქოს რაღაც დაუშავებიაო. მაყურებლები მოითხოვდნენ მის გამოჩენას... ამხანაგებმაც აღარ დააყოვნეს და სცენარისტი დამსწრეთ წარუდგინეს.

ეს წერილი შემთხვევით არ დაგვიწყია „ჯარისკაცის მამით“. ეს ფილმი 1965 წლის შესანიშნავი საახალწლო ნობათი იყო არა შარტო ჩვენი, არამედ უცხოეთის მრავალი სახელმწიფოს კინომაყურებლისათვის. ჩვენს ქვეყანაში, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში და აგრეთვე ბევრ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში თითქმის არ დარჩენილა უურნალ-გაზეთი, რომ ამ ფილმისათვის არ მიეცა მაღალი შეფასება.

გამოჩენილმა საბჭოთა კინორეჟისორმა, საქვეყნოდ ცნობილი ფილმის „ბალადა ჯარისკაცზე“ შემქმნელმა გრიგოლ ჩუხრაიმ იმ გრძნობას, რომელიც კინოსურა-

თის ნახვის შემდეგ დაეუფლა, „გმირთან შეხვედრის, მის კაცურ კაცობასთან, გულწრფელობასთან და სულიერ სიმდიდრესთან შეხვედრის ბედნიერება“ უწოდა. შეეხო რა ფილმის ღრამატურგიულ მხარეს, ჩუხრაიმ აღნიშნა, რომ სულიკო უღენტის სცენარმა მსახიობს საშუალება მისცა წარმოესახა მეაფიო, ეროვნული ხასრათის ნიშნები.

„მინდა ყველამ იცოდეს, — თქვა ჩუხრაიმ, — ყველამ გაიგოს, თუ როგორი მამა ეყოლებოდა ჩემი ბალადის გმირს“.

„ომის ექო“, ასე იყო დასათაურებული პოლონური უურნალის „ეკრანის“ 1965 წლის №10-ის სარეადქციო სტატია, რომელშიც ნათქვამია: „ჯარისკაცის მამას“ ჩუხრაის ფილმს თუ შევადარებთ, შეიძლება მას „ბალადა ძველ ჯარისკაცზე“ უწოდოთ. აქ ეპიკური ფორმით მოთხრობილია მოხუც ქართველ გლეხზე... გვიტაცებს ფილმის ავტორების დაკვირვების სიმართლე, აგრეთვე მთავარი გმირის მშვენიერი სახე“...

1966 წლის 1 ნოემბერს საბჭოთა საქართველოს მეორედ ლენინის ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო მიტინგზე თბილისში სკეპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეუნევმა რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებში თვალსაჩინო აღგილი მიაკუთვნა ხელოვნებას, კერძოდ კინოხელოვნებას, და თქვა: „ჯართული კინოხელოვნების პი-

ღწევათა სახალხო  
აღიარება კილმ „გარისკაცის  
მამის“ ასურებული წარმა-  
ტება“.

ეს არის არა მარტო ამ ფილმის  
ავტორების, არამედ ქართველ ხე-  
ლოვანთა შემოქმედებითი ღვაწ-  
ლის მაღალი შეფასება.

ფილმის ნახვის შემდეგ თითქ-  
მის ყველას ებადება კითხვა:  
მაინც ორდის, რამდენი წლის წი-  
ნათ დაიწყო ს. ულენტმა სცენა-  
რის მომზადება? ზოგი ორ წელს  
და ზოგიც შვიდ წელს ასახელებს.

ამ ფილმის შექმნის იდეა მჭი-  
დროდ არის დაკავშირებული დი-  
დი სამამულო ომის მძიმე წლებ-  
თან, როცა წყდებოდა კაცობრიო-  
ბის ბედ-იღბალი. სამკუდრო-სასი-  
ცოცხლო შეტაკებების დროს ჯა-  
რისკაცმა ს. ულენტმა საკუთარი  
თვალით ნახა თავისი მომავალი  
გმირის გიორგის პროტოტიპი,  
რომელმაც დასაბამი მისცა სცე-  
ნარს. ადვილი როდი იყო ეს ცხო-  
ვრებისეული ფაქტი ხელოვნების  
ფაქტად ექცია. შემდეგ ბევრი  
იმუშავა ჩანაფიქრის წარმატებით  
განსახორციელებლად. იგი შემო-  
ქმედის, თვალით ხედავდა ადრე  
ხილულ ადამიანთა სახეებს, ტი-  
პებს. ყველა მათგანს „ართმევდა“  
იმას, რაც მას სჭირდებოდა, სუ-  
ლის ქურაში აღულებდა ყოვე-  
ლივეს... და ასე იშვა სულით მდი-  
დარი, ქედდაუდრეცელი, მამაცი,  
შრომისმოყვარე ქართველი გლეხ-  
კაცი გიორგი მახარაშვილი, რო-  
მელიც მსოფლიოს ყველა ეროვნუ-

ბის მაყურებელმა ერთი ნახვით  
შეიყვარა.

სიტყვაშ მოიტანა და პრო-  
ტოტიპებზე გვინდა ზოგი რამ გავ-  
ისენოთ, რადგან იგი დაკავშირე-  
ბულია სულიკოს ბიოგრაფიისთან.

1958 წელს გაზეთ „საბჭოთა  
აჭარაში“ დაიბეჭდა ს. ულენტის  
ერთი პატარა მოთხოვბა „სააკა-  
ძის შთამომავალი“. მოთხოვბის  
გმირი ქიზიყელი რამინ მახარაშ-  
ვილია, დიახ, მახარაშვილი —  
ბრგე და ახოვანი, ალალი და გამ-  
ტანი გულის მქონე ჯარისკაცი,  
რომელსაც თანამებრძოლებმა  
კინოფილმ „გიორგი სააკაძის“ ნა-  
ხვის შემდეგ „სააკაძის შთამომავა-  
ლი“ შეარქვეს. ყველას წაადგა ამ  
იშვიათი კაცის ხელი. ზოგს ტყებია-  
მფრქვევის ტარებაში ეხმარებოდა.  
ზოგს ავტომატს ან ზურგჩანთას  
გამოართმევდა და თავის საჭურ-  
ველთან ერთად აციიდებდა, ზოგს  
სანგრების გათხრაში შველოდა.  
მაგრამ მახარაშვილმა ყველას მა-  
ინც ერთი რამით დაამახსოვრა თა-  
ვი: საბჭოთა მზევერავების ჯგუფს  
უდარდელად მოსეირნე გერმანე-  
ლი პოლკოვნიკი შეეჩება. უიარ-  
ლო ფაშისტმა ყვირილი ვერ გა-  
ბედა — უკველი სიკვდილი ელო-  
და და გაქცევით უშველა თავს, მა-  
ხლობელ ჯიხურში შევარდა და ჩა-  
იკეტა. აქედან მისი გამოყვანა შე-  
უძლებელი გახდა. ჯიხურის დამ-  
ტვრევა არ შეიძლებოდა, ხმაურჩე-  
ფაშისტები მოცვიდებოდნენ.  
სწორედ აქ იჩინა თავი მახარაშვი-  
ლის ზეაღამიანურმა ძალამ; მან

ჭიხური აიციდა და საბჭოთა ნაწილების სანგრებთან გადაიტანა.

აქვე მინდა მოვიტანო აღგილი ს. ულენტის წერილიდან, რომელიც უურნალ „ისკუსტვო კინოს“ 1965 წლის № 7-ში გამოქვეყნდა. იგი წერდა: „შემოქმედი და შრომისმოყვარე მოხუცი ჯარისკაცისათვის, რომელიც ალბათ თავის სიცოცხლეში არ მჯდარა უქმაღ, შრომა იყო ბუნებრივი მდგომარეობა, აუცილებლობა, როგორც სუნთქვა. როცა გელენჯიკის მახლობლად ერთი სოფელი გავათვისუფლეთ, 24-სათიანი განუწყვეტელი ბრძოლის შემდევ ყველა შეგვიპყრო დასვენების სურვილმა. ამის საშუალებაც მოვცეცა. არ ისვენებდა მხოლოდ ჩვენი ჭარმაგი თანამებრძოლი. მას ერთი სააგარაკო სახლი მოეწონა და დაიწყო მისი რემონტი. საღლაც მონახა საჭირო მასალები, შეაცეთა ფანჯრის ჩარჩოები, გაუკეთა საკეტები, დერეფანი მტრედისფერი საღებავით შეაფერადა. წასვლისას კი დარჩენილი საღებავი საგულდაგულოდ შეინახა, დაიმედებულმა, რომ ვინმეს გამოადგებოდა“.

სწორედ ეს ჭარმაგი კაცია ის შესაძლოა რამინ მახარაშვილი, რომელიც სულიკომ საკუთარი თვალით იხილა. მისი სახის სრულყოფისათვის მან გამოიყენა სხვა დროსა და პირობებში აღქმული ნიუანსები.

1944 წლის აპრილში მშობლები ოლღა და ილია ულენტები დაჭრილი სულიკოს სანახავად გაემ-

გზავრნენ. გზად ბევრი წვალება იწვიეს, უძრე დაჭრილ შვილს მიაკვლევდნენ. როგორც იქნა წადელს მიაღწიეს. სულიკო უკუჭის ჰოსპიტალში აღმოჩნდა. იხახება აქ გადალებული ფოტოსურათი. უყურებთ მას და ძალზე დიდ მსგავსებას ნახულობთ გიორგი მახარაშვილსა და ილია ულენტს შორის. ამაზე დიდი განცდა და შთაგონება, ვფიქრობთ, მომავალ დრამატურგს არც სჭირდებოდა სცენარის შესაქმნელად.

თუ როგორ იქმნებოდა ახალი ფილმი, ამის შესახებ მოგვითხრობს მისი დამდგმელი რეჟისორი რ. ჩხეიძე: „—ეს იყო 1967 წლის ზაფხულში. მაშინ კინოფილმ „ზღვის შვილებზე“ მუშაობას ვიწყებდით. კინოსტუდიის ეზოში შემოვიდა სულიკო ულენტი... და, როგორც მეგობარს, მითხრა: წაიკითხე ეს ლიბრეტო და შენი აზრი მითხარიო. უწესრიგოდ დახვეული ქალალის გრავნილი გადმომცა. ტროლეიბუსით შინ ვბრუნდებოდი. ვიფიქრე, თვალს გადავავლებ-მეთქი... ეს გახლდათ ათ გვერდზე დაწერილი მომავალი სცენარის სქემა. პირველივე ეპიზოდებმა შემიპყრო. არ ვიცი, რამდენი წრე გააკეთა ტროლეიბუსმა თბილისის ქუჩებში, ვიცი, რომ იქედან მაშინ ჩამოვედი, როდესაც კითხვა გავათვე და ფიქრით შეპყრობილი ქუჩაში ერთ ადგილას დიღხანს ვიდექი...“

მეორე დღეს სერგო ზაქარიაძე სტუდიის საგრიმიორო სარკესთან იჯდა და „ზღვის ბილიკის“

შოხუცი მეზღვაურის გრიმს ეტებდა, მე კი მას ს. ულენტის მოხაზული ჯარისკაცის მოხუც მამაჩევუყვებოდი. მსახიობი მისმენდა და სულ უფრო ხშირად შორდებოდა სარკეს. მალე მთლად მიატოვა გრიმის კეთება და მომაჩერდა. მის თვალზე ცრემლიც კი შევნიშნე... მალე სულიკო უღებტიც გამოჩნდა, რომელსაც მეგადავეხვიე და გავუზიარე სიხარული. ჩენ ვგრძნობდით, რომ ხელში გვქონდა მომავალი სცენარის საინტერესო საფუძველი („ლოტერატურა და ხელოვნება“, № 7, 1965 წ.).

აი როგორ მოუმზადეს ნიადაგი ჩვენს პლანეტაზე აღიარებულ ფილმს მისმა შემომქმედებმა.

ს. ულენტი თავისთავზე არ ლაპარაკობს, მისგან ვერც იმას გაიგებ როდის და როგორ წერს. უახინჯაურში, იმ ადგილს, საღაცერთ დროს ფეხშიშველი დარბოლა მამაცი შევარდენი, საბჭოთა კავშირის გმირი ისრაფილ ჯინჯარაძე, მეზობლად მდებარე მომცრო, ორსართულიანი სახლის ფანჯრები გადაჰყურებს. ისინი თითქმის ყოველთვის ღიაა, უფრო ხშირად მაშინ, როცა ოთახში სულიკო ზის. სწორედ აქ დაიწერა ის „უწესრიგოდ დახვეული ქალალდის გრანილი“, რომელიც კინოლენტად იქცა და მთელი მსოფლიო შემოიარა.

საინტერესოა ს. ულენტის ბიოგრაფიის სხვა დეტალებიც. 1942 წელს, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, იგი შევიდა თბილი-

სის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტზე. მომდევნო წლებს აპრელში კი გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. დაამთავრა ქვეითთა სამთვიანი სასწავლებელი და ჩარიცეს საზღვაო ბრიგადაში. მონაწილეობდა სადესანტო ოპერაციებში, შავი ზღვის სანაპირო ქალაქების ნოვოროსიისკის, ანაპის, კამიშ-ბურუნის და ქერჩის განთავისუფლებისათვის.

საბრძოლო დავალების შესრუსას სულიკო პირველად 1943 წლის აგვისტოში დაიჭრა ღონბაში, მატვეევ-კურგანთან, შემდეგ სამხერ ყირიმის განთავისუფლების დროს, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. ყველაზე მძიმე მაინც ბოლო ჭრილობა იყო. 1944 წლის 26 იანვარს ქერჩის განთავისუფლების დროს სულიკოს ნაღმის ნამსხვრევმა შეუნგრია გულმკერდის მარცხენა მხარე და გაუგლიყა კუნთები, დაუზიანა ნეკნები. ჭურვის ნატეხი მოხვდა ფილტვშიც და გულმკერდის ღრუში სისხლის ჩადგომა გამოიწვია. მარცხენა ხელი დიღხანს დადამბლავებული ჰქონდა. სერიოზული ჭრილობა მიიღო კისრის არეშიც. იგი, როგორც სამაჭულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი, დაითხოვეს საბჭოთა არმიის რიგებიდან.

დაჭრილი მეომარი სხვადასხვა დროს მკურნალობდა სარატოვის, ორჯონიქიძის, სოჭის პოსპიტლებში. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო ავაღმყოფობის ის-

ნო ინ-  
კულ-  
რილ-  
იმის  
ა სა-  
პარა-  
მონა-  
ცივ:  
ალა-  
პის,  
ნთა-  
სრუ-  
1943  
ანბა-  
ძდეგ  
ვლე-  
ვე-  
ლაზე  
ოობა  
ქერ-  
სუ-  
შეუ-  
ხენა  
ები,  
ატე-  
ულ-  
გო-  
დი-  
ნდა.  
კი-  
სა-  
ინ-  
არ-  
სეგა  
ვის,  
ლე-  
ვებ-  
ის-

ტორიაში ჩაწერილი სიტყვები:  
„დაიჭრა საბჭოთა სოციალის-  
ტური რესპუბლიკების კავშირის  
დაცვის ღრის“ და ა. შ. გვითხუ-  
ლობთ გაყვითლებულ, სქელ მუ-  
ყაოს ფურცელზე დაწერილ ავა-  
დმყოფობის ისტორიას და გვიკ-  
ვირს, რამდენი რამ გადაუტანია  
ცხოვრებში ჯერ კიდევ გამოიუ-  
ლელ 17-18 წლის ყმაწვილის!.

გამოკეთების შემდეგ სული-  
კომ მუშაობა დაწყო საფინანსო  
ორგანიზაციის.

1946 წელს გადაწყვიტა სწავ-  
ლის გაგრძელება. მშობლების სუ-  
რვილი იყო, სულიკო ექიმი გამხ-  
დარიყო, მაგრამ იგი შედის თბა-  
ლისის სახელმწიფო უნივერსი-  
ტეტში ფილოლოგიის ფაკულ-  
ტეტზე. ავადმყოფობამ სწავლას  
მოსწყვიტა და კვლავ მშობლიურ  
კერას დაუბრუნდა. 1947-48 სას-  
წავლო წლებში იგი ისრაფილ გი-  
ნევარაძის სახელმის მახინჯუ-  
რის საჭუალო სკოლაში ასწავლი-  
და. ამავე დროს თანამშრომლობ-  
და ადგილობრივ ურჩანლ-გაზე-  
ოებში, ბეჭდებოდა მისი კრიტი-  
კული წერილები და ნარკვევები.  
1948 წელს გაზით „საბჭოთა აჭა-  
რაში“ (№ 68) გამოქვეყნდა ვრცე-  
ლი ნარკვევი კოკიტაურელ სო-  
ციალისტური შრომის გმირზე  
ეუბ ანანიძეზე. ერთი თვის შემ-  
დეგ ამავე გაზითში მკითხველი  
გაეცნა მის მოთხოვნაზანახატს  
— „ლელა“.

ახალგაზრდა მწერალს სწავ-  
ლის წყურვილი არ შენელებია.

გულის ხმას მიჰყევა და... 1949  
წელს შევიდა მოსკოვის სახელმ-  
წიფო კინემატოგრაფიის ინსტი-  
ტუტში. ეს ამბავი პირველად ახა-  
რა თავის უფროს თანამოკალმეს  
პარმენ ლორას, რომელმაც აღ-  
ფროვანებული წერილით უპა-  
სუხა: „ძალიან მოხარული ვარ, —  
წერდა მას პარმენი, — რომ მაქ  
მოეწყვე. ვფიქრობ, ბეჭით და  
ენერგიული მეცადინებით კარგ  
შედეგს მივიღებთ, შენს ნიჭს მიე-  
ცემა გასაქნი და საბჭოთა ქვეყ-  
ნის დედაქალაქიდან ის აყვავებუ-  
ლი მოეფინება მთელ მხარეს და  
მთელ ქვეყნას. 28 აგვისტო, 1949  
წელი“.

3. ლორიას ამ დროს უკვე მი-  
ღებული ჰქონდა სულიკო უღენ-  
ტის მოთხოვნა „სისხლიანი ქორ-  
წილი“ და ამავე წერილით პირ-  
დებოდა მის გამოქვეყნებას. მარ-  
თლაც იგი დაბეჭდა 1949 წელს  
აღმანას „ლიტერატურული აქტ-  
ოს“ № 12-ში. „ჩვენმა აღმანახ-  
მა კრიტიკისაგან კარგი შეფასება  
მიიღო, — სწერს სულიკოს 1950  
წლის 20 აპრილს პარმენ ლორია,  
— განსაკუთრებით მოიწონეს შე-  
ნი მოთხოვნა. რეცენზია დაბეჭ-  
დილია „მნათობის“ № 2-ში და  
„ზარია კოსტოკას“ № 80-ში. რე-  
ცენზენტები ხოტბას ასხამენ „სის-  
ხლიან ქორწილს“: „... ს. უღენტი-  
საოვის ამ მოთხოვნის გამოქვეყ-  
ნება ლიტერატურული დებიუ-  
ტია. ნაწარმოები დაწერილია კარ-  
გი ქართულით. ავტორი ამედავ-  
ნებს თხრობის შესანიშნავ მანე-

რას. ამასთან მის მიერ შექმნილი სიტუაციები და ტიპები დამაჯერებელნი არიან. ავტორს ეხერხება პეიზაჟების მოხდენილი ხატვა...“ („მნათობი.“ № 2, 1950 წ. გვ. 156).

ანალოგიურია „ზარია ვოსტოკში“ გამოქვეყნებული რეცეზიაც.

1954 წელს ს. ულენტიმა დამთავრა კინემატოგრაფიის ინსტიტუტი კინოდრამატურგიის განხრით და მიიღო სცენარისტის კვალიფიკაცია. ახალგაზრდა დრამატურგი წერს ახალ მოთხრობებს და სცენარებს. 1956 წელს აღმანახ „ტალღაში“ გამოქვეყნდა მოთხრობა „ნათელა“, ხოლო 1958 წელს — უურნალ „ლიტერატურულ აჭარაში“ (№ 2) მოთხრობა „პორტრეტი“.

1959 წელს ს. ულენტი რუს მკითხველს გააცნო ახალგაზრდა ბათუმელმა მთარგმნელმა ლიანა ტუგულიოვამ, რომელმაც თარგმნა მწერლის მოთხრობა „ზღვისპირეთის სალამოები“.

1960 წელს გამოვიდა მოკლე-მეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სეინერები გადიან ზღვაზე“. ეს ახალგაზრდა სცენარისტის პირველი ნათლობა იყო კინოდრამატურგიაში. ამას მოჰყვა ჯერ „ჭიაკოკონა“, რომელიც ს. ულენტიმა შექმნა რაუდენ გვეტაძის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით (რეჟისორი ი. ქავთარაძე), ხოლო 1962 წელს ეკრანზე ვინილეთ კინკომედია „ბურთი და მოედანი“. ორივე კინოფილმმა

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. მათ დღესაც წარმატებით აჩვენებენ საბჭოთა კავშირის ტრნოთეატრებსა და ტელეეკრანებზე.

1958 წლიდან ბათუმში უურნალ-გაზეთებში ზედიზედ იბეჭდებოდა ს. ულენტის მოთხრობები, შემდეგ კი გამოიცა ორი კრებული — „ზღვისპირეთის სალამოები“ და „კიდევაც დაიზრდებიან“ (1962 წ.). ორივე წევნმა მკითხველთა და ლიტერატორთა ინტერესი გამოიწვია.

1965 წელს მოსკოვი მომცემლობა „ისკუსტვომ“ გვ. 3 სცენარი „ჯარისკაცის გვ. 1967 წელს უკვე სახელმოხვევლ კინოსცენარისტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა საქართველო სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

უველას აინტერესებდა, რა თემაზე იმუშავებდა სულიკო „ჯარისკაცის მამის“ შემდეგ. გაზეთში დაიბეჭდა ცნობა, რომ ს. ულენტი იმუშავებს სამოქალაქო ომის გმირის ნესტორ კალანდარიშვილის ცხოვრებისა და ბრძოლის ამსაკველ სცენარზე. ეს არ იყო სიმართლეს მოკლებული, მაგრამ ამჯერად სცენარისტს და რეჟისორ რ. ჩხეიძეს უფრო გადაუდებელი საქმე ჰქონდათ. ამის შესახებ როგორლაც ერთი-ორი სიტყვა სულიკოსაც დასცდა. მოგვიანებით გამოირკვა, რომ ისინი მუშაობენ ფილმზე „ლიმილის ბიჭები“, რომელიც

ასევე მშვიდობისა და ომის თემას ეხება. ავტორი ეპიკური ხერხებით, ამბის თანდათან განვითარებით, საინტერესოდ მოვითხობს ჩვენს ახალგაზრდობაზე, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოუსწრია და-ვაჟკაცება და ომის საშინელ ორგანიზრიალში მოხველრილა.

ომმა ჩაშალა ამ ჭაბუკების ცხოვრების მომავალი გეგმები, უდრო-ოდ დაამსხვრია მათი ოცნებები.

ფილმში კარგად არის ნაჩვენები ჩვენი მომავალი თაობის ბედნიერი ცხოვრება, რომელიც სრულიად მოულოდნელად შეცვალა ომის მძიმე ტრაგედიამ... და რაოდენ საამაყოა, რომ ცხოვრებაში გამოუსვლელი ჭაბუკები, რომლებსაც, ალბათ სანადირო თოფის ხმაც კი არ გაუგონიათ, დიდი განსაცდელის უამს თავგანწირულად ჩაებნენ უთანასწორო ბრძოლაში, საკუთარი სიცოცხლის ფასად და-იცვეს თითოეული გოჭი წმინდა საბჭოთა მიწისა.

ზოგიერთი მკრთალი მომენტის მიუხედავად ამ ფილმით მისმა შემოქმედებმა კიდევ ერთი საყურადღებო ფურცელი ჩაწერეს ქართული კინემატოგრაფის ისტორიაში.

ს. ულენტი გარეგნულად ერთობ მშვიდი და გულგრილიც კი მოგეჩვენებათ. მას თითქოს არაფერი არ აწუხებს, არაფერი არ აჩქარებს. მაგრამ ეს ერთი შეხედვით, ნამდვილად კი იგი ესწრაფვის თავისი შემოქმედებითი გეგმების განხორციელებას და საკმაოდ ხელხვავიანია. ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ რეჟისორი გ. მგელაძე დგამს ფილმს „შუქი ფანჯრილან“, ენგურჰესის მშენებლებზე. ამ ფილმის სცენარიც ს. ულენტისაა. მალე მისი „ციმბირის პაპაც“ მოგვევლინება ეკრანზე.

ბარაქალა, ბარაქალა შენ, ჩვენო სულიკო!





როსარ თერმანიძე

## მეცნიტლუსეობა რევოლუციაგდელ აჭარაში

ლიმონი, ფორთხოხალი, მანდარინი,  
ციტრონი და სხვა ციტრუსები შეიცა-  
ვენ ბევრ სასარგებლო ნივთიერებას.  
ამიტომ ადამიანებმა ეს კულტურები  
ჯერ კიდევ შორეულ წარსულში მოშე-  
ნეს.

ციტრუსების სამშობლოდ მიჩნეულია  
ჩინეთი და ინდოეთი.

ჩინეთი მანდარინისა და ფორთხოხლის  
სამშობლოა, ხოლო ინდოეთი — ლიმო-  
ნისა. აქედან ისინი გავრცელდა ევროპი-  
სა და აზიის იმ ქვეყნებში, სადაც ბუნე-  
ბრივი პირობები მათი განვითარების შე-  
საძლებლობას იძლეოდა.

საქართველოში, კერძოდ, აჭარაში ცი-  
ტრუსები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში  
გავრცელდა. ცნობას აჭარაში ციტრუ-  
სების არსებობის შესახებ გვაწვდის გა-  
მოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და  
გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი (1694—  
1774). იგი წერდა, რომ ბათუმში, გო-  
ნიოსა და ერგეში იზრდება „ნარინჯი,  
თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროშეუ-  
ლი ბრავალი და ზღვის კოდესაცა“.<sup>1</sup>

იმ პერიოდში აჭარაში გავრცელებული  
აყო ფორთხოხალი, ლიმონი და ციტრო-  
ნი, რომლებიც მოსახლეობას სახლ-

კარმიდამოს ახლოს ჰქონდა მოშენებუ-  
ლი, მაგრამ მას სავაჭრო მნიშვნელობას  
თითქმის არ ანიჭებდა.

1878 წელს, როდესაც აჭარა განთავი-  
სუფლდა თურქთა ბატონობისაგან, ფო-  
რთოხლის, ლიმონისა და ციტრონის ნარ-  
გავები ყოფილა მახინჯაურში, ციხისძირ-  
ში, მწვანე კონცხში, ბობიყვათში, მაკ-  
რიალში, ლიმანში, გონიოში, სარცსა და  
კიდევ რამდენიმე სოფელში.<sup>2</sup>

1894 წელს აჭარაში 1300 ძირამდე  
სრულმოსავლიანი ფორთხოხლის ნარგავი  
ყოფილა, საიდანაც მიუღიათ 130.000-  
მდე ნაყოფი.<sup>3</sup> 1912 წელს სრულმოსავ-  
ლიანი ფორთხოხლის ნარგავთა რაოდე-  
ნობა შეადგენდა 1500 ძირს, ხოლო  
მათგან საშუალოდ იღებდნენ 250 ათა-  
სიდან 400 ათას ცალამდე ნაყოფს.<sup>4</sup> ნა-  
ყოფის მომცემი ფორთხოხლის ნარგავთა  
დიდი უმრავლესობა გონიოს უბანში  
იყო. მაგალითად, 1894 წელს აღნიშნულ  
უბანში იყო 1096 ძირი ფორთხოხლის  
ნარგავი, რომლიდანაც მიუღიათ 102.000-

2. Русские субтропики, 1913,  
№ 10, стр. 6.

3. Сборник сведений по культуре  
ценных растений на Кавказе,  
выпуск I, Тифлис, 1895, стр. 25.

4 აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერ-  
თა ფონდი, საქ. № 235, ფ. 16.

1 ვახუშტი, — აღწერა სამეფოსა სა-  
ქართველოსა (საქართველოს გეოგრა-  
ფია), თბილისი, 1941, გვ. 176.

შეღ ცალი ნაყოფი.<sup>5</sup> რაც შეეხება ლიმონის ნარგავს, 1894 წელს აღნიშნული კულტურა მთელ აჭარაში ითვლებოდა 2000-3000 ძირამდე,<sup>6</sup> ხოლო მათი ნაყოფის რაოდენობის შესახებ სათანადო მონაცემები არ გაგვაჩნია. ვფიქრობთ, რომ მისი მოსავალი არც ისე უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო.

ლიმონისა და ფორთოხლის ნაყოფი იყიდებოდა როგორც ადგილობრივ ბაზარზე — ბათუმში, ისე იგზავნებოდა აჭარის ფარგლებს გარეთ. ამ ძვირფასი ნაყოფით ვაჭრობდნენ სომეხი და სპარსელი ვაჭრები.

ლიმონის, ფორთოხლისა და ციტრონის ფასი მერყეობდა. 90-იანი წლების ბოლოს 1000 ცალი ფორთოხალი იყიდებოდა 10 მანეთიდან 25 მანეთამდე, ერთი ცალი ლიმონი ღირდა 2 კაბიკი, ციტრონი — 3-5 კაბიკი,<sup>7</sup> მაგრამ მოგერა ვაჭრებისა და გადამყიდველების ხელში იყო.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან სავაჭრო მნიშვნელობის ციტრუსოვანთა კულტურების გაშენებას შეუდგნენ მოახალშენები, რომლებმაც აჭარის ზღვისპირა მიღამოებში საუკეთესო ხარისხის მიწის ნაკვეთები შეიძინეს და დიდი რაოდენობის თანხა დააბანდეს სუბტროპიკული მებალების განვითარებისათვის. მათ შორის სავაჭრო მნიშვნელობის ციტრუსების განვითარების პიონერები არიან სოლოცკოვი, სტოიანევი, დალუონი, კრიშტაფოვიჩი, ვუჩინონ და სხვა. მათ ლიმონის, ფორთოხლისა და იტალიური მანდარინის ნერგები შემოიტანეს საფრანგეთიდან, ალეირიზან, იტალიიდან და თურქეთიდან. პირველი ინიციატორი მებაღე დალფონი იყო, რომელმაც 1886 წელს შემოიტანა იტალიური მანდარინისა და ფორთოხლის ნერგები, ხოლო შემდეგ წლებში

5. Сборник сведений по культуре ценных растений на Кавказе, выпуск I. Тифлис, 1895, стр. 25.

6 იქვე.

7 იქვე.

სოლოცკოვმა, კრიშტაფოვიჩმა, სტოიანოვმა და ვუჩინონმ ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის ნერგები შემოიტანეს, როგორც იტალიიდან, ისე ალეირიდან, სამხრეთ საფრანგეთიდან, თურქეთიდან და თავიანთ მამულებში გაშენებული იყო.<sup>8</sup>

უკვე 1894 წლისათვის დალფონის თავის მამულებში გაშენებული ჰქონდა 250 ძირი ფორთოხლისა და 600 ძირი ლიმონის ნარგავი, ვუჩინოს — 103 ძირამდე ფორთოხლის ხე, სტოიანოვს — 90-მდე ძირი, კრიშტაფოვიჩს — 3 ძირი ლიმონის, 2 ციტრონის, 14 ფორთოხლის ახალგაზრდა ნარგავი.<sup>9</sup> მათ გაშენებული ჰქონდათ აგრეთვე იტალიური მანდარიზი.

მომდევნო წლებში სხვა მოახალშენებმაც გაშენეს ლიმონისა და ფორთოხლის ნარგავები და 1917 წელს ფორთოხლის ნარგავთა საერთო რაოდენობა შეაღენდა 9354 ძირს, ხოლო ლიმონისა — 1062 ძირს. აქედან კინტრიშის უბანში იყო 5769 ფორთოხლისა და 1058 ძირი ლიმონის ნარგავი, დანარჩენი კი გონიოს უბანში.<sup>10</sup> მაგრამ ფორთოხლისა და ლიმონის მოსავლის დიდი ნაწილი გონიოს უბანშე მოდიოდა, სადაც მრავალწლიანი ფორთოხლის ნარგავები იყო და ერთი ძირი 5000-7000 ცალამდე ნაყოფს იძლეოდა.<sup>11</sup>

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მოახალშენების მიერ გაწეულ შრომას დიდი შედეგი არ მოჰყოლია, იტალიიდან, საფრანგეთიდან და ალეირიზანიდან,

8. Сборник сведений по культуре ценных растений на Кавказе, Тифлис, 1895, выпуск I, стр. 26—27.

9. Сборник сведений по культуре ценных растений на Кавказе, Тифлис, 1895, выпуск I, стр. 26—27.

10 აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქ. № 216, ფ. 69-70.

11 საქართველოს სსრ ცხია, ფ. 243, ანაწერი 7. საქ. № 728, ფ. 182.

հունան Շեմուրանունու գործոտելուսա դա  
մանդահունու նարգացեթի զբա Շեշշան  
աջոկլութիւնը կլումաժեր է նորածեթի  
դա մատի դուռու նաթունու გաեմա. Անոնձուն  
մեծալուս օ. Ծաթարունունու գաժմուցեմուտ,  
Նայցու զալშո, մազալուտագ, 15 թլուս  
ցանմացլութիւնը լալութիւն օրալուսան, ալ-  
յուրունան դա սագրանցետունան Շեմուրանու-  
նու գործոտելուսա դա մանդահունու 1000  
մորու նարգացունան 800 մորո. ցարդա ամուսա,  
օրալուսան մանդահունո, հոմելուց պարա-  
թի პորցելագ ցաշենդա մե-19 սայցունու  
80-ունու թլութիւնը ծոլուս, ցանուն մշուցե-  
ծունա, մուսու նապուտու թվունու ոյու դա նա-  
յուլութիւնը սասայունու մենունելուս էյու-  
ճու.<sup>12</sup>

1897 թլուս ზամտարմա, հոմելուց մե-  
րագ մյացրու դա պոնցունու ոյու, դուռագ  
գոաթարալա պարանու գուրուսեթիւն, եռլու  
1910-1911 թլութիւնը սուսեմա մտլունան դ  
մուսեռ օրալուսան մանդահունո.

պարաթի սացաքրու մենունելուս գո-  
ւորուսեթիւնը ցանցուտարմա սթրացագ դա  
ցարտու մասմունաթիւն մաշուն դայցու, հո-  
յուսաց Շեմուունան ուակունուրու մանդահունո  
”սննուս”. մուսու ներցեթիւն պորցելագ ոյու  
ուանունունան Շեմուունա 1897 թլուս սայց-  
լուսթլուս մամուլութիւնը ալմուսացլուտու  
սութրունուցուլ մայունեթիւն մուզունեթու-  
մա յիշեցուում, հոմելուց ացրունունո  
օ. ն. կլունցունու եռլումըցանցելունա.

ուանունուրու մանդահունու ”սննուս” ցան-  
սեցացլունա օրալուսան մանդահունուս-  
սացան. ոցու ոյու շուրու մենունու, մշուցե-  
ծունա ալրու, շումունու մեր պոնցութիւն. ամո-  
ւուրու մուսու ցաշենդա եռլուսայրուլու ոյու  
դա մոյլու դրութիւն պարաթի ահսեթուլ  
ուուրուսեթիւնը մուսու ցայլանչի դուռու եցե-  
գուուտու թունա դայցացա.

ուանունուրու մանդահունու ”սննուս” პոր-  
ցելագ ցանցենցու հայցու սայցլուսթլու  
մաթուլունու, եռլուս Շեմուցեթիւնը մուս-  
մուսունունեցեթիւնը Շեշշան. პորցել  
թլութիւնը դուռու մութանձիւս ցայլանչի

12 պարանու սան. մշուցեթիւնը եռլունաթլու-  
տա ցունդու, սայ. № 289, ց. 2.

սանցրցեթիւնը Շեսայմելագ, սանցու շու-  
նուս” ներցեթիւնը ցարդա սեցա սութրու-  
թոյուլ մերենարյատա ներցեթիւնը ամուսուն-  
նուն. 1913 թլուս պարաթի ոյու գուրութլու-  
թիւնը մատունու մանդահունու 200.000 ցալ-  
ներցու ցամուցպանուտ, 12 եռլու 1914  
թլուս ալունունու սանցրցեթիւնը ցա-  
յունուտ 100.000 մորո մանդահունու ներ-  
ցու, ցալու 10 յաձոյաց. 14

գուրութլութիւնը սանցրցեթիւնը ալսանու-  
նացու հայցու սայցլուսթլու մենունու,  
ծատութիւնը սութրուս մերենեցութիւնը սանց-  
գութիւնը, կըրծու մերենեցութիւնը օ. դու-  
ճութիւնը, զ. մարյուցիւնը, ս. սութրուցիւնը, զ.  
ըստարինունունու դա սեցութիւնը. ցուրութլութիւն-  
սա դա սեցա սութրութիւնը մերենարյատա-  
ներցեթիւնը ցայունուտ ալունունու սանց-  
րցու մութլութելունու դուռ Շեմուսացալս.  
ուութենան.

հայցու սայցլուսթլու մամուլուտան յու-  
տագ մե-20 սայցունու դասաթիւնունուն.  
”սննուս” ցանցենդա Շեշշան կըրծու  
մերենեցութիւնը. յարցու եռուսետուս դա ացցո-  
լութիւնը կլումաժեր է նորածեթունան Շեշշան  
թիւնը ցամու ”սննուս” սթրացագ ցամուցու-  
թիւնը.

1901 թլուս պարաթի մանդահունու յալ-  
ուրուս յացա 0,136 էյյերարու, հոմելուց ց  
ցանցենդունու ոյու ասո մորո ներցու, 1906  
թլուս մուսու ցարտունու մուլթիւն 10,9  
դեսերունուն, նարցաւտա հառցենունամ —  
13.149 մորո. 1910 թլուս մանդահունու յա-  
լութրուս ցարտունու Շեմունցու 218  
էյյերարու, նարցաւտա հառցենունա —  
122.521 մորո, 1913 թլուս — 262 էյյ-  
ուրարու, նարցաւտա հառցենունա յա —  
20.000 մորութիւն. 1917 թլուս մանդա-  
հունու ցարտունու 323 էյյերարու Շեմ-  
ունունուն.

13 պարանու սասեր ցսա, ցունդու 96, սայ.  
№ 73, ց. 37.

14 պարանու սասեր մշուցեթիւնը եռլունաթլու-  
տա ցունդու, սայ. № 235, ց. 18.

გვნდა, საღაც გაშენებული იყო  
252.909 ძირი მანდარინი. 15

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ 1907  
წლამდე მანდარინის გაშენება ნელი  
ტემპით მიღიოდა, მაგრამ მომდევნო პე-  
რიოდში იგი სწრაფად განვითარდა და  
კუველტურიულ დახმარებით 30.000  
ნარგავით იზრდებოდა. უკვე 1913 წელს  
1901 წელთან შედარებით მანდარინის  
ფართობი დახმარებით 1500-ჭერ გაი-  
ზარდა, ხოლო 1917 წელს იმავე 1901 წე-  
ლთან შედარებით — 2374-ჭერ და კი-  
დევ უფრო მეტად.

მანდარინის კულტურის ძირითადი  
რაოთინი კინტრიშის უბანი იყო. ამ უბანზე  
1912 წელს მოღიოდა 188.193 ძირი მან-  
დარინის ნარგავი, 16 ხოლო 1917 წელს  
— 246.758 ძირი. 17.

1912 წელს აჭარაში მანდარინი  
გაშენებული იყო 17 სოფელში.  
ეს სოფელებია: ჯაითი, ციხისძირი, ბუკ-  
ნარი, ჩაქვი, აცყვა, მწვანე კონცხი, მახი-  
ნიგური, განთიადი (ყარა-ლერე), კაპე-  
შუმი, ორთაბათუმი, სალიბაური, ხო-  
ლონაია სლობოდა, ბარცხანი, სოკუსუ,  
ფერია, კახაბერი და გონიო. აქედან  
შევლაზე მეტი რაოდენობით გაშენებუ-  
ლი იყო ციხისძირში — 46.778, ჩაქვში  
— 25.100, მახინგაურში — 21.094, მწვა-  
ნე კონცხზე — 15.122, სალიბაურში —  
20.813, ბუკნარში — 13.440 ძირი. 18

შეურნეთა რიცხვი, რომლებიც მანდა-  
რინის მოშენებას ეწეოდნენ, 1912 წელს  
168 იყო. მათგან ციხისძირში — 50,  
მახინგაურში — 41, მწვანე კონცხზე —

23, ხოლო სალიბაურში — ცხრა მეურ-  
ნე. 19

მანდარინის პირველ გაშენებელთა  
უმრავლესობა მოახალშენები იყნენ.  
აღსანიშნავია ი. დიადიუშის, ნ. საბავის,  
ა. სობეცის, ი. მელის, მ. დალფონის,  
ე. ტატარინოვის, ვ. ბიხვცევის, ს. სი-  
ბირიაკვის, ვ. გოლიცინის, ვ. ბარატ-  
ოვის, ბ. უზინის, მ. შერემეტივის, ნ.  
პასკის და სხვათა ბაღები.

ციტრუსების პლატაციების ფარ-  
თობი არც ისე დიდი იყო. კურნალ-გა-  
ზებებიდან, პერიოდული გამოცემები-  
დან, საარქივო მასალებიდან და ადგილ-  
ზე საველე მუშაობით იჩვევეა, რომ მე-  
ურნებს მეტწილად 2-3 დესეტინაზე,  
ზოგს კი უფრო ნაკლებზეც ჰქონდათ  
გაშენებული ციტრუსები. მხოლოდ ჩაქ-  
ვის საუფლისწულო მამულს ჰქონდა ცი-  
ტრუსების შედარებით მსხვილი მეურნე-  
ობა, საღაც 1909 წელს მანდარინის კუ-  
ლტურას 14 დესეტინა, 20 ხოლო 1917  
წელს 32 დესეტინა ეკავა. აქედან ნა-  
ყოფს იძლეოდა 12 დესეტინა.<sup>20</sup> გარდა  
ამისა, აღნიშნულ მამულს 1917 წელს  
ჰქონდა იგრეთვე 6 დესეტინა ლიმონის  
ბაღი. 22

აჭარის მკვიდრი მოსახლეობა მანდა-  
რინის კულტურას თითქმის არ მისდევდა.  
ამ მხრივ პირველი ცდა იაპონური მანდა-  
რინის (უნძიუს) გაშენებისა ეკუთვნის  
სოფელ მახინგაურის მცხოვრებს ალი-  
ალას. მას 1906 წელს თვეის მამულში  
რამდენიმე ძირი იაპონური მანდარინი  
გაუშენებია.<sup>23</sup> შემდეგ წლებში, კერძოდ,

#### 19. Русские субтропики, 1913. № 10, стр. 21.

20 ლენინგრადის ცისა, ფონდი 515,  
ანაწერი 91, საქ. № 101, ფ. 17.

21 აჭარის ასსრ ცისა, ფონდი 22, საქ.  
№ 444, ფ. 12-13.

22 აჭარის ასსრ ცისა, ფონდი 22, საქ.  
№ 445, ფ. 21.

23 ამ ფაქტზე მიგვითითა აჭარის  
ასსრ სახელმწიფო მუზეუმის ღირე-  
ტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კან-  
დიდატმა ხ. ახვლედიანშა.

15 აჭარის ასსრ ცისა, ფონდი 96, საქ.  
№ 73, ფ. 36. ეურნ. „რუსკიე სუბტრო-  
პაკი“, 1913, № 10, გვ. 16; აჭარის სახ.  
მუზეუმის ხელნაწ. ფონდი, საქ. № 216,  
ფ. 69.

16. Русские субтропики, 1913,  
№ 10, стр. 21.

17 აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწ.  
ფონდი, საქ. № 216, ფ. 69.

18. Русские субтропики, 1913,  
№ 10, стр. 21.

1912 წელს იაპონური მანდარინი გაუშენებიათ მწვანე კონცხის მცხოვრებლებს და მემედ ბოლევაძეს და ქარიმან ბერიძეს, ხოლო 1913 წელს 100 ძირი იაპონური მანდარინი დაურგავს მახანჯაურელ არიფ ახვლელიანს.<sup>24</sup> საბჭოთა ხელისუფლებას დამყარებამდე კიდევ რამდენიმე აჭარელს ჰქონდა მოშენებული მანდარინის ნარგავები, მაგრამ მათი რაოდენობა და მოსავალი მეტისმეტად უმნიშვნელო იყო.

ციტრუსები, კერძოდ, ნარგარინი გვიან იძლევა მოსავალს, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან შემოსავლიანია. პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ, 1913 წელს, აჭარაში ნაყოფის მომცემი იყო 150 ჰექტარი მანდარინი. თითოეული ჰექტარი საშუალოდ იძლეოდა 60.000 ცალ მანდარინის ნაყოფს. 1913 წელს სულ მოუკრეფიათ 9.000.000 ცალი მანდარინის ნაყოფი. იგი იყიდებოდა ადგილზე, აგრეთვე იგზავნებოდა პეტებურგში, მოსკოვში, ოდესაში, ხარკოვში, თბილისში და სხვა საცავო ცრო ცენტრებში. მანდარინის ფასა მეტყველი იყო. ერთი ცალი იყიდებოდა 2 კაპიკიდან 5 კაპიკამდე. თუ ვიაზარი-შებთ, რომ 1913 წელს ერთი ცალი მანდარინის ნაყოფი გაიყიდა 2 კაპიკად, მისი ფულადი შემოსავალი შეადგენდა 1.800.000 მანეთს.<sup>25</sup>

ყველაზე დიდ შემოსავალს ჩაქვის საუფლისწულო მამულში იღებდნენ, აქ 1909 წელს მოიწიეს 45.844 ცალი ნაყოფი<sup>26</sup>, 1919 წელს — 403.115, 1920 წელს — 800.000 ცალი მანდარინის ნა-

ყოფი.<sup>27</sup> თითოეული მეურნის შესახებ კონკრეტული ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ ზოგიერთი მონაცემის, ზოხედვის მტკიცდება, რომ მანდარინის კულტურიდან ისინი საქმაოდ დიდ შემოსავალს იღებდნენ. მაგალითად, 1915 წელს ვ. გოლიცინმა ორი დესეტინა მანდარინის ბალიდან 56.000 ცალი ნაყოფი მიიღო, ხოლო ტრიანტფილიდისმა კიდევ უფრო ნაკლებ ფართობზე 1910 წელს მოიწია 43.000, 1912 წელს — 69.000 ცალი მანდარინის ნაყოფი.<sup>28</sup>

აჭარის ციტრუსოვანთა ნარგავები ძალიან დაზიანდა 1918—1920 წლებში. ბევრმა მოახალშენებ მიატოვა მამული და გაიქცა. ვინც დარჩა, იგი ვერ ასაღებდა ციტრუსების მოსავალს, მკვიდრმა მოსახლეობამ ბალების ნაწილი გაჩეხა და მარცვლეულის წარმოებას შეუდგა, რომ შემშილობისათვის თავი დაელწია.

მიუხედავად ამისა, რევოლუციიმდელ აჭარაში ციტრუსების ხევდრითი წონა-შეულ სახალხო მეურნეობაში მეტად ინიციატივანი იყო.

წარმოებითი ურთიერთობა ციტრუსოვანთა კულტურების მეურნეობაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აჭარის მკვიდრი მოსახლეობის ციტრუსების ნარგავებს, კაპიტალისტური იყო. ციტრუსების მფლობელი პლანტაციონებითავიანთ მამულებში იყენებდნენ დაქირავებულ შრომას. მათ დაქირავებული ჰყავდათ როგორც დღიური, ისე სეზონერი და მუდმივი მუშები.

სუბტროპიკული მებაღეობის განვითარების, შრომის მოწყობის, ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული კულტურების მოსავლის გასაღებისა და აღნიშნული მეურნეობების საერთო ხელმძღვანელობისათვის კერძო მეწარმეებმა აჭარაში შექმნეს საზოგადოებები და

24 მწვანე კონცხის მცხ. რეჯებ მექელის ძე ბოლევაძისა და მახანჯაურის მცხ. არიფ ახმედის-ძე ახვლელიანის მოგონება, ჩაწერილი ჩვენს მიერ 1968 წელს.

25 აჭარის ასსრ ცსა, ფონდი 96, საქ. №73, ფ. 49.

26 ლენინგრადის ცსია, ფ. 515, ანაზერი 91, საქ. № 57, ფ. 8.

27 საქართველოს სსრ ცსია, ფ. 288, ანაწერი 1, საქ. № 79, ფ. 49.

28. Цитрусовые, собрание трудов профессора А. Н. Краснова, т. I, выпуск 2, Батуми, 1915, стр. 30.

ამხანაგობები. 1907 წელს შეიქმნა კიხის-  
ძრისა და ქობულეთის მოახალშენეთა  
საზოგადოებები, ხოლო 1909 წელს —  
მწვანე კონცესია.<sup>29</sup>

1916 წელს სოფლის მეურნეობის ამ-  
ხანაგობა დაარსეს მოახალშენებმა ნ.  
კოლევმა, ი. დიადიუშმა, ვ. ტრიან-  
ტაფილიძისმა, ი. მელიამ, ნ. საბაევმა  
და ნ. ბიალუსკიმ. ამ ონისძიების მი-  
ზანი იყო მეურნეობის განვითარება და  
პროდუქციის გასაღების უზრუნველყო-  
ფა. 30 ასეთი ამხანაგობანი სხვა მოახა-  
ლშენებმაც შექმნეს.

საზოგადოებებსა და ამხანაგობებს  
სათავეში ედგა გამგეობა, რომელიც  
ყველა შრომის პროცესს დაქირავებული  
მუშახელის საშუალებით ეწეოდა. მაგა-  
ლითად, მახინჯაურში შექმნილ ამხანა-  
გობას 1914 წლის პრილში დაქირავე-  
ბული ჰყავდა ასი მუშა, რომელთა შო-  
რის იყვნენ როგორც თვიური, ისე დღა-

29. Образ Батумской области за  
1910 год. Батуми, 1912, стр. 94—  
95.

30. Русские субтропики, 1916,  
п:2—3. стр. 103—108.  
№ 10, стр. 21.

ური მუშები. თვიურად დაქირავებულ  
მუშებს უხდიდნენ 20 მანეთს, ხოლო  
დღიურად დაქირავებულებს — 40 კა-  
პიდან 80 კაპიკამდე. <sup>31</sup>

ციტრუსების პლანტაციების მეჩატ-  
რონენი იყვნენ მეფის სამხედრო ბიუ-  
როკრატიული სახელმწიფოს მოხელე-  
ები, გადმდგარი სამხედრო პირები, მე-  
მამულები და სავაჭრო კაპიტალის წა-  
რმომალგენლები.

ეს სოციალური ფენები აჭარაში აღ-  
მოცენდნენ ცარიზმის მიერ ამ მხარის  
ეკონომიკური ათვისების პროცესში. მათ  
კარგად გამოიყენეს თურქთა ბატონო-  
ბის დროს დაბერავებული და 1877—1878  
წლების ომის დროს გრაშამები ადგი-  
ლობრივი მოსახლეობის მდგომარეობა  
და აჭარის განთავისუფლების პირველ  
წლებშივე დაიწყეს მიწების შეძენა. ამ  
მიწების დამუშავებაზე მათ დიდალი  
თანხა დააბანდეს და სუბტროპიკული  
მეურნეობები მოაწყვეს. იმ მეურნეო-  
ბებში ჩაისთან ერთად მიშვნელოვანა  
ადგილი ეკავა ციტრუსებს.

31 ბათუმის გაზეთი, 1914, პ. 29.



## მოქალაქეთა უფლებების დაცვის საზარაპოზე

საბჭოთა სასამართლო ყოველგვარი ჰელიკონისგან იცავს მეურნეობის სოციალისტურ სისტემას და სოციალისტურ საკუთრებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომითს, საბინაო და სხვა პირად და ქონებრივ უფლებებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებს, მათს ინტერესებს.

ვ. ი. ლენინის მითითების შესაბამისად „რომ სასამართლო არის აღზრდის იარაღი“,<sup>1</sup> საბჭოთა სასამართლო ზრდის მოქალაქებს სამშობლოსა და კომუნიზმის საქმისაღმი ერთგულების სულისკვეთებით, საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი მოძყრობის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

საბჭოთა სასამართლო აღნიშნულ ამოცანებს ახორციელებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვით. იგი მიზნად ისახავს დანაშაულის ტრაფ და სრულ გახსნას, დამნაშავეთა და დროულად მხილებას და მათ მიმართ კანონის სწორად გამოყენებას, უზრუნველყოფს იმას, რომ არცერთი უდაბაშაულო არ მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებაში და არ დაედოს მსჯავრი, იყენებს რა სისხლის სამართლის სასკრლის ღონისძიებებს, სასამართლო არა მარტო სჭის დამნაშავეს, არამედ აგრეთვე ესწრავებს მის გამოსწორებას და აღზრდას.

1. ვ. ი. ლენინი, ტ. 27, გვ. 315.

მოქ. ბ-ს აქარის უმაღლესმა სასამართლომ 1966 წლის 21 იანვრის განაჩენით, განზრას მკვლელობის ცდის ბრალდებით რვა წლით პატიმრობა მიუსავა იმისთვის, რომ წინადღით მომხდარი უსამოვნების გამო განაწყენებულმა 1965 წლის ორ მარტს სანადირო თოფუ ესროლა მანქანას, რომელშიც იჯდა მისი ბიძაშვილი მეუღლით. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაშე ეს განაჩენი საკასაციო წესით შეასწორა იმ მხრივ, რომ ბ-ს ქმედება გადაკვალიფირა, როგორც ბოროტი ხულიგნობა და სასჯელი შეუმსუბუქა.

სასამართლოს მიერ არასწორი განაჩენის გამოტანა ორგანულად შეუსაბამოა საბჭოთა მართლმსაჯულებისათვის. სკუპ პროგრამა მოითხოვს, „უზრუნველყოფილი იქნას სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა“.<sup>2</sup> ეს ნიშნავს საქმის განხილვისას სასამართლო მიერ დაშვებული ყოველგვარი შეცლომის დროულად გამოვლინებას და დაუყოვნებლივ აღკვეთას.

სასამართლოს მიერ დაშვებული შეცლომის გამოვლინება და გამოსწორება ევალება ზემდგომ სასამართლო ინსტანციას საქმის საკასაციო ან საზედამხედველო წესით გადასინჯვის დროს. ზედამხედველობის წესით საქმის განხილვისას ზემდგომი სასამართლოები ვალდებული არიან შეამოწმონ ძალაში შესული განაჩენის კანონიერება და და-

2. სკუპ პროგრამა, 1961, გვ. 117.

საბუთებულობა, რაც წინასწარი გამოკვლევის ორგანოების და სასამართლოს ყექმიანობის შემოწმებას ნიშნავს. ამგვარი შემოწმების შედეგად, ზეღამხედველობითი ინსტანციის სასამართლო მოვალეა გამოავლინოს ხომ არ დარღვეულა პანიკი წინასწარი გამოკვლევის სასამართლო განხილვის სტატუში.

კვემდგომი სასამართლოს მიერ დაშ-  
ვებულ შეცდომათა გამოსწორებით, და-  
რღვეული კანონის აღდგენით ზედამხე-  
დველობითი ინსტანციის სასამართლოე-  
ბი განაპირობებენ კანონის ერთნაირად  
გავებას, გამოქვეყნებას და ახსნა-გან-  
მარჩებას.

კანონი ავალლებულებს პროცესურობს,  
მეტად აღვნოს თვალ-ყური სისხლის  
სამართლის საქმის მდგრადირებას, მო-  
ქალაქეთა უფლებების დაცვას. სასამარ-  
თლო განხილვის წესი იმგვარადა რე-  
გლამენტირებული, რომ მთლიანად უზ-  
რუნველყოფს საქამართლოს დამოუკი-  
დებლობას შეაგროვოს და შეამოწმოს  
დამატებიცებელი საბუთები, შინაგანი  
რწმენით შეაფასოს ისინი და გამოიტა-  
ნოს სწორი განაჩენი.

ქ. ბათუმის სახალხო სასამართლომ  
1965 წლის ცერა აგვისტოს განაჩენით  
სამართლები მიცემულ ო-ს ნამდვილ  
სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან  
თავის არიდების ბრალდებით მიუ-  
საჭა ორი წლით თავისუფლების აღკვე-  
თა. საქართველოს უმაღლესი სასამართ-  
ლოს თავმჯდომარის პროტესტის საფუ-  
ძელზე საქმის ზედამხედველობითი წე-  
სით გადასინჯვის შედეგად ეს უსაფუძ-  
ვლო განაჩენი გაუქმდებულ იქნა. საქმის  
ხელახლი განხილვისას გამოირკვა. რომ  
სამართლები მიცემულ ო-ს არამც თუ  
აურიდებია თავი სამხედრო სამსახურში  
გაწვევისაგან, არამედ ფიზიკური ნაკლის  
გამო სრულიად არ ექვემდებარებოდა  
ასეთ გაწვევას.

ზეღამზე დველობის წესით საქმის განხილვისას განაჩენის კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმებით სასამართლო უნდა ცხადყოს დადგენილია უ არა ობიექტური ჟაშმარიზაბაზა.

დევნა კი მხოლოდ დასაბუთებული გა-  
სარჩითაა შესაძლებელი, ხოლო განა-  
ჩენი დასაბუთებელი იქნება, თუ ის საქ-  
მეზე შეგროვილი და ყოველმხრივ შე-  
ფასებული გასალებიდან გამომდინარე  
ობს და თუ მასში მოცემული სასამართ-  
ლო დასკვნები საცხებით შეესაბამება  
ობიექტურ სიცამდგილეში არსებულ  
გარემონტებს.

კანონის მოთხოვნა, რომ თითოეულ  
სისხლის სამართლის საქმეზე დადგინდეს  
ობიექტური კეშმარიტება, ზემდგომ სა-  
სამართლოებს ავალდებულებს გააუქმინ  
ყველა არასწორი განაჩენი, გამომძელავ-  
ნონ სასამართლოს მიერ დაშვებული  
ყოველგვარი შეყდომა, რომელმაც ხელი  
შეუშალა კეშმარიტების დადგენას და  
მიუთითოს ქვემდგომ სასამართლოს  
საჭმის სწორად გადაწყვეტის გზაზე.

განაჩენის კანონიერების და დასაბუ-  
თებულობის შემოწმებისას ზედამხადვე-  
ლობითი ინსტრანციის სასამართლოს სა-  
ქმიანობა მიმღინარეობს სათანადო წე-  
სით და გარკვეული პროცესუალური  
ფორმით.

პროცესუალური ფორმა წარმოადგენს  
კანონით დადგენილ იმ პირობას, რომ-  
ლის დაცვაც უზრუნველყოფს საქმეზე  
ჰეშჩარიტების არა მარტო დადგენა,   
არამედ შემოწმებასაც. მიღწეულია თუ  
არა იგდ.

ზედამხედველობითი ინსტანციის სასა-  
მართლოების მიერ პროცესუალური  
ფორმის დაცვა გარანტირებულს ხდის  
განაჩენის კანონიერების და დასაბუთე-  
ბულობის სწორად შემოწმებას, ამასთან  
ამტკიცებს საბჭოთა სასამართლოს ავ-  
ტორიულებს, უზრუნველყოფის მისი საქ-  
მიანობის აღმზრდელობითს მნიშვნელო-  
ბას და იცავს პროცესის მნიშვნელოება  
კანონიერ ინტერესებს.

განაჩენის კანონიერების და დასაბუ-  
თებულობის უზურნველყოფა მცირეო  
კაშირშია სისხლის სამართლის პროცე-  
სის მონაწილეთა უფლებების დაცვის  
ამოცანასთან. ეს კაშირი განვირობებუ-  
ლია იმით, რომ ზემდგომი ინსტანციის  
სასამართლო, ზურნალუროვს რა გან-

ჩენის კანონიერებას და დასაბუთებულობას, ამავე დროს გარანტიირებულს ხდის პროცესის მონაწილეთა უფლებებს.

საბჭოთა სახელმწიფოში ადამიანი თავისი ინტერესებით კომუნისტური პარტიის მზრუნველობის და ყურადღების ცენტრშია. საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა მიმართულია სოციალისტური საზოგადოების წევრების სისტემატურად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ მხოლიდ სოციალისტური საზოგადოების პირობებში ხორციელდება ნამდვილი მზრუნველობა პიროვნების ინტერესების დაცვაზე. მართლმსაჯულების ორგანოები, იყვანენ რა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით გარანტირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომით, საბინაო და აგრეთვე პირად და ქონებრივ უფლებებსა და ინტერესებს, ხელს უწყობენ ჩვენი საზოგადოების წევრების აღზრდას კომუნისტური მორალის სულისკვეთებით.

სოციალისტური მართლმსაჯულების დემოკრატიზმი თავის გამოხატულებას პოულობს მოქალაქეების პროცესუალური უფლებების რეალურ უზრუნველყოფაში წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოების და სასამართლოს საქმიანობის ყველა სტადიაში.

მნიშვნელოვან პროცესუალურ გარანტიის წარმოადგენს ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა. მოთხვნა უზრუნველყოფილი იქნას ბრალდებულის უფლება დაცვაზე, წითელ ზოლად გასდევს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებს და უნდა განხორციელდეს პროცესის ყველა სტადიაში.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის განხილვის დროს საფუძვლიანად უნდა გამოარკვიოს ხომ არ ყოფილა დარღვეული ბრალდებულის უფლება დაცვაზე წინასწარი გამოძიების წარმოების დროს, ხოლო განაჩენის კანონიერების დასაბუთებულობის შემოწმებისას

ზემდეგომი სასამართლო ვალდებული დადგინდს უზრუნველყოფილი იქნა თუ არა ბრალდებულის უფლება დაცვაზე და თუ კანონის ეს მოთხვნა, დარღვეული აღმოჩნდა, მაშინ სასამართლოს განაჩენი უნდა გაუქმდეს, დარღვეული პროცესუალური უფლება კი აღსდგეს.

დაცვაზე ბრალდებულის უფლებების განუხრელად უზრუნველყოფა მითითებულია სსრკ უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 1 დეკემბრის № 17 სახელმძღვანელო დადგენილებაში. პლენუმმა აღნიშნა, რომ „ზოგიერთი ზემდეგომი სასამართლო განაჩენის გაუქმდების საფუძვლად არ მიიჩნევს ისეთ ფაქტს, როცა საქმის განხილვისას დარღვეულია დაცვაზე ბრალდებულის უფლებების მაგარანტიირებელი სსრკ კონსტიტუციის მესამე მუხლი.“ მოყავს რა კონკრეტული მაგალითები სახალხო სასამართლოების და საკასაციო ინსტანციების მეორ დაცვაზე სამართლაში მიცემულის უფლებების უზრუნველყოფას შესახებ, პლენუმი დადგენილებაში მიუთითობს: „მეორე ინსტანციის ზოგიერთი სასამართლოს მსგავსი პრაქტიკა ხელს უშლის კვემდგომი სასამართლოების მუშაობაში სოციალისტური კანონიერების დაცვის უზრუნველყოფას და უნერგავს ამ ორგანოებს კანონის უგულებელყოფის ელემენტებს“.

საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების საკასაციო და ზედამხედველობითი პრაქტიკა უზრუნველყოფს იმას, რომ ბრალდებულმა შეუზღუდვად ისარგებლოს კანონით გარანტიირებული პროცესუალური უფლებებით. რესპუბლიკის პროკურორის პროცესტის საფუძველზე, აჭარის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა მხოლოდ და მხოლოდ იმ მოტივით გააუქმა ქ. ბათუმის სახალხო სასამართლოს განაჩენი და საკასაციო ინსტანციის განჩინება საქართველოს სსკ 117 მუხლით მსჯავრდადებულ მ-ის და ა-ს ბრალდების საქმეზე, რომ სამართლო სხდომა წარმართული იყო თარ-

ჯიმანის მონაწილეობის გარეშე, სამართალში მიცემულის დაცვის უფლებისათვის გაუგებარენაზე ეს იგივეა, რაც სამართალში მიცემულის დაცვის უფლების შებღალვა; საქართველოს სსრ სსკ 355 მუხლის მერვე პუნქტის შუსაბამისად განაჩენის აუცილებელი გაუქმების საფუძვლს შეადგენს საქმის განხილვა თარჯიმის გარეშე, იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მონაწილეობა სავალდებულია.

განაჩენის აუცილებელი გაუქმების ეს საფუძველი პირდაპირ შეესატყვისება საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების მეორე მუხლს.

სასამართლო პრაქტიკა დაუშვებლად მიიჩნევს ბრალდებულის უფლებების შეზღუდვას, ან უფლებებისადმი ფორმალურ მიღვომას სასამართლო განხილვის სტადიაში. საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები მიუთითებენ, რომ საქმის განხილვა სამართალში მიცემულის დაუსწრებლად, კანონში მითითებული

შემთხვევის გარდა, დაცვაზე მისი უფლებების უხეშ დარღვევას წარმოადგენს და იწვევს განჩენის გაუქმებას.

საბჭოთა ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა ურყობის იდეა წითელზოლად გასდევს მთელს ჩვენს კანონმდებლობას და, კერძოდ, ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებულ შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებს. იგი ითვალისწინებს დამნაშავის გამოსწორების სხვადასხვა მეთოდებს, იძულებისა და დარწმუნების, შრომისა და სწავლების შეხამებას.

არა ფიზიკური ტანჯვა და სულიერი დამცირება, არამედ ადამიანური მიღობა გადამცდარი ადამიანისაღმი, — იმ ლენინური პრინციპი. მაგრამ საბჭოთა კანონმდებლობის ეს პუმანიზმი სრულიადაც არ ნიშნავს ყოვლისმიმტევებლობას. დამნაშავეობასთან ბრძოლის ლოგიკა საქმიანდ მკაცრია და იგი გამომდინარეობს ჩვენს ქვეყანაში მართწესრიგის შემდგომი განმტკიცების, კომუნისტური შენებლობის ინტერესებიდან.





თ ხ მ ა ს ა რ ი დ ე ბ ი

## ალექსანდრა სამსონის

### სამი თერძი

იყო და არა იყო რა...

იყო ქვეყნად ერთი პატარა ქალაქი და  
ამ პატარა ქალაქში სამი თერძი ცხოვ-  
რობდა.

სამი თერძის ყოფნა პატარა ქალაქში  
ეს არა, პატარა სოფელშიც არაფერი გა-  
საკვირია. გასაკვირი მხოლოდ ის გახლ-  
დთ, რომ სამივე თერძი ჩოხის გარდა  
არაფერს კერავდა.

ახლა თქვენ იყითხავთ, პატარა ქალა-  
ქში ამდენ ჩოხას ვინ ჩაიცვამდათ. მარ-  
თალი ბრძანდებით, ჩოხაში გმოწყობილ  
ხალხს დიდ ტირილში თუ ნახვდით,  
ისიც შორეული სოფლებიდან ჩამო-  
სულს. და მიუხედავად ამისა, ჩოხებს მა-  
ინც გასავალი ჰქონდა, რადგან ჩვენს  
პატარა ქალაქში მოცეკვავეთა დიდი ან-  
სამბლი არსებობდა. მოცეკვავები კი,  
მოგეხსენებათ, უჩინოდ ვერ იცეკვებ-  
დნენ. ამიტომ ჩოხებს მათ ჩვენი ნაცნო-  
ბი სამი თერძი უკერავდა.

სამშუალ მაინცადმაინც ბევრი არ  
ჰქონდათ, ერთი კაციც თავისუფლად  
აუკიდოდა, მაგრამ, როგორც უკვე  
ვთქვით, სამივე თერძი ჩოხის გარდა  
არაფერს კერავდა.

სანამ ჩოხის კერავს ისწავლიდნენ,  
ჩვენი თერძები ბაზარში ღვინოს ყიდ-  
დნენ, მაგრამ როცა პატარა ქალაქში დი-

დი ანსამბლი ჩამოყალიბდა და ჩოხები  
სატახტო ქალაქიდან ჩამოიტანეს, მომა-  
ვალმა თერძებმა თქვენს, თხა თხაზე ნაკ-  
ლები მგელმა შეჭამოსო, და ჩოხის კე-  
რას შეუდგნენ.

კაცმა სიმართლე რომ თქვას, მეჩოხე-  
ობა სამივეს ერთბაშად არ დაუწყია. პი-  
რველ წელიწადს პირველი თერძი დაო-  
სტატდა, თუმცა რა ისტატობა იყო, პი-  
რველი ჩოხა რომ შეკერა, მოცეკვავებ-  
მა სიცილი დააყარეს, მაგი რომ ჩავიც-  
ვათ, საფრთხობელას დავემსგავსებითო.

პირველ თერძს გული არ გასტეხია,  
რადგან თავი ნიჭიერი ეგონა და სჯერო-  
და, სიმართლე ბოლოს მაინც გაიმარჯ-  
ვებსო. ვინც დასცინოდა, სიცილითვე  
უბასუხა, რა მოცეკვავებიც თქვენა  
ხართ, ჩოხაც ისეთი შეგიკერეთო.

ხუმრობა იქით იყოს და პირველ  
თერძს არაფერი უშველიდა, ნაცნობი  
ქორეოგრაფი რომ არ ჰყოლოდა. ამ ქო-  
რეოგრაფს ერთ-ორჯერ ღვინო ჰქონდა  
მასთან დალეული და, გარდა ამისა, გუ-  
ლიც პატრიოტული გრძნობებით უღე-  
ლავდა, სატახტო ქალაქშე ნაკლები ჩვენ  
რითა ვართ, მაინცადმაინც იქაური ჩო-  
ხები რომ ჩავიცვათო.

ასე იყო თუ ისე, პირველი მომავალი

თერდი ნამდვილი თერძი გახდა და ნამ-  
დვილი ჩოხის კერვა დაიწყო.

მეორე და მესამე მომავალმა თერძებ-  
მა რომ ნახეს, წყლიანი ლვინის გაყიდვას  
ჩოხის კერვა სჯობნებია, ბაზარი  
მიატოვეს და პირველი ნამდვილი თერ-  
ძის მსგავსად მათაც ჩოხის კერვა დაიწ-  
ყეს.

ამასობაში პირველი თერძი ისე და-  
ოსტატდა, რომ დანარჩენ ორ თერძს  
დაცინვა დაუწეულ, მაგი საქმე თქვენ არ  
გამოგივათ და ჭობს ისევ ღვინო გაყი-  
დოთო.

დაცინვა, როგორც მოგეხსენებათ, კაცს  
ძალიან აბრაზებს და სამაგიეროს გადახ-  
დის გუნებაზე აყენებს ხოლმე. სამაგი-  
ეროს გადახდა კარგი ჩოხის შეკერვა  
იყო. ამიტომ მეორე და მესამე თერძი  
ბაგეს იკვნებდნენ და თავაუღებლად  
შუშაობდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, დაამთავრეს  
ჩოხების კერვა და პირველი თერძის  
ნაცნობ ქორეოგრაფს მიუტანეს გასა-  
სინჯად.

პირველი თერძის ნაცნობი ქორეოგ-  
რაფი აბა რა ნაცნობი იქნებოდა, მეორე  
და მესამე თერძის ნახელავი რომ არ  
დაეწენებინა. ათასი მიზეზი გამოუძენა,  
ოსტატობა აკლიაო, ძალიან გრძელიაო,  
თანამედროვეობის მოთხოვნებს არ აქმა-  
ყოფილებსო.

ამის პასუხად მეორე და მესამე თერძ-  
მა ნიშნის მოგებით უთხრეს, აბა პირ-  
ველი თერძის შეკერილი ჩოხა აქმაყო-  
ფილებს თანამედროვეობის მოთხოვნებ-  
სო? ამ სიტყვებზე ქორეოგრაფი გაბრა-  
ზდა და მეორე და მესამე თერძს ინტრი-  
განები უწოდა.

ამის პასუხად მეორე და მესამე თერძ-  
მა მუშტი გულზე დაირტყეს, ინტრიგა-  
ნობა ახლა ნახეთ როგორი უნდაო და  
სატახტო ქალაქში საჩივარი აფრინეს,  
ქორეოგრაფმა და პირველმა თერძმა  
ანსამბლი შეჭამეს და დროზე უნდა  
შველაო.

კაცმა რომ თქვას, ჩივილით მარტო  
მეორე თერძმა იჩივლა, მესამე საკმაოდ  
მოუხერხებელი იყო და იმას უცდიდა,

წყალი თუ აიმღვრა, თევზს მაშინ დაგი-  
ჟერო.

წყალი მართლა აიმღვრა, რადგან შეო-  
რე თერძის გარდა, ქორეოგრაფს საჩი-  
ვარს მისი მოცეკვავებიც უწერდნენ.  
ძალე დამაშავე პატარა ქალაქიდან ბო-  
სხსნეს და სატახტო ქალაქში გადაიყვანეს  
სამუშაოდ.

მეორე და მესამე თერძმა სიხარულით  
დავლური დაუარეს, ასე ვიცით ჩევენო  
და ძველი ქორეოგრაფის მაგივრად და-  
სიშენულ ახალ ქორეოგრაფს ჩოხის ფრი-  
ალით შეეგებდებ, მაღლობა ღმერთს, ან-  
სამბლში კაცური კაცი გამოჩნდაო.

ცოდვა გატეხილი ჭობია და ახალ ქო-  
რეოგრაფს მეორე და მესამე თერძი დი-  
დად არ ეპიტნავებოდა, მაგრამ არც ის  
უნდოდა, ძველი ქორეოგრაფის გზას  
გაჰყოლოდა. ამიტომ მცირე გადაეკე-  
ბის შემდეგ მათი შეკერილი ჩოხები  
შეისყიდა. ზოგმა დაიწუნა, ზოგმა მოი-  
წონა, მაგრამ საბოლოო ანგარიშში უკ-  
მაყოფილო არავინ დარჩენილა პირველი  
თერძის გარდა.

პირველმა თერძმა ითმინა, ითმინა და  
ბოლოს თქვა, პროვინციაში ჩოხას რო-  
გორ გაყვიდით, წამოავლო ხელი, რაც  
შეკერილ-შეუკერავი ჰქონდა და ყველა-  
ფერი სატახტო ქალაქში ჩაიტანა.

სატახტო ქალაქს საკუთარი მეჩოხეე-  
ბი საკმაოზე მეტი ჰყავდა, ამიტომ ერთი  
აურზური ატეხეს, პროვინციელებმა  
შევპატეს და კაცი პატრონი არა  
გვყავსო.

ასეთ რამეებს პირველი თერძი შეჩ-  
ვეული იყო, ძველი ქორეოგრაფის დახ-  
მარებით ბეჭვის ხიდზე გასვლა მოახერ-  
ხა და სატახტო ქალაქში ერთი ჩოხა მა-  
ინც გაყიდა. მერე ეს ჩოხა სხვა ჩოხებ-  
თან ერთად უფრო დიდ სატახტო ქალა-  
ქში გამოფენაზე მოხვდა და ქვეყანა არ  
დანგრეულა.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ ესია-  
მოუნებოდა ეს ამბავი მეორე და მესამე  
თერძს, რომლებმაც პროვინციის იქით  
ქვეყანა თუ იყო, არ იცოდნენ.

ჰაი დედასაო! — გულშე ხელი დაირტყა მეორე თერძმა, — მავის ხელობა ვინა თქვაო, ყველაფერი თეთრი ძაფით არის ნაკერი და ყველაფერი სხვისი თარგიდან გამოჭრილია.

აბა, აბაო! — თავს უქნევდა მესამე თერძმი, რომელსაც გულში უხაროდა, წყალი კიდევ აიმღვრევა და მეორე თერძმაც მოვიცილებო.

მეორე თერძმი კაი ეშმაკი იყო და მიუხედა, შენ რა გიხარია მერეო, მასზე ნაკლები უნიჭო არც შენ ხარო, შენი შეკერილი ჩოხა ძველ ფოტოგრაფს თუ გამოადგებაო.

ამ სიტყვებმა მესამე თერძმი ძალიან გააბრაზა, რადგან თავი პირველ და მე-

ორე თერძშე უფრო ჰქვიანად მაჩნდა და ამას სუფრაზე სხვებიც ეუბნებოდნენ.

ერთი სიტყვით, პატარა ქალაქში თერძმა ძების ომი დაიწყო.

სატახტო ქალაქში ბევრი იფიქრეს, ამ პროვინციელ თერძებს ისეთი რა მოვუხერხოთ, ჰქუა რომ ისწავლონო. ბოლოს ანდაზა გაიხსენეს, რაც მოვიყა დავითაო, ყველა შენი თავითაო. ამიტომ აიღეს და ანსამბლი დაუხურეს.

თერძებსაც რაღა უნდა ექნათ. მათაც აიღეს, თავიანთი სახელოსნოები დახურეს და ბაზარში ძველებურად წყლიანი ღვინის გაყიდვა დაიწყეს.

იყო და არა იყო რა...



## შ ი ნ ა ქ ა რ ს ი

### ლენინიანი

გ. ვარჯანიძე — შემოანათა აჭარლის ქოხში (ლირიკული პოემა)	3
ქ. ლორიძა — მისი ნამბობი (მოთხრობა)	7
კ. მშავიძა — ლექსები	32
ლ. ვოდებაძე — სინანული (მოთხრობა)	34
ლ. პეტიძე — ესყადრილია (ლექსი)	39
ი. ჰაშვები — მღვდელი და მოლა (მოთხრობა, თარგმნა ა. შარაძემ)	40

### გულა გული იცხობს

ლ. ხალვაშვილი — ათი დაუზიწყარი დღე	43
---------------------------------------	----

### პრიტიკა და პუბლიცისტიკა

შ. ჩურიძე — პოეტი და მთარგმნელი	56
------------------------------------	----

### ხელოვნება

რ. სურმანიძე — დად სარ- ბიელზე	74
-----------------------------------	----

### ჭერილები

ო. თურმანიძე — მეციტრუსე- ობა რევოლუციამდელ აჭარაში	82
გ. ლილუაზგილი — მოქალაქეთა უფლებების დაცვის სადარაჭოზე	88

### სატირა და იუმორი

ა. სამსონია — სამი თერძი (მოთხრობა)	92
--	----

### 3

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, 3/მგ. მდივნის — 33-72.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VIII, 1969 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბაზი,  
შეკვეთის № 3586, ემ 00765, ქალალდის ზომა 60×90, ტირაჟი 1.800.

\* \* \*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო  
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სრამბა № 9 (ლუქსემბურგის 22).

3560 40 353.

5 | 124



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литературали Аджара“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ИНДЕКС 78118